

მკუთვყ ათახასჷ
და წაგნას აგვონია
გულათიდა მადლოთხას
უხდაას
ბავონგებს თამას გეგლოუჷაშვილსა
და იგნო ხახვაშვილს,
რომდღოთი უახგანო
დახმამიგბას გამიგშჷ
წაგნა გგნ ახალთაგდა
ღიას ხახათლოგს!

ნინო კობახიძე

მუყავე ათანასეს
ცხოვრება,
მოღვაწეობა და
ქადაგებანი

თბილისი
2009 წ.



კონსულტანტი რელიგიის ისტორიის საკითხებში
— ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:
სერგო ვარდოსანიძე

დაიბეჭდა თავად რუსთველი მიტროპოლიტ ათანასეს
(ჩახვაშვილი) ლოცვა — კურთხევით

ISBN 978-9941-0-1663-9

შესავალი

მიტროპოლიტ ათანასეს სურვილით გავბედე წამომეწყო ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორც უდიდესი სასულიერო პირის, მღვდელმთავრის ცხოვრების აღწერაა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თავად ჰქონია გადაწყვეტილი ავტობიოგრაფიული შინაარსის მონოგრაფია გამოეცა, მაგრამ მოუცლელობის გამო მას ეს საქმე გადაუდია. ამდენად, უფლის ნებით და მიტროპოლიტ ათანასეს დახმარებით დაიწერა „მეუფე ათანასეს ცხოვრება, მოღვაწეობა და ქადაგებანი“.

მიტროპოლიტ ათანასეს ბიოგრაფიულ შტრიხებს მომდევნო პარაგრაფებში გაეცნობით, ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი ღრმად მოაზროვნე ადამიანია, უგანათლებულესი მღვდელმთავარი, საუკეთესო მექართულე და მნიგნობარი. „კაცური კაცი“ — აი, ამ სიტყვებით ახასიათებდნენ მას ხელისუფალნი იმ ათეისტური მთავრობისა, რომლის დროსაც გამოვიდა მიტროპოლიტი ათანასე სამოღვაწეო ასპარეზზე. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სასულიერო პირებზე ზედამხედველობა იყო დანესებული.

მიტროპოლიტ ათანასეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ისეთ იმვით ქვეყანას, როგორც საქართველოა, სწორედ ასეთი პიროვნებების ღვაწლი ინახავს. მან საუბარი საქრისტიანოში საქართველოს, როგორც ქვეყნის მნიშვნელობაზე ჩამოაგდო და დასძინა, რომ საქართველოა ის ქვეყანა, რომლის აღმოსავლეთ ცაზე მამა-ღმერთი, ტახტრევანზე

დაბრძანებული, ბრძანებებს ქართულ ენაზე იძლევა. რომ ამბავი, ერთი მონა-ტანჯულის ცხოვრებისა, რომელიც ამ წიგნში უნდა აღიწეროს, ანგელოზების კარნახითაა, ამიტომ წიგნი თუ გულისყურით დაიწერა, ერთ-ერთი საუკეთესო წიგნთაგანი იქნებაო ქვეყანაზე; რომ იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „დაწერით დაიწერება, მაგრამ, მგონი, უფლის სასწაულების შესახებ აღწერილი წიგნები ვერ დაიტიოს დედამიწამო“. „სამ წელიწადში ეგეთი რა გააკეთა უფალმა? - თუ აღწერდა, ვერ დაიტევდა დედამიწა?“ — სვამს კითხვას მიტროპოლიტი ათანასე და თავადვე პასუხობს: სასწაულია, ჭეშმარიტად სასწაული!

ჭეშმარიტად სასწაულია უფლის ანგელოზების მიერ ყმანვილი კაცის ხატისაგან დამიზებება, იმ მიზნით, რომ უფლის სამსახურში ჩამდგარიყო!

მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი) ღვთის ხელდასმული მღვდელმთავარია და სასულიერო ცხოვრების სამოცდაათწლიან მოგზაურობის რთულ გზებზე უფლის ანგელოზები ეცხადებიან და სავალს უნათებენ. მას უამრავი ხილული გამოცხადება აქვს. ამიტომ წიგნში ბიოგრაფიულ შტრიხებთან ერთად საუბარი მის გამოცხადებებზეც გვექნება.

წმიდა მამათა სწავლებანის მიხედვით, სამი მიზეზით არის შესაძლებელი ადამიანი სასულიერო პირი გახდეს. პირველი — უფლის არჩევით, მეორე — საღვთო შურით და მესამე — შეიცნოს რა მან, რომ საერო ცხოვრებაში სული ძლიერ დაუშვიდა და ცოდვებისაგან თავის დაღწევა გადაწყვიტოს. თუმცა დღევანდელ ცხოვრებაში უიშვიათეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს უფლის არჩევით და ღვთის ანგელოზების ჩაგონებით გახდეს ადამიანი სასულიერო პირი.

გადაწყდა, რომ მიტროპოლიტი ათანასეს ცხოვრების

დეტალური აღწერა ყრმობიდან უნდა დამეწყო და დღევანდელით დამესრულებინა. თავად გადაწყვიტა ჩემთვის, როგორც მისი ცხოვრების აღმწერელისთვის შეძლებისდაგვარად ეჩვენებინა ყველა ეკლესია-მონასტერი და სალოცავი ადგილი, რომელიც მან განვლო ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტრის მონა-ტანჯულობიდან ეპისკოპოსის მანტიამდე.

რაკი უფლის ნებით შევუდექი მის უსამღვდელოესობის, ეპისკოპოს ათანასეს (ჩახვაშვილი) ცხოვრების აღწერას, უდიდესი პასუხიმგებლობით მოვეკიდე კიდეც. მიტროპოლიტ ათანასეს ცხოვრების შესწავლა დეტალურად დავინყე.

მომლოცველები: მამა გრიგოლ (აბაშიძე), მზია ქარდავა, მისი მეუღლე ანზორ ფიფია და თქვენი მონა-მორჩილი, მეუფე ათანასეს ხელმძღვანელობით შევუდექით მღვდელმთავრის ნაკვალევს, მოვიარეთ და მოვილოცეთ ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტერი, მეუფე ათანასეს მიერ აღდგენილი, ჩახვაშვილთა საგვარეულო ზედაშე კარდენახში, წმიდა თეთრ ნათელ გიორგის მონასტერი, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი, სადაც ის თითქმის ორი ათეული წელი პერიოდულად მოღვაწეობდა.

შთამბეჭდავი იყო სტუმრობა ქედელში, ბოდბის წმიდა დედა ნინოს (ასე უწოდებს მეუფე) მონასტერში. მონასტრის კარიბჭე ფართოდ გაიღო, დაინყო ზარების რეკვა, ხოლო დედათა მონასტრის დედეები დიდი პატივით დახვდნენ მიტროპოლიტ ათანასეს, ისინი მორჩილების გამომხატველი ყესტით მიესალმნენ სასურველ წინამძღოლს და კაბის კალთაზე ეამბორებოდნენ. მეუფე კი თხოვნით მიმართავდა, ფეხზე წამომდგარიყვნენ, რადგან „მე თვითონ უფლის მონა ვარ და მთელი ცხოვრება მუხლიჩოქზე

მაქვს გატარებულიო“. იყო ბევრი ცრემლი, სიხარულის ცრემლი, ზეიმობდა სიყვარული, რადგან სტუმრად იყო ეპისკოპოსი, რომელიც თავად იყო მოარული ეკლესია და ეკლესიაში ეპისკოპოსი.

ბატონი ანზორ ფიფია დროს და ენერგიას არ იშურებდა იმისათვის, რომ გამოცემა სრულყოფილი ყოფილიყო. გადაიღო უამრავი საინტერესო კადრი. მან თავის ოჯახთან ერთად უდიდესი ღვანლი შეიტანა მეუფე ათანასეს წიგნის შექმნასა და გამოცემაში.

ამდენად, აღნიშნული წიგნი ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით მეუფე ათანასეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.



ბიოგრაფიული ფაქტები

მიტროპოლიტი ათანასე, ერისკაცობაში ამბროს (ან-ზორ) იორამის ძე ჩახვაშვილი დაიბადა 1936 წლის 4 თებერვალს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში. 1953 წელს დაამთავრა სიღნაღის საშუალო სკოლა. მისი ბავშვობა დაემთხვა ქვეყანაში ჯერ რეპრესიების, ხოლო შემდეგ სამამულო ომის მძიმე პერიოდებს. იგი ბავშვობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. 16 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფი მიიყვანეს სიღნაღელ მხცოვან ექიმ ვახტანგ მათიაშვილთან. მან ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი ყმანვილი და მას უთხრა: „შენ ხარ ანგელოზების ავადმყოფი, იარე მონა-ტანჯულთა მონასტრებში, დაუნთე სანთლები უფალს, შესაწირი შეწირე, ილოცე და თანდათან გამოკეთდებიო“.

ეს გახდა დასაწყისი ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტერში მიტროპოლიტ ათანასეს მოღვაწეობის დაწყებისა. მოგვიანებით ის იგონებდა; „როცა ექიმმა ტანჯულთა მონასტერში მისვლა მირჩია, მეგონა მომაკვდავი ავადმყოფი ვიყავ და თავიდან მიცილებდა. ჩემი ავადმყოფობის მიზეზი კი ზეციური მამის ანგელოზი იყო, რომელსაც თურმე მეთვალყურეობა ჰქონია ჩემზე დანესებული.“

ავადმყოფი ყმანვილი ცხენზე გადაკიდებული აუყვანიათ ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტერში და დაუხვეწებიათ საგანგებოდ მძიმე ავადმყოფებისათვის განკუთვნილ ადგილზე, რომელსაც მონა-ტანჯულები დასადებელს უწოდებდნენ და დღესაც არსებობს. იგი მშობლებმა გამოჯამრთელების სანაცვლოდ მონასტერს კურაგად შესწირეს. იმხანად ქიზიყში გავრცელებული ყოფილა კურა-

ტად შენირვის ტრადიცია, რაც შენირულისაგან ფიზიკურ შრომას და უფლის სადიდებელ ლიტურგიებზე დასწრებას მოითხოვდა. (ჯერ კიდევ ეპისკოპოსი კირიონი აღნიშნავს განსაკუთრებით შესანიშნავ ერთი ჩვეულების შესახებ, რომელიც ქართველთა შორის ქიზიყში ყოფილა შემონახული. აღთქმის მიხედვით, ირგვლივ მოსახლე მამაკაცები მონასტერს სწირავდნენ თავის ფიზიკურ შრომას — მიდიოდნენ მონასტერში და მუშაობდნენ უსასყიდლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, საკუთარი აღთქმის პირობაზე. მონასტერი კი ამ უფასო მუშებს მხოლოდ კვებავდა და აძლევდა ქალამნებს. მონასტრისთვის თავისი შრომის უსასყიდლოდ შემწირველ მუშას უწოდებდნენ კურატს. კურატი როდესაც სამუშაოს დაასრულებდა, სთხოვდა მღვდელმონაზონს, გადაახდევინებდა პარაკლისს და ბრუნდებოდა შინ. შენირული მონა აღთქმას არ დაარღვევდა ავტ. შენიშვნა). ამდენად, ყმანვილს გამოკეთებამდე, გარკვეული დროით მოუხდა ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტერში ცხოვრება. იქ მრავალ ღირსეულ მორწმუნეთა შორის გაიცნო და დაუახლოვდა ღვთის მონას გიორგი ნადირაშვილს, რომელმაც შეასწავლა ხუცური და მთავრული დამწერლობა, აქვე შეუდგა სასულიერო წიგნების შესწავლას.

მიტროპოლიტი ათანასე დიდი სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებს დედულეთს, ტეტელოშვილების ოჯახს, სადაც ყმანვილობისას სითბო და სიყვარული არ მოჰკლებია.


1953-1957წწ-ში ამბროს (ანზორ) ჩახვაშვილი შრომით საქმიანობას ეწეოდა კარდენახის კოლმეურნეობაში, 1957-1959წწ-ში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1959-1962წწ-ში სწავლობდა სიღნაღის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში. ის თავის ოჯახთან ერთად ჩართული

წეობის შემდეგ აღიყვანა დიაკვნის ხარისხში და უწოდა სახელი ანდრია. ასე გახდა იგი პატრიარქის ეფრემ II-ის პროტოდიაკვანი.

იდგა 1968 წელი. საქართველოს ეკლესია მღვდლების ნაკლებობას განიცდიდა. ამ დროს მეუფე ათანასე სიონის საკათედრო ტაძრიდან ალავერდელი მიტროპოლიტის რომანოზ პეტრიაშვილის მიწვევით თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში დიაკვნად გადაიყვანეს. იმავე წელს ალავერდელმა მიტროპოლიტმა მღვდლად დაასხა ხელი და განამწესა სიღნაღის წმიდა ნინოს მონასტრის მეორე მღვდლად. 1969-1970 წწ-ში მსახურობდა თელავის ღვთაების ეკლესიაში.

1969 წლის 19 იანვრით დათარიღებული, ალავერდელ-ბოდბელი ეპისკოპოსის რომანოზის ბრძანება №15 იუნყება:

„ქალაქ თელავის საკათედრო ტაძრის მეორე მღვდელი ანდრია ჩახვაშვილი, ჩემს მიერ იქმნა დაჯილდოებული 19 იანვარს 1969 წ. (ძველი სტილით), წმ. ნათლისღების ლიტურგიაზე საგვერდულით.“



1971-1979 წწ-ში მღვდელი ანდრია გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია.

XX ს-ის 60-70 წლებში საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა მოსკოვის ცენტრალური ხელმძღვანელობის საამებლად დევნიდა სასულიერო პირებს, ატარებდა ანტირელიგიურ ღონისძიებებს და აცხადებდა, რომ სულ მალე საქართველო მასობრივი ათეიზმის ქვეყანა გახდებაო. ასეთ ვითარებაში სასულიერო პირობა ძნელი იყო, უნდა დაგეთმინა უსამართლო ჭორები, დაცინვა და შეურაცხყოფა...

მამა ანდრია ჩახვაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XII საეკლესიო კრების მუშაობაში. იგი მხარს უჭერდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. საეკლესიო კრების მსვლელობისას მან წაიკითხა მიტროპოლიტ ილიას ვრცელი ბიოგრაფია და მოუწოდა კრების მონაწილეებს მხარი დაეჭირათ ღირსეული კანდიდატისათვის.

1978 წლის 1 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა წმიდა სინოდის სხდომა, სადაც მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებანი:

ანყურის ეპარქიას ეწოდა ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქია, ცაგერის ეპარქიას - ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქია.

უნმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინადადებით საქართველოს ეკლესიაში აღადგინეს ოდითგან არსებული მთავარეპისკოპოსის ხარისხი, ხოლო მას ვინც ხარისხს მიიღებს, უფლება ენიჭება კუკნკულა-ბარტყულაზე ატაროს ჯვარი. იმავე სხდომაზე ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსად

წამოაყენეს სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ანდრია ჩახვაშვილი.

1978 წელს მღვდელი ანდრია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერად აღკვეცა და უწოდა ათანასე. იმავე წლის 17 დეკემბერს ბერი ათანასე არქიმანდრიტის ხარისხში აღიყვანეს. წმ. სინოდის 1978 წლის 14 დეკემბრის განჩინების თანახმად, 1978 წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა ხელდასხმა და ბოდბელ ეპისკოპოსად კურთხევა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტის ათანასესი (ანდრია ჩახვაშვილისა).

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსად წარდგინებისას არქიმანდიტმა ათანასემ სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, წმიდა სინოდის წევრებს:

„თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, მეუფე მამაო ილია!

სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სინოდის წევრნო!

წმიდანო მღვდელმთავარნო და ყოველნო სამღვდელონო!

დიდი ღმერთისა და ზეცის უსხეულო წმიდა ძალთა განგებით, თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის, აგრეთვე წმიდა სინოდის ლოცვა-კურთხევით ეპისკოპოსად გამოძირჩიეთ მე - დიდებული სიონის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი და დამადგინეთ ძველთაძველი სამწყსოს - ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავრად.

მღელვარება მიჰყრობს იმის გაფიქრებაზეც კი, რომ უნდა მივეახლო მოციქულთა სწორის, ქართველთა გან-

მანათლებლისა და მნათობის წმიდა ნინოს სავანეს; რომ მწყემსად უნდა მოვევლინო თვით მის მიერ გამორჩეულ ქართულ ეპარქიას, სადაც ინება მან საუკუნო განსვენება; რომ მღვდელმთავრად უნდა დავუდგე ბოდბის გულმართალ სამწყსოს, იმ მორწმუნეებს, რომელთა წინაპრებს უხილავთ ჩვენი დიდებული დედის ხელში ზეალმართული ღვთივკურთხეული ჯვარი ვაზისა, მისსივე თმებით შემკული.

მღელვარების დასაოკებლად ვუკვირდები ჩემ მიერ განვლილი სარწმუნოებრივი ცხოვრების გზას იმ დროიდან, როდესაც ფეხი შემოვდგი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინებულ სვეტიცხოველში. მაშინაც წმიდა ტაძარში მომიყვანა იმ გრძნობამ, იმ შეგნებამ, რომ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ეკლესიას ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან (მათე 16, 18). მართლაც, ჩვენი ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობის ისტორიაში ძელი ცხოველი სასოებით გულში იკრავს მაცხოვრის კვართს და გუშაგად უდგას ჩვენი დიდი დედოფლის - ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას; ქართული ეკლესია მოზიარე და შემოქმედა ჩვენი ერის ღირსახსოვარი წარსულისა, ამშვენებს მის ანწყოს და იმედიანად გვახედებს მომავლისაკენ.

ვუკვირდები სიტყვის აზრს: რას ნიშნავს „ეპისკოპოსი“? - ეს ბერძნული სიტყვა ხომ მალლიდან მჭვრეტელს ნიშნავს! მექნება თუ არა არწივის მზერა, რომ ამ მძლავრი, შორით დამნახველი ფრინველის თვალსაწიერიდან გამოვარჩიო ყოველგვარი წვილმანიც კი ჩემი ეპარქიისა?

გარდა ამისა, ეპისკოპოსობა მარტოოდენ ჭვრეტა ხომ არ არის, არამედ კეთილად განგებაც! მექნება თუ არა ჩვენი დიდი, კეთილი მწყემსის გულისხმიერების ნაწილი მაინც, რომ დროული და ჯეროვანი რჩევა-დარიგება არ მოვაკლო სამწყსოს?



ს ი ბ ე ლ ი

მისი ყოველდღსამღვდელმსახურება,
 მორბეული ეპისკოპოსის ათანასე
 (ჩახვაშვილი) საჯაროველოს სამოცი-
 ვულო ეკლესიაში თავდაპირველი სამსახური-
 სათვის დაჯილდოვებს წმინდა გიორგის
 I ხარისხის ორდენით.



Handwritten signature

სრულიად საქართველოს
 კათოლიკოს-პატრიარქის
 ეკლესიათა მსოფლიო
 საბჭოს პრეზიდიუმის

1980 წ. 27 იანვარი
 თბილისი
 ბრძ. 22/79

არც მხოლოდ რჩევა-დარიგებით შემოიფარგლება ეპისკოპოსის საზრუნავი: შევძლებ თუ არა, რამდენადმე მაინც მივბაძო დიდი საჭეთმპყრობლის სიმტკიცეს, წუთისოფლის ქარბუქმა არ დამაბნოს და სწორი გზით ნავრმართო მორწმუნეთა ცხოვრება?

არც მხოლოდ სიტყვით: ეპისკოპოსმა საქმიანაც, პირადი მაგალითით უნდა დაარწმუნოს ღვთისმოსავნი: როგორც ბერმუხა თავის თავზე ლებულობს მეხის დაცემას, ასევე მღვდელმთავარმა პირველმა უნდა განიცადოს წუთისოფლის ჭეჭა-ჭუხილი და მეხი, თქეში, სეტყვა; უნდა სძლიოს განსაცდელს და გააძლებინოს თავის სამწყსოსაც.

ეპისკოპოსი არის ჯვრისა და ხატის წინაშე მარადიული ცეცხლით აგზნებული წმინდა ლამპარი. იგი იწვის და სამწყსოს სითბოსა და ნათელს ჰფენს, ხოლო ღვთის მიმართ აღვლენილი ლოცვით მის კურთხევას გამოითხოვს მორწმუნეთათვის. ეპისკოპოსი უშურველად ხარჯავს თავის ცხოვრებისეულ ენერგიას, რათა ღვთისმიერი სიყვარულის დიდ ძალას აზიაროს მრევლი. წმიდა მამები ამბობენ, ეპისკოპოსის გარეშე არ არისო ეკლესია, და ვინც არ არის ეპისკოპოსთან, მასთან არ არის ქრისტეც! ეპისკოპოსი ხომ მღვდელმთავარია, ხოლო მღვდლობა თვით მამაზეციერმა განამტკიცა ფიცით: „შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“ (ფს. 109,4).

ვცდილობ, გავიაზრო ჩემი დღევანდელი მდგომარეობა და თავს უღირსად ვგრძნობ ამ მაღალი პატივისა, მაგრამ ვერ დავთმობ ჩვენი სულიერი ცხოვრების უმაღლეს სათნობას - მორჩილებას, და ამიტომაც ქედმოხრით ვასრულებ ჩვენი უწმიდესი და უნეტარესი საჭეთმპყრობლის ღვთაებრივ ნებას, ჩვენი წმიდა სინოდის მოწოდებას, რომ დავიკავო ღვთივკურთხეული მაღალი დასაჯდომელი.

სასოებით აღმავსებენ მაცხოვრის სიტყვები: „მე თქვეუნ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათე 28,20). ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი არ მიმატოვებს ამ ძნელსა და ღირსთა სავალ გზაზე, რომელზედაც ამქვეყნად ჩემი სულის უკანასკნელ აღმოფშვმვამდე უნდა ვატარო ესოდენ საპატიო და მძიმე ტვირთი. უკუეთუ ღმერთმან მშვიდობისამან გამომარჩია მე, დამიფარავს კიდეც და გამომიწვდის შეწევნის ხელს, როგორც თავის დროს აღუპყრა ხელი მოციქულ პეტრეს.

ესო ქრისტეს მცნება მიმიძღვის იქ, „სადა-იგი სამკალი ფრიად არს და მუშაკნი მცირედ“ (მათე 9,37; ლუკა 10,2). ამიტომ ვპოულობ ჩემს თავში ძალას, რათა დავრთგუნო შიში და გავყვე უფლის ხმას მართლმადიდებელ საგანეში.

ჩვენი უფლისა და მაცხოვრის წინაშე მუხლმოდრეკილი აღვავლენ ლოცვას ჩემი გამორჩევისთვის.

მდაბლად ვიხრი ქედს თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის წინაშე, მეუფეო, მამაო ილია!

ნდობისთვის მადლობას გწირავთ თქვენ, წმიდა სინოდის წევრნო!

ახალ ხარისხში დადგენილი მოგესალმებით თქვენ, წმიდანო მღვდელმთავარნო და ყოველნო სამღვდელონო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისანო.“

ბოდბის ეპარქიაში შედიოდა გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ყვარლის და ლაგოდეხის რაიონები, სადაც ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ადმინისტრაციული წესით იყო დახურული. მეუფე ათანასე შეუდგა მღვდელმთავრის მოვალეობის შესრულებას.

მისი ღვაწლით მოწესრიგდა ბოდბის მონასტერი, გაიხ-

სნა და ეკურთხა: ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების, ველისციხის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა, გურჯაანის მთავარანგელოზის, არაშენის ამალღების, კარდენახის წმიდა საბას, დედოფლისწყაროს წმინდა სერაფიმე საროველის, სიღნაღის წმიდა გიორგის, ძველი ანაგის; ლაგოდეხის რაიონის თელის წმიდა გიორგის, ვარდისუბნის წმიდა გიორგის, ლელიანის წმიდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის, აგრეთვე ლაგოდეხის ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის ეპისკოპოსი ათანასე უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1982 წლის 1 ივნისს აღყვანილიქნა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 1989 წელს მიტროპოლიტის ხარისხში. 1992 წელს გადაყვანილია ალავერდელ მიტროპოლიტად, ხოლო 1993 წლის 1 სექტემბერს ბრუნდება ბოდბის კათედრაზე.

მიტროპოლიტი ათანასე 1996 წლის 21 ოქტომბერს დადგინდა რუსთველ მიტროპოლიტად. 2002 წლის 17 ოქტომბერს რუსთავის ეპარქიას ეწოდა რუსთავისა და მარნეულის ეპარქია.

მიტროპოლიტ ათანასეს ღვაწლით რუსთავისა და მარნეულის ეპარქიაში, სადაც არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია, გაიხსნა და ეკურთხა: რუსთავის წმიდა ვახტანგ გორგასლის, ღვთისმშობლის ხარების, წმიდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, მიქაელ მთავარანგელოზის, გაბრიელ მთავარანგელოზის, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის, წმიდა ნინოს, ცამეტი ასურელი მამის, გრიგოლ ხანძთელის, ალექსი შუშანიას სამლოცველო სახლები. შენდება წმიდა ამალღების, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. მარნეულის ცენტრში გაიხსნა მართლმადიდებლური ეკლესია.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 * 4, SIONI STR, TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

1 ივნისი 1982 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სიონიარ საძარმველის საკანონიერებაში

მისი ყოვლადუსაზღვდელეუსობა, ბოგბელი
ეპისკოპოსი ათანასე საჭარაგელის ეკლესიაში
ერმგული და თავდადებული შრომისათვის
აღფვანლი იწნას მთავარეპისკოპოსის ხარისხში.



ჩილია II

სიონიარ საძარმველის
კათოლიკოს-პატრიარქი

მიტროპოლიტი ათანასე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის უპირატესი მღვდელმთავარია. იგი დაჯილდოებულია წმიდა გიორგისა და წმიდა ნინოს ორდენებით. მინიჭებული აქვს სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება.

METROPOLITA PRAŽSKÝ
A CELEHO ČESKOSLOVENSKA

111 21 Praha 1, V Jámě 6
Telefón 22-52-00



МИТРОПОЛИТ ПРАЖСКИЙ
И ВСЕЯ ЧЕХОСЛОВАКИИ

19

Г Р А М О Т А .

По случаю официального визита делегации Православной Церкви Чехословакии, с благословения Его Святейшества, Святейшего и Блаженнейшего ГОСПОДИНА И Л И И II Католикоса-Патриарха всея Грузии, Его Высокопреосвященство, Господин А Ф А Н А С И Й Архиепископ Бодбийский, 13 октября 1984 года, мной награжден орденом Св. Равноапостольных Мефодия и Кирилла, о чем и выдается настоящая Г р а м о т а .

Г. Дворничук
Митрополит Пражский.

Прага, 22 октября 1984 г.

№ 68/84.



ს რ უ ლ ი ა ლ
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს



ქ ა თ ო ლ ი კ ო ს -
პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

380005, თბილისი-5, სიონის 4. ტელ. 99-69-30

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №148

ს რ უ ლ ი ა ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ო ს ა დ მ ი

15 ივლისი 1989 წ.

გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ უ ლ ი ე წ ა რ ა ბ ო ზ ბ ი ს ე პ ა რ ქ ი ი ს ის ტ ო რ ი ე უ ლ ა დ
დ ი დ რ მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა დ ა მ ი ს ი მ ა ლ ა დ ყ ო ვ ე ლ ა დ უ ს ა მ ლ ე ვ ე ლ ო უ ს ო ბ ი ს,
ბ ო ზ ბ ე ლ ი მ თ ა ე ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ა თ ა ნ ა ს ტ ს ე კ ლ ე ს ი ი ს წ ი ნ ა მ ე დ ა მ ს ა ხ ე -
რ ე ბ ა, ი გ ი 1989 წ ლ ი ს 7 ი ე ლ ი ს ა ლ ყ ვ ა ნ ი ლ ი ე წ ა მ ი ტ ო რ ო პ ო ლ ი ტ ი ს
ხ ა რ ი ს ბ შ ი.

ს რ უ ლ ი ა ლ ს ა ა რ თ ვ ე ლ ო ს
ქ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 * 4, SIONI STR. TBILISI-5, . 380005. TEL. 99-69-30

პ რ ა ვ ე შ ა №92

9 ივნისი, 1996 წელი

მისი შიდადოქტორის კანდიდატის, ზოდბელი მიტროპოლიტი
ათანასე (ჩახვაშვილი) კელესიაში ერთგული სამსახურისათვის
დაჯილდოვდეს სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით.



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

სახელითა უფლისათა

„თქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი. განირყუნეს და ბილწ იქმნეს იგინი ურჯულოებითა. უფალმან ზეცით მოხედნა ყოველთა ზედა ძეთა კაცთასა ხილვად, იყოს თუ ვინმე გულისთქმისმყოფელ, ანუ გამოძიებელ ღმრთისა.“ (ფსალმუნი დავითისი, 13).

ღ ვ თ ი თ !!!

კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა!

„დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანაი დააფუძნე, და ქმნულნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგიე. და ყოველნი ვითარცა სამოსელი დაძველდენ, და ვითარცა შესამოსელი სცვალნე იგინი, და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ, და წელიწადნი შენნი არა მოაკლდენ, ძენი მონათა შენთანი დაემკვიდრნენ, და ნათესავი მათი უკუნისამდე წარემართოს.“ (ფსალმუნი დავითისი, 14).

უფალი გლახაკების თხოვნას ყურს უგდებს და წყალობას უგზავნის:

„მოჰხედა ლოცვასა ზედა მდაბალთასა და არა შეურაცხყო ვედრებაი მათი.“ (ფსალმუნი დავითისი, 14).

ღარიბი გლეხის ოჯახი ჰქონდა მეუფე ათანასეს, თუმცა ძლიერი მორწმუნე მშობლები ჰყავდა. თუ როგორ მოიღო წყალობა მათ წმიდა ოჯახზე უფალმა, გზადაგზა შეიძებოდა.

მეუფე ათანასე ყმანვილობისას მძიმე ავად შეიქნა. ეს ავადმყოფობა, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ანგელოზებისაგან იყო. ასეთ ავადმყოფს ანგელოზებისა-

გან დამიზეზებულს ეძახდნენ. ეს ისეთი დაფარული საქ-
მეა, სულმნათი შოთა რუსთაველი რომ ბრძანებს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს:
ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბა-
დებს“.

შ. რუსთაველის პოემის ამ ამონარიდის მიხედვით, ადა-
მიანს შეიძლება ხილვა ჰქონდეს.

მეუფე ათანასე ბრძანებს:

„უფლის ანგელოზი მოვიდოდა ჩემთან მალლიდან, ცი-
დან გამომეცხადებოდა, როს არ განისაზღვრებოდა მან-
ძილი. იმას კედელი არ უშლიდა, არც ჭერი, არც სიმაღლე,
მეტყოდა; მე ვარ ზეცის მამის ანგელოზი, მოითმინე და
მოიგებო. დროდადრო ჯილდოც მოჰქონდა.

რაკი გამომარჩია უფლის ანგელოზმა, დამავალა სასუ-
ლიერო პირი ვყოფილიყავ. ეს ხდება მაშინ, როცა საქარ-
თველოს ეკლესიები იმდროინდელი ათეისტური მთავ-
რობის მიერაა დახურული. მღვდლები კანტი-კუნტად და
ძირითადად არალეგალურად მოღვაწეობენ. მსგავსად
პავლე მოციქულისა, რომელიც სიკვდილის წინ იტყვის:
„მე გიჟ ქრისტესათვის და თქვენ ბრძენ ქრისტესათვი-
სო“. ჭეშმარიტად, ქრისტემ მოციქულებს უთხრა, თქვენ
გიჟებს დაგიძახებენ, რადგან ამქვეყნიურნი არა ხართო.

„ზეციური პარლამენტი“ ვერ იხილა ვერავინ, გარდა
პავლე მოციქულისა, რომელიც ანგელოზებმა მიიტაცეს
და ზეციურ საიდუმლოებებს აზიარეს. იმ დროს ის მოცი-
ქული არ იყო. ამ ხილვის შემდეგ მან თავს სანაგვეზე გა-
დაგდებულ ხახვის ფერფლი უწოდა, ყველა მოციქულზე
მეტი ეპისტოლე დანერა და მთელ იმდროინდელ მსოფ-
ლიოში დაავზავნა. „რა დავუძახო, რა დავარქვა საიქიო-
სო?“ იფიქრა, იფიქრა და თქვა: „ნეტარი ადგილი“. თავად
ექვტი ეპარებოდა, რომ იქ მოხვდებოდა.

„მთელ ჩემს ოჯახზე უფლის ანგელოზის ზედამხედველობა იყო დანესებული, ამიტომ ოჯახის ხან ერთ, ხან მეორე წევრს ხილვა მოეცემოდა ხოლმე.

გაჭირვებული დრო იყო. დედაჩემს ვუთხარი მოკლე სანთლები ჩამოვქნათ, რომ დიდხანს გვეყოსმეთქი. იმ ღამეს გრელწვერა კაცი - ზეციერი მამა გამომეცხადა, ხელში სანთელი ეჭირა. სანთლის სიგრძე ზეციდან მიწამდე სწვდებოდა.

ჩემს უმცროს დას ექვსი წლის ასაკში ანგელოზები სხვადასხვაგვარად ეცხადებოდნენ: ხან სხვადასხვა ფერის მტრედების სახით, რომლებიც მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტრიდან მოფრინდებოდნენ, ხანაც ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგის სახით, რომელიც თეთრ წმიდა ნათელ გიორგიდან გამოეცხადებოდა...

ჩემს უფროს დას ხილვა სმენით მიეცა. ანგელოზი ლოცვას კარნახობდა.

ღმერთი ტანჯულთა შემწყნარებელია. ჩვენ, მთელი ჩემი ოჯახი ხომ უფლისთვის შეწირული მონა-ტანჯულები ვიყავით.

ასე გადიოდა დრო... ჩოქით, გოდებითა და ვედრებით.“

უფალი სასწაულსაც მოუვლენს ხოლმე მის რჩეულებს. იყო ერთი მენახირე, სახელად თეოდორე. ერთხელ ფერისცვალების დღესასწაულზე მას ღრმა მწუხარება დაეუფლა:

„აი, მორწმუნენი ტაძარში ლოცულობენ, მე კი არ შემოძლიან მათთან ერთად ყოფნა, მუდამ ძროხებთან და თხებთან ვარ,“ — ფიქრობდა იგი. როცა თეოდორე ძროხებს მწყემსავდა, იგი ხატს თოკით ხეზე მიაბამდა და მის წინ საათობით ლოცულობდა. აი, ამ დღესაც იგი განსაკუთრებით მხურვალედ ლოცულობდა და უეცრად ხატის თავზე იხილა უჩვეულო, მზის სხივზე უფრო კაშკაშა ნათელი,

რის შემდეგაც გამოჩნდა მაცხოვარი მოსესთან და ილიასთან და პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულებთან ერთად. რამდენ ხანს გაგრძელდა ხილვა, თეოდორემ არ იცოდა. მხოლოდ საღამოთი მოვიდა გონს, როცა გაახსენდა, რომ პირუტყვის შინ გარეკვისა და მონველის დრო იყო, და ამ მომენტში ხილვაც გაქრა. თეოდორე იდგა და ტიროდა და უფალს სთხოვდა, მიეცა გულისხმისყოფა, ჭეშმარიტი იყო ეს ხილვა თუ მოეჩვენა. მან ამოიღო საყვირი ძროხების მოსახმობად და მინდვრისკენ მიბრუნდა. დანახულმა იგი შეძრა: ძროხები ჩაჩოქილიყვნენ და მათ თვალებიდან ცრემლები სდიოდათ. (ამონარიდი წიგნიდან: „ბერი მღვდელსქემმონაზონი სერაფიმე ვირეცელი.“)

ნეტარხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს:

„... გულითადი სარწმუნოება გაამართლებს კაცს.... ვისაც აქვს ესრეთი გულითადი სარწმუნოება, იმას სარწმუნოების აღსარებაც ექნება საცხოვრებლად.“

როგორც წმიდა პავლე მოციქული I საუკუნეში უფლის ანგელოზებმა „ჭიმითა და აღვირითა“ სარწმუნოებისაკენ მიაქციეს, რის შემდეგაც ქრისტიანული სარწმუნოების უძლიერესი პროპაგანდისტი და მცველი შეიქნა, ისე მეუფე ათანასეც გამოარჩია უფლის ანგელოზმა ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის ქომაგი ყოფილიყო.

რომელნი ესვენ უფალსა...

„ჭიმითა და აღვრითა უქცინე ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნეს. მრავალ გუემა არიან ცოდვითათვის, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა, წყალობაი გარემოადგეს მათ. იხარებდით უფლისა მიმართ და იშუებდით, მართალნო, და იქადოდეთ ყოველნი წრფელითა გულითა.“

(დავით წინასწარმეტყველი, ფსალმუნი 31.)

სოფელი კარდენახი, სადაც მეუფე ათანასემ (ამბროსი ჩახვაშვილმა) ბავშვობა გაატარა შუაგულ კახეთში, გურჯაანის რაიონში მდებარეობს. იგი ისტორიული ქიზიყის განუყოფელი ნაწილია. სოფელი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზეა შეფენილი, რომელსაც ზურმუხტისფრად მოელვარე ალაზნის ველის საძოვრები აკრავს. აქ ალალ და გულმართალ ქიზიყელებში, ღმერთსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ხალხის წიაღში, 1936 წლის 4 თებერვალს დაიბადა იგი. მაშინ არსთა გამრიგე თუ უწყოდა მხოლოდ, რომ ქვეყნად ახლადმოვლენილი ყმაწვილი უდიდესი სასულიერო პირი გახდებოდა.



ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმძიმესი ეპოქაა. ეკლესიამონასტრები დახურულია იმდროინდელი ათეისტური მთავრობის მიერ, ქართველი ინტელიგენცია რეპრესირებულია. მატერიალურად უჭირს ყველას... ბუნებრივია უჭირს მეუფის ოჯახსაც. მშვიერი ბავშვი, ალაზნის ველ-

ზე ეკალ-ჯაგებში ფეხშიშველა დაეხეტებოდა, იძულებით, საზრდოს მოსაპოვებლად ძროხებს მწყემსავდა. საქონლის მეპატრონე დღიურ სამუშაოში ერთ პურს აძლევდა და ამ ტანჯვაში თექვსმეტი წლის გახდა. ჯანმავარი ბავში იყო, მაგრამ მოულოდნელად ძლიერ ავად შეიქნა.

ავადმყოფი ყმანვილი დედამ და ღვთის მონა დედაკაცმა ვარომ, სიღნაღელ მხცოვან ექიმ ვახტანგ მათიაშვილთან მიიყვანეს. მან ყმანვილი გასინჯა და მიუგო:

„შენ ხარ ანგელოზების ავადმყოფი, იარე მონა-ტანჯულთა მონასტრებში, დაუნთე სანთლები უფალს, შესაწირი შეწირე, ილოცე და თანდათან გამოკეთდები“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმხანად საქართველოში ათეისტური მთავრობის მიერ ეკლესიები დახურული იყო და მორწმუნე ადამიანებს იქ შესვლა ეკრძალებოდათ. შესაბამისად შეჩერებული იყო საეკლესიო ლიტურგია. მიუხედავად ამისა დიდძალი ხალხი ლოცულობდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ავადსახსენებელ 1937 წელს მრავალი სასულიერო მოღვაწე და შეწირული მონა-ტანჯული ციმბირში გადაასახლეს და უმონყალოდ დახოცეს...

მეუფე ათანასე მოგვითხრობს:

„ძველად ღვთის მონა-ტანჯულები იყვნენ კახეთში, დღეს აღარ არიან, გარდაიცვალნენ. იმ მონებს მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხი ხალხი იყო, მაგრამ ანგელოზებისაგან ნატანჯები იყვნენ. ზოგმა მონამ ორი ხელი ლოგინი დააღპო და გაცვითა წოლისაგან. ისინი დღე და ღამე მთავარანგელოზის ეკლესიაში ისხდნენ რწმენის გამო.“

მე ამ მონა-ტანჯულების ხელში გავიზარდე.

ანაგის მთავარანგელოზის, თელავის წმიდა ნათელ თეთრ-გიორგის, ალავერდის და სხვა ტაძრებში უამრავი მონა-ტანჯული იყრიდა თავს. ვინაიდან იმხანად კახეთში მღვდელი არ იყო, მათ დიდი როლი შეასრულეს რწმენის

გადარჩენაში.

აღნიშნულ მონასტრებში, იმ დრომდე, ვიდრე სამღვდელ-ლოება საეკლესიო ლიტურგიას განაახლებდა, მთავარან-გელოზმა მღვდლის საქმე იტვირთა, უბრალო ადამიანები დაამიზევა და ხატის ავადმყოფი გახადა. ამიტომ აღნიშ-ნულ მონასტრებში მონა-ტანჯულები მოღვაწეობდნენ. უფლის ანგელოზების გამოცხადებით და დავალებით მათ ქრისტიანული სარწმუნოება არამარტო კახეთში, არამედ სრულიად საქართველოში გადაარჩინეს და რწმენა დღემ-დე მოიტანეს. ისინი საეკლესიო კანონებს - მარხვას და წირვა-ლოცვებს მკაცრად იცავდნენ.

ჭეშმარიტად, სულიწმინდის ჩაგონებით, ექიმმა ავად-მყოფ ყმანვილს ტაძრებში სიარული ურჩია. ეს გახდა დასაწყისი მონა-ტანჯულთა მონასტერში მეუფე ათანა-სეს მოღვაწეობის დაწყებისა. მოგვიანებით ის იგონებდა; „ჩემი ავადმყოფობის მიზეზი ზეციური მამის ანგელოზი იყო, რომელსაც თურმე მეთვალყურეობა ჰქონია ჩემზე დანესებული. ეს ჩანს იქიდან, როცა პატარა ბიჭი ვიყა-ვი, მშობლების ჩუმად სახლიდან გამოვიდოდი და სახლის გვერდით ვლოცულობდი. ზეციური მამის ანგელოზმა უფლის რჩეულ წმიდა პავლე მოციქულის მსგავსად (მას მთელი ცხოვრება თავის ტკივილები ტანჯავდა), გული დამიპატიმრა, რაც ავადმყოფობით გამოიხატა და „ჭიმი-თა და აღვირითა“ ეკლესიისკენ მიმექცია. ჩემი ავადობის ნამდვილი მიზეზი მოგვიანებით თავად ანგელოზმა გამო-მიცხადა: -“ჩვენი პატიმარი უნდა იყო, ჩვენ უნდა გვემსა-ხურო, შენ გირჩევთ მღვდლადო.“

ავადმყოფობა გამოხატული იყო უცნაური ფორმით, გულზე უხილავი გველი მქონდა შემორტყმული და მარ-წუხებით მიჭერდა.

მართალია ვიტანჯებოდი, მაგრამ გონება არასოდეს

დამიკარგავს, უფალს ვთხოვდი, ძალა მოეცა. ანგელოზ-
მა კი ტანჯვა დამინესა: „ძალას მოგცემ, მაგრამ გამექ-
ცევით.“ და ისე ცუდად გამხადა, თითოს ვერ ვატოკებდი.
მაშინ მე მიკვირდა, ამხელა სასწაულების ქვეშ მყოფი სად
გავექცევიოქო“.



მეუფე ათანასეს სახლთან ახლოს მთავარანგელოზის
მონა-ტანჯულთა მონასტერი მდებარეობდა, სადაც სა-
სიკვდილოდ გადაღებული ავადმყოფი ცხენზე გარდი-

გარდმო გადაკიდებული აიყვანეს. ამ დროს მას ხილვა ჰქონდა:

„ვხედავდი ჩემს გულ-მკერდში როგორ დაენთო რამდენიმე კოცონი, მერე გაერთიანდა და ავიზგიზდა. გზაში კოცონები უფრო ძლიერდებოდა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გულს ქვაბში ხარშავდნენ. ეს შეგრძნება ჯერ გულის მხარეს დაიწყო და მერე მარჯვენა მხარეზეც გადავიდა.

მონასტერში რომ მიმიყვანეს, მძიმე და ანგელოზისაგან დამიზებებულ ავადმყოფებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კუთხეში, რომელსაც მდებრის კუთხეს უწოდებდნენ, იქ დამდეს. მდებარე გველს (ანგელოზს გულისხმობენ) ნიშნავს. მლოცველებს გამოეყო ერთი მონა-ტანჯული დედაკაცი და პირჯვარი გადამსახა სიტყვებით: „შვილო გადაგარჩინოსო“ და შეშინებული გაიქცა.

ის ღამე მდებრის კუთხეში გავატარე. რალაც ძალა ყელში მიჭერდა და მახრობდა, ამ დროს მე სიკვდილის პირზე ვიყავი. მეორე დღეს ურემზე დასვენებული მომაკვდავი სახლში მიმიტანეს. მთავარანგელოზის მონასტრიდან სახლამდე ხილვა სხვანაირი ფორმით გრძელდებოდა. თუ დასაწყისში ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს გულ-მკერდს ქვაბში ხარშავდნენ, ახლა გულ-მკერდი თითქოს შინაგანად გაშრა და ხმოზა დაიწყო. ამ დროს ასეთი სიტყვებით ვლოცულობდი: „ღმერთო მე ხომ გამაფუჭე და ვეღარ აღმადგენ, გთხოვთ სხვა არ გაიმეტო ასეთი ძლიერი ტანჯვისთვის. თუ აუცილებელია, ცოტა მსუბუქად დატანჯე“-თქო.

დედაჩემმა ჩემი თავი ამ მონასტერს შესწირა: „ოღონდ ნუ მომიკლავ და შენი იყოსო“, მამამ ხელები მაღლა ზეცისკენ აღაპყრო და მთავარანგელოზ მამა მიხეილს სთხოვა: „სული სულია, ამის სანაცვლოდ ჩემი სული მიიღეო“.

ამ სიტყვებით და ვედრებით მონა-ტანჯულებთან ერთად ჩემი მშობლები ტაძარს გარს უვლიდნენ.. მამაჩემს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.“

თითქოს თავი უკეთესად უნდა ეგრძნო, მაგრამ ძალიან მძიმედ შექმნილა, ავადმყოფის მობრუნება არ იქნა. ამიტომ ხან ცხენზე გადაკიდებული, ხან ურემზე დასვენებული მომაკვდავი მშობლებს სხვადასხვა ტაძრებში დაჰყავდათ: ხან თელავის თეთრ ნათელ გიორგის ტანჯულთა მონასტერში, ხან ყვარელში ახალსოფლის წმ. გიორგის სახელობის თავნმიდა გიორგის სალოცავში, ხან ალავერდში, ძირითადად კი ანაგის მთავარანგელოზის მამა მიხეილის მონა-ტანჯულთა მონასტერში იმყოფებოდა. საერთოდაც, პერიოდულად მთელი კახეთის მონა-ტანჯულები ამ მონასტრებში იყრიდნენ თავს.

მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტერში უამრავი ტანჯული მონა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ესენი უბრალო ადამიანები იყვნენ.

იმ დროს ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტერში სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის მკვიდრი, მღვდელი მიხეილ ზურაბიშვილი ჩუმად, მთავრობისთვის დამალულად, მოღვაწეობდა.

დედა ვარო, რომელმაც ავადმყოფი ყმაწვილი ექიმთან მიიყვანა, სულ იქ იყო და თავისი მოღვაწეობით თანამედროვე ილუმენის მოვალეობას ასრულებდა. მას მონასტერში ხშირად სიარულის გამო თურმე მეუღლე უბრაზდებოდა. ეს მთავარანგელოზს ენყინა და ის კაცი მოკლა.

დედა-ვაროს საიქიო ცხოვრება ჰქონია ნახული. მას უხილავს ანგელოზებმა სული ჭახრაკით როგორ ამოაცალეს, სხეული კი დამარხეს. ეს მათ იმის გამო ჩაიდინეს, რომ ძლიერი მორწმუნე გამხდარიყო. მსგავსად პავლე მოციქულისა, რომელიც ანგელოზებმა მესამე ცაზე მი-

იტაცეს და საიქიოს არსებობის საიდუმლო ახილვინეს. ამის შემდეგ მან იფიქრა, იფიქრა და საიქიოს „ნეტარი ადგილი“ უწოდა.

დედა ვაროს საიქიოდან მობრუნების შემდეგ მის მეუღლეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და შესანიერი მოსთხოვა, ჯავის წმიდა გიორგის ჭედილა უნდა მოუყვანო.

– ფული რომ არა მაქვს, მშვირები ვიხოცებითო.

– წადი ბაზარში, იშოვიო.

წავიდა კაცი ბაზარში და იმ ადგილას დადგა, სადაც ცხვრები იყიდებოდა. ცხვრების გამყიდველმა დალონებული კაცი რომ დაინახა, მიზეზი ჰკითხა.

კაცმა მიუგო, უფალს ცხვარი შევუთქვი, საყიდელი ფული კი არა მაქვსო.

წამოდიო, წაუძღვა კაცს, თავის ხელით აარჩევინა ცხვარი და გამოატანა. კაცმა შეძლო უფლის ანგელოზის დავალება, ცხვარი ტაძარს შესწირა.

კურატად შეწირული მეუფე ათანასე დიდ დროს ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტერში ატარებდა, ამის გამო მასაც ჰქონდა პატარა კელია, რომელიც დღესაც არსებობს.

როცა შაბათი დაღამდებოდა, მონა-ტანჯულები ლიტანიობას შემდეგი გალობით იწყებდნენ:

„იანანა, ვარდოენანა, იანანინანა,
ნანა და ნანა ზეციურ მამას, დალოცოს საქართველო,
ნანა და ნანა მთავარანგელოზ მიხეილს, დაგვილოცოს
ოჯანები,

ნანა და ნანა დედალუთისმშობელს,
ნანა და ნანა მძიმთამძიმე რჯულისთავ ალავერდს,
ნანა და ნანა თელეთის წმიდა გიორგის,
არაფინ ვაკვითქერო ოჯანში, იანანინანა.“

ეს იყო მონა-ტანჯულთა ლალადი.

ისინი სარწმუნოებისთვის უფლის ანგელოზის მიერ ტანჯულები იყვნენ და ამიტომაც ტანჯულ საგალობელს გალობდნენ.



ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტერში საუკუნის დედაკაცი დედა-თებრო (1846-1946) მოღვაწეობდა, რომელიც იქვე მონასტრის ეზოშია დაკრძალული. დიდი მორწმუნე დედაკაცი, დაბადებიდან უფლისთვის იყო შეწირული, სამი თვის ყოფილა, როცა მონასტრის კართან დაუტოვებიათ, ამიტომ მთელი ცხოვრება იქ გაატარა. თებროს საფლავის მახლობლად მისი საგვარეულო ზედაშეები

დაცული. იგი ვაქირელი ჭრელაშვილის ქალი ყოფილა, ამიტომ ბუნებრივია საგვარეულო თიხანაკურთხი ვაქირში ჰქონდა. უფლის მონა-ტანჯულები თებრო-დედას საგვარეულო ზედაშეზე სალოცავად, როგორც მეუფე ათანასე იხსენებს, „ხშირად დავდიოდით და მისი ანგელოზიც გვმფარველობდა“.

ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტერში მეუფე ათანასეს ყოფნის დროს მოღვაწეობდა ერთი უბრალო, მაგრამ დიდი მორწმუნე, მონა-ტანჯული კაცი გიორგი ნადირაშვილი. ამ მოხუცმა კაცმა მას იქ ყოფნის დროს ძველი ქართული ანბანი და წერა-კითხვა შეასწავლა. პირველი წიგნი, რომელიც გადაუშლია, მონასტერში სასწაულით გადარჩენილი, ხუცურით დაწერი-

ლი, დაწყებითი კლასის სახელმძღვანელო ყოფილა. მას ახლაც ახსოვს წიგნში ამოკითხული სიტყვები: „ნი-ნი-ლი, ჯე-ჯი-ლი, ილოცე ღმერთი, პატივი ეცი მშობლებს“ და სხვა. ისწავლა როგორც ხუცური, ისე მგლოვანი დამწერლობა. ეს უფლისთვის შეწირული მონა-კაცი იოანე წინამორბედს დამსგავსებოდა და ჩამოგლეჯილ-ჩამონენილი სიღნაღის ქუჩებს გვიდა.

მეუფე ათანასეს სასულიერო სემინარიის მონაფეობისას ეს მონა-კაცი თავის ხელფასის ნახევარს უგზავნიდა მცხეთაში. მოგვიანებით კი როცა ის სასულიერო პირი გახდა, ღვთის მონა-გიორგი ნადირაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II -ის კურთხევით, წმიდა ნინოს მონასტერში ბერად აღკვეცა. ეს არის მეუფე ათანასეს მიერ ბერად აღკვეცილი ერთადერთი ადამიანი. ამის შემდეგ ბერი გიორგი (ნადირაშვილი) მალე გარდაცვალილა. იგი მეუფე ათანასეს მისსავე მშობლიურ სოფელ ნუკრიანში, საგვარეულო სასაფლაოზე, დიდი პატივით დაუკრძალავს. გარდაცვლილისათვის ასეთი პატივის მიგების გამო ხალხი მაღლიერი დარჩენილა, ერთ-ერთ მათგანს მსგავსი პატივით დაკრძალვა უნატრია კიდევ.

ანაგის მთავარანგელოზ მიხეილის მონა-ტანჯულთა მონასტერში მეუფე ათანასემ მონა-ტანჯულებისგან უამრავი ხილვა და გამოცხადება მოისმინა. მას ხილვა მაშინვე არ მიეცა, ოთხი-ხუთი წელი მარტო ტანჯვას განიცდიდა.



ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტრის შემოგარენში რამდენიმე სალოცავი ნიშია აღმართული. ეს მისალოცებია:

წმიდა ელიის, წმიდათანწმიდა თელეთის, აღდგომის ეკლესია, თებრო დედას საფლავი, ალავერდის კუთხე, ხორველების კუთხე, მდებრის კუთხე, ღვთისმშობლის კუთხე...

საყურადღებოა, რომ როცა მეუფე ათანასემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს მისი თავგადასავალი უამბო, მან სპეციალურად გააჭედინა წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის ხატი და ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტერს შესწირა. ეს ხატი დღესაც მონასტრის საკურთხეველში ასვენია.



საბგარბოვო გედაფიები

„და მოილო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისაგან ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატყევებლად ცოდვათა.“ (მათე 27. 28.)

რა ქარტეხილი არ გამოიარა საქართველოს ისტორიული კუთხის - კახეთის მიწამ, რა არ ამოიძერწა ისტორიული წარსულის მრუმე სიღრმეებიდან... რამდენმა და რამდენნაირმა მტერმა და დუშმანმა არ სცადა მისი ფეხ-ქვეშ გათელვა, ნასათუთევი ჭეშმარიტი სარწმუნოების მოსპობა...

სწორედ ამ ისტორიული კუთხის ზედაშეებმა შემოინახეს ქართული სულის საგალობელი. კახელმა გლეხკაცმა ქვევრები ჩაყარა, შემოდგომაზე ალალი შრომით მოწეული ვაზის ოქროსფერი მტევნები მზეს შეადარა, ჭირნახული დაწურა და ნატურალური ღვინო ქვევრებში ჩაასხა. მერე ქვევრებს სალოცავთა სახელები დაარქვა, წმიდა სანთლები დაუნთო და უფალს ოჯახის კეთილდღეობა, ხვალი და ბარაქა შეავედრა. სამშობლოს მშვიდობიანობა, მტრის სიმცირე და სიკეთე უსურვა.

ზედაშე — თიხანაკურთხი მატერიალურად ქვევრია. მაგრამ კურთხევის შემდეგ ის ძალას იძენს, საგვარეულო სალოცავი ხდება.

ზედაშეს რომ მოხდიან, თავანკარას ამოიღებენ იმ სალოცავში შესაწირად, ვის სახელზეცაა ის ნაკურთხი.

თავანკარა იმ ნაკურთხი ღვინის სახელია, რომელიც თიხანაკურთხში ასხია. როგორც მეუფემ ბრძანა: „ზედა-

შეს ღვინო თიხანაკურთხის თავშიც და ძირშიც თავანკარაა.“

ზედაშეებში განცხადდა ვაზის საიდუმლოება: „მე ვარ ვაზი ქეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახე.“ (იოანე, 15,1).

წმიდა წინომ ვაზის ნასხლავით მოაქცია წარმართი ქართველები ქრისტეს სჯულზე.

ქართველთა მეფემ დემეტრე I-მა დედაღვთისმშობელს საგალობელი მიუძღვნა: „შენ ხარ ვენახი“ და დედა ღვთისა ახლადაყვავებულ ვენახს შეადარა, ედემში დანერგულს...

„შენ ხარ ვენახი,
ახლად აღყვავებული,
ნორჩი კეთილი,
ედემში დანერგული,
აღვა სულსნელი,
სამოთხით გამოსრული,
და თავით თვისით მსე ხარ
გაბრწყინებული.“

ზედაშეებში ცხადდება ქართული სულის სინმიდე და პატივისცემა უფლისა ჩვენისა მაცხოვრისა იესოს წინაშე.

ამდენად, ზედაშე საეკლესიო დღესასწაულისთვის საგანგებოდ შემონახული, ნატურალური წითელი ღვინოა, რომელიც ქრისტიანული საიდუმლოების ზიარების და ჯვრისწერის დროს გამოიყენება ქრისტიანულ ტაძრებში. ზედაშე კი როგორც ზემოთ მოგახსენეთ მათთვის განკუთვნილ, საგანგებოდ ნაკურთხ ქვევრებში იხმება. მას თიხანაკურთხსაც ეძახიან, მამაპაპეულსაც... ზედაშეები საგვარტომო წმიდათა წმიდა სახელებია. საგვარტომო თიხანაკურთხები პირადი სალოცავი არის გვარისათვის,

ზედაშეებს კახეთში განსაკუთრებით უფრთხილდებიან და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახი საცხოვრებელს იც-

ვლის, მას ხელუხლებელს ტოვებს.

აი, ამ თიხანაკურთხებს, მამაპაპეულ სინმიდეს უკავშირდება მეუფე ათანასეს მორიგი ხილვა:

„ჩახვაშვილთა საგვარეულო ზედაშეზე, ნაგვით ავსებულ თითო ქვევრზე თითო თეთრწვერა კაცი იჯდა. ისინი ანგელოზები იყვნენ.

ანგელოზებმა თავი მომაჭრეს, შინაგანი ორგანოები: გული, ღვიძლი და კუჭი ამოიღეს და რაც იმ ქვევრებში სიბინძურე იყო ჩატენილი, ჩემში ჩატენეს. ქვაც კი მედო მუცელში. ზემოდან რომ ჩავიხედე, ეს ფიზიკურად ჩანდა. მუცელზე ხელი დავიდე. ერთი ათკილოიანი ქვა იდო და ფეთქავდა. ძალიან შემანუხებელი იყო, თავს ცუდად ვგრძნობდი“.

ანაგის მთავარანგელოზის მონა-ტანჯულებმა მეუფეს ურჩიეს ზედაშეებისთვის საუბნო თაყვანისცემა ჩაეტარებინა, სანთლები აენთო და ელოცა.

ჩახვაშვილთა საგვარტომო ზედაშეები მიტოვებული იყო. მამა-პაპა საცხოვრებლად მოშორებით ჩავიდა და ისინი, რადგან ღვთისა იყო, ხელუხლებლად დატოვა. საგვარეულო ზედაშეები იოანე ნათლისმცემლის, ზეციური მამის და ალავერდის სახელზე იყო ნაკურთხი. ძველი სახლის საძირკველში ნმ. გიორგის სახელობის ზედაშეც აღმოჩნდა.

ამ ზედაშეებში ადრე ღვინო ისხმებოდა, იმ დროს როცა მეუფეს ასეთი ჩვენება მიეცა ანგელოზებისაგან, იქ მამა-პაპეული მარანი დიდი ხნის გაუქმებული იყო. ეს ტერიტორია მოსახლეობამ სანაგვედ გადააქცია და ქვევრებიც ჭუჭყით აივსო.

მთავარანგელოზის მონასტრის მონა-ტანჯულთა რჩევით, მეუფის დედამ სოფო ტეტელოშვილმა ზედაშეების დანმენდა-დასუფთავება ითავა. მან ჩახვაშვილთა საგ-

ვარეულოში შეაგროვა შემოსანირი და განმენდილ-გასუფთავებულ ზედაშეზე შესანირი მოზვერი და ჭედილა დაიკლა. საგვარეულო სუფრა გაიშალა და საუბნო თაყვანისცემა ჩატარდა. დასალოცად მთავარანგელოზის მონა-ტანჯულთა მონასტრიდან ორი მონა-ტანჯული და იქ არალეგალურად მოღვაწე მღვდელი მამა მიხეილი (ზურაბიშვილი) მოიწვიეს. მეუფე მოგვითხრობს:

„როცა საგვარეულო მაგიდა გაენყო, მღვდელმა პარაკლისი გადაიხადა და მონა-ტანჯულებმა თავისებურად დალოცეს, მძიმე ავადმყოფი ყმანვილი ზედაშეებთან დამანვინეს, სადაც პურის და საჭმელის სუნზე უფრო ცუდად გავხდი. ანგელოზებმა პირი არაფერზე დამადებინეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ საღმრთო შეინირეს. ისე მძიმედ შევიქმენ, დედამ საუბნო ლოცვა მიმატოვებინამაინც მოკვდებო და სახლში, რომელიც იქვე ახლოა გადამიყვანეს და სარეცელზე დამდეს. იმ წუთიდან დაიწყო სასწაული. საქმე ის არის, ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი პირისპირ, იქვე სარეცელზე გამომეცხადა. შიგნეულში მფეთქავი ქვა და დაგროვილი „ნაგავი“ მან სასწაულებრივად თანდათან გააქრო და მარცხენა მხარეს, გულის გარშემო გველი კი დატოვა. როგორც პავლე მოციქულს უთხრა უფალმა, მაგ შენ თავის ტკივილში ჩემი სიძლიერეაო, ისე ჩემს გულის ტკივილში უფლის სიძლიერე გამოიხატა.“

როგორც მეუფისთვის ცნობილი გახდა, უფლის ანგელოზი თავის სამსახურში იწვევდა, ამიტომ ის ტანჯვა, რომელიც მან ამისთვის მოუვლინა თანდათანობით თითქოს ნელდებოდა, მაგრამ ბოლომდე არ ეხსნებოდა.

მოგვიანებით, გამოცხადების და ზედაშეზე საუბნო თაყვანისცემის ჩატარების შემდეგ მეუფე ათანასემ საგვარეულო თიხანაკურთხეებს ოთახი დაადგა და აქედან მო-

ყოლებული ყოველწლიურად საუფლო დღესასწაულებს ღრმა რწმენით, ლოცვით და კურთხევით თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად აღნიშნავს.

მეუფემ ბავშვობის უმნიშვნელოვანესი წლები ტეტელოშვილების ოჯახში გაატარა, ამიტომ მათ ზედაშეებზეც ჩაუტარეს საუბნო ლოცვა.



წმიდა გიორგის სასწაულები

„ნათელ ჰყავ შვიდ წილ სამყარო, ახოვანო ღვანლნი რა თავს ისხენ, დიდო მონამეთა მთავარო, მხნეო წმიდაო გიორგი, გვიხსენ ჭირისაგან და მეოხ გვეყავ წინაშე ღვთისა.“

(წმიდა გიორგის ტროპარი)

დიდმონამე წმიდა გიორგი დიდგორის ბრძოლაში სახიერად და განცხადებულად წინ უძლოდა ქართველთა ლაშქარს, რის გამოც ეს ომი ისტორიაში „ძლევაჲ საკვირველი“-ს სახელით შევიდა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ დიდია წმიდა გიორგის ძალი და მადლი ქართველებზე და ამას განსაკუთრებული ძალით უფლის ანგელოზთა რჩეულები გრძნობდნენ.

ღვთისთვის შეწირული მონა-ტანჯულები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოსალოცად საქართველოს მონასტრებში მიმოდითდნენ. ძირითადად კი ანაგის მთავარანგელოზ მიხეილის სახელობის მონასტერში იმყოფებოდნენ. წინასწარ დაგეგმავდნენ ხოლმე რომელიმე მონასტერში მოსალოცად წასვლას. ანაგის მონასტერში მხოლოდ ის მონა-ტანჯული რჩებოდა, რომელსაც ტაძრიდან გაუსვლელიობის ფიცი ჰქონდა დადებული.

თელავის (ახლანდელი ახმეტის) თეთრ ნათელ გიორგის სალოცავში რომ მივიდოდნენ, უდიდესი რწმენით და აანთებდნენ სანთლებს, ლიტანიობით გარს შემოუვლიდნენ ტაძარს და ლოცულობდნენ. მონასტერში იმ დროს მოღვაწეობდა სასულიერო პირი, დეკანოზი რეზო მეზვრიშვილი. მონა-ტანჯულები აქ ესწრებოდნენ და უსმენდნენ ლოცვებსა და წირვებს, ამბობდნენ აღსარებებს და

ეზიარებოდნენ. ამ მდგომარეობაში მონასტერში ზოგჯერ ერთი თვე რჩებოდნენ. აღნიშნულ მონასტერს იმდენი მრევლი ჰყავდა, ახლო-მახლო მინდვრები ხალხით ივსებოდა. მეუფე ბრძანებს:

„უფლის ანგელოზი, მისთვის შეწირულ მონა-ტანჯულებს სარწმუნოებისათვის გვტანჯავდა, სხვანაირად რომ ვთქვა, გვლახავდა. ბიბლიაში რჩეულებს უფალი მიმართავს: „მიყვარხარ, გლახავ და გსწავლიო.“ მე განსაკუთრებით ძლიერად მტანჯავდა, ამას იმისათვის მომივლენდა, რომ ანგელოზის ძალა მთელი არსებით შემეგრძნო. ნათელი წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, ეს რა განცდა იყო, შევეცდები შეძლებისდაგვარად მოგითხროთ ამის შესახებ. ანგელოზს მე გულთ ვყავდი დაპატიმრებული, ამიტომ მარწუხებს სწორედ გულში მიჭერდა, სუნთქვა მეკვროდა, მერე როდის, როდის პირიქარი მეწყებოდა. ამით ანგელოზი ნიშანს მაძლევდა, რომ ჩემს გვერდით იყო. პირიქარი ზოგჯერ სამ საათს გრძელდებოდა და უცნაურ ხმებს გამოვცემდი.

თეთრ-ნათელ წმიდა გიორგის სალოცავში ანაგის მონა-ტანჯულები ყოველწლიურად დავდიოდით. ეს პერიოდი დაახლოებით 12-15 წელი გაგრძელდა.

ერთხელ გიორგობამდე (23 ნოემბერი) ერთი კვირით ადრე ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის თავი წმიდა გიორგი გამომეცხადა და მიბრძანა: „ოჯახის ყველა წევრი, დიდი და პატარა ჩემს დღეობაში გამოცხადდითო.“

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის წმიდა გიორგის სახელობის თავი წმიდა გიორგის სალოცავი მთელ კახეთს კავკასიონის მთის სიმაღლიდან გადმოჰყურებს. სალოცავის მოპირდაპირე მხარეს ტრიალ მინდორზე ასწლოვანი ცაცხვის ძირას მისალოცია მოწყობილი. მორწმუნეები, რომლებიც ტაძარში ასვლას ვერ ახერხებენ,

ამ მისალოცთან ანთებენ სანთლებს, როგორც ეკლესიას გარს უვლიან და ლოცულობენ.

იმ ცაცხვის გარშემო საღვთოს ანთებული სანთლით ხელში შემოატარებენ, ანგელოზისაგან რჩეული დაამწყალობებს, დალოცავს და სთხოვს ოჯახის შემწეობას. შემდეგ შესანიშნავად: ცხვრის მარჯვენა ბეჭს, პურს, ქადას და ღვინოს, აგრეთვე ფულს... ცაცხვთან, სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე დადებენ და მთავარმონაშემ გიორგის სახელზე შეწირავენ.

მეუფის ცხადებაში სწორედ აღნიშნულ სალოცავში უხმობდა წმიდა გიორგი. მეუფე იხსენებს:

„შემდეგ გამოცხადება გაგრძელდა და ასეთი რამ ვიხილე:

ვითომ დღეობაში ვარ და დამეკარგა შუათანა შვილი — მარინე. იქვე, მდინარეზე ჩავირბინე, დაკარგულ ბავშვს ვეძებდი. გავიხედე და რას ვხედავ, ის მდინარის პირას მკვდარი ძევს, ვითომ კოლომ ყურიდან სისხლი გამოსწოვა და ამით მომიკვდა. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. მე ტირილი დავინწყე.

მოულოდნელად მალლა მთიდან დაეშვა ახალგაზრდა ქაბუკი. მტირალი რომ მნახა, მკითხა:

— რა დაგემართაო?

მე მკვდარ შვილზე მივუთითე.

— ნუ გეშინიაო, მითხრა, ბავშვს სული შთაბერა და გააცოცხლა.

მოვეხვიე და ვკითხე:

— ვინა ხარ მეთქი?

— რატომ მოგიწყენიაო, მითხრა, შენი ძმა, წმიდა გიორგი ვარ და არასოდეს დაგალონებო.

წმიდა გიორგობის დღესასწაულიც მოვიდა. გამოცხადების მიხედვით სალოცავად მთელი ოჯახი წავედით,

ჩვილი მანანა აკვნით ავიყვანეთ. ჩვენთან ერთად ჩვეულებრივ დედაჩემიც იყო.

რადგან მე უკვე ანგელოზებისაგან დალოცვილი მღვდელი ვიყავი, კახელმა ხალხმა ეს იცოდა და საღვრთო შესაწირს მე მამწყალობინებდა. ბუნებრივია, იმ ღამესაც ღვთისგანაც და მორწმუნე ერისაგან დამმწყალობლებლად მე ვიყავი არჩეული.

საზოგადოდ, იმისდა მიხედვით თუ რომელ სალოცავში ვიყავი, შესაბამის ტროპარებს წარმოვთქვამდი. ახლა რადგან წმიდა გიორგის სალოცავში ვიმყოფებოდი, მთელ სამწყსოს წმიდა გიორგის ვავედრებდი.

ავედით რა სალოცავში, ჩავატარეთ პარაკლისი და ერთ-ერთ ადგილზე დავბანაკდით. შუალამე გადასული იყო, რომ ქარმა დაბერა, კოცონებიდან წამოღებული ბოლი პირდაპირ სახეში გვცემდა. ბავშვიც ტიროდა. ამის გამო

გამოვთქვი აზრი, ღამე იქვე მახლობელ სოფელში, ნაქირავებ ბინაში გავვეთენებინა. დედაჩემს შეეშინდა, ვაითუ ანგელოზი გაგვინანყენდესო და სალოცავში დილამდე დარჩენა მირჩია. მე მაინც



წამოვიყვანე ოჯახი სოფელში, რათა რამდენიმე საათი დაგვესვენა და ისევ სალოცავში ავბრუნებულიყავით. იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, დილაუთენია სალოცავში დავბრუნდით, სადაც მე დამწყალობება და ნათლობები შევასრულე. მაგრამ სახლში, კარდენახში რომ დავბრუნდით, დედაჩემის ნათქვამი წინასწარმეტყველივით ამიხდა. ანგელოზი გაგვინანყებდა. ამჯერად ხილვა სმენით მოგვეცა, ხან ერთ ბავშვს შემოარტყამდა სახეში, ხან მეორეს და ჩვენ სილის განწიხ ხმა გვესმოდა. ამ დროს მეჩვენა, ჩემი სახლის სახურავზე ჯვარი იყო აღმართული, რომელზეც ეწერა „ალავერდის ქუმბათი“. ამით წმიდა გიორგი უფლის წინაშე ჩემს მოვალეობას შემახსენებდა, რომ მე არ ვიყავი უბრალო ადამიანი, რომელსაც როცა უნდა დატოვებდნენ სალოცავს და უფლისგან არც მოეკითხება.“

განანყებულნი წმიდანის შემოსარიგებლად წმიდა თავწმიდა გიორგის სალოცავში მეუფე ათანასე სამი წელი ზედიზედ საღვთოს წირავდა და შემოწირულობებს გლახაკებს ურიგებდა.

მოგვიანებით, როცა ის ველისციხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მღვდლად მოღვაწეობდა, გამოეცხადა თეთრი წმიდა გიორგი და უთხრა, რომ მეოთხე შვილი ვაჟი ეყოლებოდა. ამ გამოცხადების შემდეგ წმიდა გიორგის სახელობის პარაკლისი მეუფემ თავის ოჯახის დასალოცად წინასწარ გადაიხადა. გავიდა ცოტა ხანი და მართლაც მის მეუღლეს ვაჟი შეეძინა, რომელსაც გიორგი დაარქვეს.

გავიდა დრო, გიორგიმ სასულიერო სემინარია დაასრულა, მისი უწმიდესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით თელავის ღვთაების ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს. ათი წლის განმავლობაში გიორგი ბოდბის დედა ნინოს მონასტერში

მღვდლად მოღვაწეობდა. დღეს იგი ანჩისხატის ეკლესიის მოძღვარია.

მეუფემ ერთხელ ასეთი ცხადება ნახა:

„თბილისიდან კარდენახში დილით ადრე ჩავედი. სახლის დერეფანში რომ შევედი, მეორე სართულიდან ჩამომავალი კაცი დავინახე, რომელსაც ხელში ცელი ეჭირა. ვკითხე ვინა ხარ, ამ ჩემს სახლში რას დადიხარმეთქი.

– წმიდა გიორგი ვარ, შენ რომ სახლში არა ხარ, აქაურობას ვყარაულობო.

მეუფე ათანასეს და-მარინე ათი წლის გათხოვილი იყო, რომ დამუნჯდა. მერე ხილვა მიეცა, ჭუჭყიან და სისხლიან ქვევრს ხედავდა. ასეთ მდგომარეობაში იმის გამო ჩავარდა, რომ დიერაშვილების ოჯახი, სადაც გათხოვილი იყო, ურწმუნოები და უნათლავები იყვნენ. ოჯახს მიტოვებული ზედაშეები ჰქონოდა სოფელში.

მიტროპოლიტ ათანასეს გვერდით
დგას მამა გიორგი (ჩახვაშვილი)



გამოცხადება, რომელმაც მეუფე ათანასე სასულიერო ბგაგი დააყენა

„რამეთუ რომელი უყვარნ უფალსა, ჰსწავლის და სტანჯის.

(გამოცხადება იოანესი 3.19) ეს მე ვარ-მეუფე ათანასე.“

მეუფე ათანასე უფლის ანგელოზების ჩაგონებით და უცნაურ ავადობათა მოვლინების წყალობით, უფლისათვის შეწირული მონა-ტანჯული მანამ გახდა, ვიდრე ოფიციალურად შეუდგებოდა სასულიერო მოღვაწეობას. მოგვიანებით იგონებდა: „მე რომც მომენდომებინა სასულიერო გზიდან გადახვევა, უფლის ანგელოზები დამსჯიდნენ, ხოლო დასჯა როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ავადმყოფობის მოვლინებით გამოიხატებოდაო“.

1965 წლის შემოდგომაზე უფლის ანგელოზებისაგან მოვლენილი ხილვა:

„კახურ სოფლის გზაზე მივდიოდი. ზაფხულის კაშკაშა მზიანი დღე იყო. გზის პირას ორსართულიანი სახლი იდგა. ეზოში ისე შევედი, თითქოს დამიბარეს. სახლის მეორე სართულზე კარები ღია იყო. ეზოში იწვა არაამქვეყნიური ძალლი და ნიგოზს შეექცეოდა. ძალღმა მიცნო და არ შემიღრინა. მე მას გვერდი ავუარე და ორსართულიანი სახლის კიბეს მივადექი. იმ სახლში რომ შევიხედე, სამი ბრძენი თათბირობდა. ასეთი სიბრძნე დედამინაზე არ არსებობს. ეს წმიდა სამება-ცის დიდება თათბირობდა.

დაბლა მდგომს მენიშნებოდა, რომ ჩემს შესახებ ლაპარაკობდნენ. მერე ჩემთან ჩამოვიდა ძველქართულ ტანისამოსში გამოწყობილი მანდილოსანი. ეს მანდილოსანი

სიონის დედაღვთისმშობელი იყო.

მე რომ დამინახა, კიბეზე უკან აბრუნდა და სამ ბრძენს უთხრა: თქვენთან სტუმარი მოდისო. იმათ უთხრეს დაბლა მოგვიცადოსო. მართლაც, იმ სამი ბრძენიდან ერთი გამოეყო და დაბლა ჩამოვიდა კიბეზე, მე ავფრინდი და მის ფეხებთან მუხლებზე დავეშვი. მან საჩუქრად მხედრულით დანერილი წიგნი გადმომცა, რომლის სათაური იყო: „პარიზის ციხის ქვეშ“. ერთი საჩუქარი კიდევ უნდა მოგართვა, აქ დაიცადეო და მომიტანა ხუცურით დანერილი საეკლესიო წიგნი „ჟამნი“.

რადგან ნუსხა-ხუცური დამწერლობა ჩემთვის უცხო არ იყო, მას ვუთხარი, რომ ამ წიგნის კითხვა ვიცოდი. მან მიპასუხა: ვიცი, ჩვენ გასწავლეთო. კიდევ დამაცდევინა, ისევ აბრუნდა და ამჯერად ის აფრინდა და ჩემს წინაშე მუხლებზე დაეშვა. მე ვიფიქრე ეს რა ზრდილი ადამიანები ყოფილან, მესამედ ის თავად დაეშვა მუხლებზე ჩემს წინაშე-მეთქი. მან კამკაშა ქალღმრთაღმარებულის ნათელი სინი ჩამომიტანა, რომელზეც ეწყო: ოთხი კამფეტი, ქათმის ფრთა, ოთხი მანეთი ფული და კახური თონის პური. პურს წითელი ბანტი ქონდა შებმული. წითელი ბანტი საღმრთოს ნიშნავს. თან გამომელაპარაკა: ჩვენ გირჩევთ მღვდლადო.

მე ვუპასუხე, მორწმუნე ვარ, მაგრამ მღვდლობა არ მინდა-მეთქი. არ გინდა და მგლის ბილეთს მოგცემთ და ვერსად ვერც იმსახურებ და ვერც ისწავლიო. თუ არ დაგვემორჩილები, ცხრა წელიწადით დაგაპატიმრებთო და გაუჩინარდა. პატიმრობა კი იმათ ენაზე ავადმყოფობის მოვლინებას ნიშნავდა.

ამასობაში დედაჩემი გამოჩნდა, რომელსაც ვკითხე, ჩვენი მძლოლი სად წავიდა-მეთქი. ვითომ ჩემი მძლოლი ბიბლიური აბრაამის შვილი ისაკი იყო. დედამ მიპასუხა,

შენ რომ ბრძენთან საუბრობდი, მან დაისვენა, რადგან დიდი გზა გვაქვს გასავლელიო. მძლოლი მოვიდა და გამოვედით მოხრეშილ, უასვალტო ფართო გზაზე.“

მეუფემ თხრობა განაგრძო:

„ამ დროს სად მაქვს მანქანა, რა მძლოლი, რის მძლოლი, სინამდვილეში კუდგაკნრეჭილი ვირიც კი არ მყავდა.

გამოცხადებაში ნანახი ხინჭიანი ფართო გზა კი ეს ჩემს მიერ სასულიერო მოღვაწეობის მანძილზე გავლილი გზაა, რომელიც მე ანაგის მონა-ტანჯულთა მონასტრის ღვთის მონა-ტანჯულობიდან ეპისკოპოსობამდე გავიარე. თუმცა იმასაც დავძენ, რომ უფლის მონა-ტანჯული ახლაც ვარ და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ასეთად დავრჩები.“

ამ გამოცხადების შემდეგ ბევრი აღარ უფიქრია, და მეორე დღესვე ავტობუსით მცხეთაში გაემგზავრა, სადაც სასულიერო სასწავლებელში უნდა ესწავლა.

საქართველოში სასულიერო განათლება „კომუნისტების მოღვაწეობის წყალობით“ დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო. მათ ეკლესია-მონასტრები დახურეს. იმხანად საეკლესიო პირებზე საბჭოთა უშიშროების მიერ ზედამხერდველობა იყო დანესებული. საქართველოს ეკლესიებში ქართველი მღვდლები კანტიკუნტად მოღვაწეობდნენ. ასე, მაგალითად, სიონში ოთხმოც წელს მიტანებული მამა პახუმი, ხოლო სვეტიცხოველში ასევე ოთხმოც წელს მიღწეული მამა პართენი (აფციაური) მოღვაწეობდა. იმხანად საქართველოს ეკლესია რუსი მათლმადიდებლების ხელში იმყოფებოდა.

აღნიშნულ რეჟიმში საქართველოს სასულიერო სემინარიის სწავლის განახლება არ იყო იოლი საქმე. ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ აწ განსვენებულ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (1921–

27) უზრუნვია, შემდეგ კი ნეტარხსენებულ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (1932–52 წწ). 1951 წლის 6 ივნისის წერილობითი მიმართვით, სამწლიანი სასულიერო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით, დაევალა დეკანოზ მ. ხელიძეს წესდებისა და პროგრამის შედგენა. ეს წესდება და პროგრამა მართლაც შემდგარა და იგი დაუმტკიცებიათ კიდეც, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მისი განხორციელება ვერ მოხერხებულა. ასე რომ კადრების მომზადების მხრივ ჩვენი ეკლესიების მდგომარეობა ისევ სავალალო იყო. იმჟამინდელ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სულკურთხეულ ეფრემ II-ს დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ საქართველოს სასულიერო სემინარიაში სწავლება მშობლიურ ენაზე განახლებულიყო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ეფრემ II-ის (1960–1972წწ) ინიციატივით 1963 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში გაიხსნა ორწლიანი სამოძღვრო-საღვთისმეტყველო სასწავლებელი. სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა საქართველოს ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქი, ახალგაზრდა ილია II. 1968 წელს სასწავლებელი გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სემინარიად გადაკეთდა, სწავლების ხანგრძლივობა გაიზარდა სამ წლამდე, 1970 წლიდან კი სასწავლებელს ეწოდა სემინარია, ხოლო მის დირექტორს რექტორი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II-ის თაოსნობით ამავე წელს გამოიცა ახალი აღთქმა, ლოცვანი და სხვ. მისი მოღვაწეობის დროს საქართველოს ეკლესია შევიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რომელის ცენტრიც შვეიცარიაში, ჟენევაში მდებარეობს. მსოფლიო საბჭოს ეკლესიათა პრეზიდენტი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

სწორედ ამ ახლადგახსნილ სემინარიაში, მცხეთაში ჩა-

ვიდა ანზორ ჩახვაშვილი (მეუფე ათანასე) სწავლის დასაწყებად. ახლადგახსნილი სემინარია სვეტიცხოვლის ეზოში მდებარეობდა. ამ დროისთვის იგი შესანიშნავად ფლობდა ხუცურს, რომელიც ასე აუცილებელია სემინარიაში მიღებისას, ვინაიდან ქართული ეკლესია ხუცური დამწერლობით ხელმძღვანელობს.

მცხეთის ახლადგახსნილ სასულიერო სემინარიაში მასწავლებლები იყვნენ:

მამა მექი (ხელიძე) — ლიტურგიის მასწავლებელი, ოთხმოც წელს მიტანებული კაცი, რომელიც ლექციის მსვლელობის დროს გარდაიცვალა და სტუდენტებმა დიდი პარტივით დაკრძალეს.

ძველ აღთქმას და კონსტიტუციას ასწავლიდა ილია ჭეიშვილი. რადგან ქვეყანას საბჭოთა მთავრობა ედგა სათავეში, სასწავლო საგნების სიაში კონსტიტუცია შეიტანეს.

გალობას ტაისა ტორონჯაძე ასწავლიდა, რომელიც დღესაც გალობს დიდუბის ტაძარში.

სემინარიაში ხუთი სტუდენტი სწავლობდა:

ამბროს ჩახვაშვილი (მეუფე ათანასე), მიხეილ ლომი-აშვილი, მიხეილ ამონაშვილი, ალექსანდრე ქათამაძე და ზურაბ ცხვარაძე.

სასულიერო სემინარიაში სწავლას უდიდესი მონდომებით და პასუხისმგებლობით შეუდგა, რომელიც 1967 წელს წარჩინებით დაასრულა.

კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა მღვდლებს ეკლესიები დაატოვებინეს, უფლის ანგელოზის მიერ მეუფის დამიზეზება და მონა-ტანჯულობაში ყოფნა სწორედ მის სასულიერო ცხოვრების გზაზე დაყენებას და ძლიერ მორწმუნედ ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

1967 წელს საქართველოს საპატრიარქომ გასცა მონ-მოზა, რომელსაც ხელს საქართველოს კათოლიკოს-პატ-



მცხეთის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტები. ცენტრში:
სასწავლებლის იმდროინდელი დირექტორი შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია.
მარჯვნიდან პირველი დგას ანზორ ჩახვაშვილი (შემდგომში მეუფე ათანასე)

რიარქი ეფრემ II და სამოძღვრო კურსების დირექტორი
ილია - ეპისკოპოსი შემოქმედელი ანერს და იგი ამბროს
იორამის ძე ჩახვაშვილს ეკუთვნის.

სიონის საბაბთიძრო ტაძარში

„შობამან შენმან ღვთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევად და მოგვმადლა კურთხევად და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო.“

(ღვთისმშობლის ტროპარი.)

მეუფე ათანასე გვიამბობს:

„სასულიერო სემინარიის დასრულებისთანავე ნეტარხსენებულმა, ღმერთმა ადიდოს სულითა, იმდროინდელმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ სიონის საკათედრო ტაძარში მედავითნედ (წიგნის მკითხველად) დამნიშნა. ამ თანამდებობაზე ერთი წელი ვიმოღვაწე. შემდეგ ხელი დამასხა, აღმიყვანა დიაკვნის ხარისხში და მიწოდა სახელი ანდრია. ასე გავხდი პატრიარქის ეფრემ II-ის პროტოდიაკვანი.

სიონის სამრეკლოს I სართულზე საცხოვრებლად დათმობილი მქონდა კელია, სადაც მე ცოლთან ციცოსთან და მცირეწლოვან ბავშვთან სონიასთან ერთად ვცხოვრობდი. ამ პერიოდში შეგვეძინა მეორე შვილი მარინე.

სიონის სამრეკლოში სიზმარი ვნახე:

ცხვირიდან იმდენი სისხლი დამდინდა, ტაძრის ეზო აივსო და წელამდე მომწვდა. როცა გამეღვიძა, ცხვირის ნესტოები მტკიოდა. მივხვდი, რალაც ძალიან გამეხარდებოდა. ამ სიზმრიდან არ იყო დიდი დრო გასული, რომ სამრეკლოს კელიაში მორიგი გამოცხადება მქონდა:

„სიონის ეზოში მოდიოდა ახლადნაკურთხი მღვდელი და გაბმულად ყვიროდა: მამაო ანდრიააა, მამაო ანდრია-

აა,... ეპისკოპოსად უნდა გაკურთხონ! ეპისკოპოსად უნდა გაკურთხონ!

ბარემ ისიც მითხარ, სად მაგზავნიან-მეთქი.

საქართველოში გაგზავნიან!

საქართველოში გაგზავნიან!“

და გამოცხადება გაქრა.

გამოვვარდი გარეთ, შევედი სიონის ტაძარში, სადაც დედობილი მყავდა მესანთლე დედა ანტისა. მას ვკითხე, სად შეიძლება ყოფილიყო გამოცხადების საქართველო?

— საქართველო, შვილო, დედა ნინოს მონასტერია! ბოდბის მონასტერო. მომიგო მან.

ცნობილია, საქართველო წმინდანების სამშობლოდაა მიჩნეული. ამ აზრს ადასტურებს იოვანე საბანისძე, როცა ამბობს: „აჰა, ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაი და ნოდებულ არს დედად წმიდათა“.

რაც ვერ შეძლეს მოციქულებმა, ის შეძლო სრულიად ყმანვილმა ქალმა, თვრამეტი წლის დედა ნინომ. მოციქულების მოღვაწეობიდან განვლო სამმა საუკუნემ და წმიდა დედა ნინოს ძალისხმევით ქართლში მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამის შემდეგ საქართველოში რელიგია არ შეცვლილა.“

სიონის კელიაში ფოფოდია ციცოს ჩვენება ჰქონდა:

თავის თავს ხედავდა საოპერაციო მაგიდაზე, ვითომ კუჭსა და ნაჭლავებზე სიმსივნე ჰქონდა და ოპერაციას უკეთებდნენ. ამ დროს მოვიდა ახალგაზრდა კაცი, ხელი დაუსვა დაავადებულ ორგანოებს და სიმსივნე, რომელიც მარგალიტებად ჰქონდა ასხმული, ხელის ჩამოსმით ჩამოაცალა.

ამ ჩვენებიდან გავიდა დიდი დრო. ოთხივე შვილი ჰყავდათ, რომ ფოფოდია ციცო ავად გახდა - ექიმებმა ზუსტად ისეთივე დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც ცხადებაში

ჰქონდა. საოპერაციო შეიქნა. 1983 წელს ოპერაცია გაუკეთეს, რომელმაც კარგად ჩაიარა და ის იგონებს, ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოსვლის დროს როგორ ედგა თავთან წმიდა გიორგი, შუბლზე ხელს უსვამდა და ანუგეშებდა: ნუ გეშინიათ, თქვენს გვერდით ვარო. ორი წლის შუალედით ფოფოღია ისევ ქირურგის პაციენტი შეიქნა, ამჯერად სხვა დიაგნოზით. ოპერაციის შემდეგ ის ხედავდა, როგორ ედგა თავთან წმიდა ნიკოლოზი და ანუგეშებდა.



გადაღებულია წმიდა ალავერდის საკათედრო ტაძარში 1956 წელს. 1978 წლამდე ინახებოდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში. სურათი საჩუქრად გადაეცა მეუფე ათანასეს სიონის პროტოპრესვიტერისგან, როდესაც ის ეპისკოპოსად აკურთხეს.
მარცხნიდან მესამე დგას მეუფე ათანასე. ამ დროს ის 20 წლისაა.

იდგა 1968 წელი. საქართველოს ეკლესია მღვდლების ნაკლებობას განიცდიდა. ამ დროს მეუფე ათანასე სიონის საკათედრო ტაძრიდან ალავერდელი მიტროპოლიტის რომანოზ პეტრიაშვილის მიწვევით თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში დიაკვნად გადაიყვანეს. იმავე წელს ალავერდელმა მიტროპოლიტმა მღვდლად დაასხა ხელი და განამწესა სილნალის წმიდა ნინოს მონასტრის მეორე მღვდლად.



ალავერდობა 1971 წელი.

დგანან მარცხნიდან: თელავის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გიორგი ცერცვაძე (შემდგომში ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი), მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), მღვდელი ანატოლი კრასნიხი, მღვდელ-მონაღონი პართენი (აფციაური), მღვდელი ათანასე ჩახვაშვილი (ამჟამად რუსთველი მიტროპოლიტი ათანასე).

თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში

*„კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელ-
მან ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიჰფინე
რა მათ ზედა ყოვლადწმიდა სული შენი, და მათ მიერ ყო-
ველი სოფელი მოინადირე კაცთმოყვარე დიდება შენდა.“
(იესო ქრისტეს ტროპარი)*

თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში მრევლის მო-
ძალება დიდი იყო. ამის გამო თელავის საკათედრო ტაძ-
რის წინამძღვარმა დეკანოზმა გიორგი ცერცვაძემ მეუფე
ათანასე სიღნაღის წმიდა ნინოს მონასტრიდან ისევ თე-
ლავში მიიწვია, სადაც წელიწადნახევარი მოღვაწეობდა.

1969 წლის 19 იანვრით დათარიღებული, ალავერდელ-
ბობბელი ეპისკოპოსის რომანოზის ბრძანება №15 იუნყე-
ბა:

„ქალაქ თელავის საკათედრო ტაძრის მეორე მღვდელი
ანდრია ჩახვაშვილი, ჩემს მიერ იქმნა დაჯილდოებული
19 იანვარს 1969 (ძველი სტილით), წმ. ნათლისღების ლი-
ტურღიაზე საგვერდულით.“

თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში მღვდლად
მოღვაწეობის დროს ისევ განიცდიდა ღვთის ანგელოზე-
ბისაგან მონიჭებულ ტანჯვას. მეუფე ათანასე იგონებს:

„ერთ ღამეს ხილვა მქონდა:

ანგელოზმა გამომიცხადა: ტანჯვას ორმოცდაათი
პროცენტით გიმცირებთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავად-
მყოფობა შემიმსუბუქდებოდა, რაც ვიგრძენი კიდევ.“

მეორე დღეს კარდენახიდან თელავში ჩემი მეუღლე,

ფოფოღია ციციო ამოვიდა და მითხრა: ნუხელ ხილვა მქონდა, უფლის ანგელოზმა შემატყობინა, რომ შენ ტანჯვას გინახევრებენო.

ამ გამოცხადების შემდეგ თავს უკეთესად ვგრძნობდი.

1971 წელს ალავერდელი მიტროპოლიტის სურვილით გადამიყვანეს გურჯაანის რაიონის ველისციხის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდლად, სადაც ანგელოზური სინმინდით რვა წელიწადი ვიმოღვანე და ვემსახურე სოფელ ველისციხის მრევლს.

ძველად წესი იყო: აღდგომის დღესასწაულზე მღვდელს საფლავები უნდა ეკურთხებინა. იმის გამო, რომ ხალხმა იცოდა, რომ ანგელოზების ხელდასმული ვიყავი, მთელი კახეთის და ქიზიყის მრევლი მთხოვდა კურთხევას.“

1977 წელს გარდაიცვალა საქართველოს იმდროინდელი პატრიარქი დავით (დევედარიანი) და საქართველოს ეკლესია დაქვრივდა.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად აირჩიეს ილია II (შიოლაშვილი), მცხეთის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი რექტორი.

ამ ღირსშესანიშნავი დღიდან განვლო თვრამეტმა წელმა.

1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: მღვდელმთავრები, სასულიერო და საერო პირები, წარმომადგენლები ყველა ეპარქიისა, სასულიერო სასწავლებლებიდან და გელათის მეცნიერებათა აკადემიიდან...

კრებაზე დამტკიცდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება, ქართველ წმინდანთა რიცხვს შეემატა ღირსეული წევრები — მოხდა კანონი-

ზაცია ახალი წმინდანების: ამბროსის (ხელაია), გაბრიელ ეპისკოპოსის, ეპისკოპოსი ნაზარის, ალექსი ბერის, ალექსანდრე ოქროპირის, გრიგოლ ფერადის, თევდორე ბერის; კრება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ:

„...უფალი ბრძანებს: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას“. მართლაც, ქართულ ეკლესიას მუდამ უზდებოდა ჯოჯოხეთის ძალებთან მრძოლა, რადგან იგი ყოველთვის ჭეშმარიტ სარწმუნოებას იცავდა და გვერდით ედგა ჩვენს ხალხს რწმენის, ენისა და მამულის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ეკლესია საქართველოს უდიდესი ძალაა, რომელიც ყოველთვის აერთიანებდა ჩვენს ერს, მაგრამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მას დღეს ენიჭება, როცა ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალი გადაუჭრელი პრობლემა დგას.

აი, როგორ შეაფასა საქართველოს ეკლესიაში ბოლო თვრამეტი წლის მანძილზე მომხდარი მოვლენები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა:

„ძმანო და დანო!

მართლაც დიდ არს უფალი და საკვირველ არიან საქმენი მისნი. დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საქართველოსა და მის სამოციქულო ეკლესიას ღვთის ძალა და მადლი მფარველობს. ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამობრძანებული პატრიარქები კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმისა ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი მადლმოსილი ეკლესია და გულმხურვალედ მორწმუნე ერი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ჰყავთ ნანახი.

თუ ჩვენს წარსულს, რომელსაც ხშირად ვაიდევალებთ, ობიექტურად შევაფასებთ, ვნახავთ, რომ კარგი საქმე-

ების გვერდით შეცდომებიც ბევრჯერ მოგვსვლია და ცოდვაც მრავალგზის ჩაგვიდენია.

ჩვენს წინაპრებს წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდათ იმისი, რომ დადგებოდა დრო, როცა ქართველი ერის ერთი ნაწილი ეკლესია-მონასტრებს ნებით დაანგრევდა. ამიტომაც არც ჩვენი წარსული, არც აწმყო და არც მომავალი არ უნდა გავაიდევალეთ და ჩვენს ყოფას რეალურად შევხედოთ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ქართული ეკლესია კომუნისტური რეჟიმის წლებში აღმოჩნდა. სწორედ ამ რეჟიმის ბატონობის დროს, 18 წლის წინ, ღმერთმა ჩემი საპატრიარქო ტახტზე აყვანა ინება. ამ დროს საკავშირო მთავრობის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ასეთი იყო: რაც უფრო ცუდად იქნება საქმე ეკლესიაში, მით უკეთესი. და მისი ავტორიტეტის შესალახად მართლაც ყველაფერი კეთდებოდა.“

ამ დროისათვის მღვდელი ანდრია ველისციხიდან თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის მღვდლად გადაიყვანეს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ დროის საქართველოში ქართველი ახალგაზრდა მღვდელი ჭირდა. თანაც სიონის საკათედრო ტაძარში წირვა - ლოცვა ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

გთავაზობთ მეუფე ათანასეს პირად არქივში დაცული ერთი წერილის შინაარსს:

„ ქრისტე აღსდგა!

ჩემო ნეტარო და სანუკვარო უწმინდესო და უნეტარესო მამად მთავარო უზენაესი მამისაგან მწყემს მამად ნოდებულო და კურთხეულო საყვარელო წმინდა მეუფეო!

მე ყოვლად უღირსი, თქვენი უწმინდესობის ფერხთა მტვერი, თქვენს მიერ, უფლის მამის გზაზე დაყენებული, მდაბალი, ღვდელი ანდრია, ქრისტეს სიყვარულით გლო-

ცავ სამარადისოდ.

იდლეგრძელე ყოვლად სანატრელო ჩემო სულიერო მამავ და ჩემო სანატრელო მთლიანი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქო ილია II-ვ.

...მე ფერხთ განბანილთა მიერ საყვარელი, მკვდრეთით აღდგომილი ქრისტეს სარწმუნოება ვადიდე.

ანდრია

22.04. 786.

ველისციხე.“

მომდევნო წერილი, რომელიც დათარიღებული არ არის და სავარაუდოდ ერთ-ერთი მეუფისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, იუნყება:

ქრისტე აღსდგა!

„აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩვენც ქვეყანასა ზედა, ღირს მყვენ, წმინდის გულითა დიდებად შენდა დიდებულ, პატივისცემულს, კეთილ-გონიერ ადამიანს მე უღირსი და მდაბალი მღვდელი, ანდრია მრავალჟამიერ სიცოცხლეს გისურვებ საუკუნოდ.

თეოლოგია მძიმე და რთული შესასწავლი ფილოსოფიაა და მე არ შევეხები ამის ირგვლივ საუბარს, იმიტომ რომ არ ეყოფა დრო. იდიალიზმზე საუბარი უსასრულოა, გარეშემოუწერელია. დანარჩენ ყველაფერს კი სასრული აქვს. და რადგან მე თვით სასრულში მოვექცევი, უკვდავს ვერ აღვწერ. მაგრამ მინდა, რომ ქრისტიანული რჯულით მოგილოცოთ განსაცვიფრებელი და საინტერესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა.

თანამედროვე მსოფლიო მოძრაობით შვიდასი მილიონი კათოლიკური სარწმუნოების მქონე ადამიანი დღესასწაულობს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას. ოთხასი მილიონი მართლმადიდებელი და ვინ აღრიცხავს კი-



დევ სხვადასხვა სექტებს, რომელთაც ჯერავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა.

რომ მართლა ეს ასეა, ამ ორი ათასი წლის მანძილზე, არ ჩაუვლია კეთილგონიერ ადამიანს, რომ ეს ამბავი არ სჯეროდეს!

მაშ, ასე!

ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკვდილი და კაცისა მიერ იყო აღდგომა მკვდართა და ვითარცა ადამის გამო ყოველი მოსწყდებიან, ეგრეცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ (I კორინთელთა 15, 20), რომლისა არს დიდება და სიმტკიცე უკუნითი და დაუსრულებელ საუკუნეებს. ამინ! ამ საღმრთო ბრწყინვალე დღესასწაულს მსოფლიო ღვინებისას - ქრისტეს აღდგომას მხურვალე გულით გილოცავ და ქრისტიანული სიყვარულით გახარებთ, რომელიც არის სიხარული ყოვლისა მსოფლიოსი ერთად ზესკნელისა და ქვესკნელისა.

ქრისტე აღსდგა!

და რადგან აღდგომილმან ქრისტემან მძღეს სიკვდილისამან მოგანიჭოთ თქვენ მშვიდობა, სიხარული ზეგარდმო სამეუფეო და რათა განგაძლიეროს კეთილნაყოფიერ საქმიანობაში სასარგებლოდ ერისა და სამშობლოსათვის.

მღვდელი ანდრია ჩახვაშვილი.“



ეკლესია - ვაზი - ოჯახი!!!

„მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახე.“

(იოანე 15,1)

დიდი წინასწარმეტყველის ეს სიტყვები ვაზის ღვთიურ-რობაზე მიგვანიშნებს. ჰოდა, ვაზის საკრალური საიდუმლოება სხვას ვის უნდა სცოდნოდა უკეთ, თუ არა მეუფე ათანასეს, ვაზის სამშობლოში შობილ კაცს, მის უანგარო ჭირისუფალსა და უფლის მონა-მორჩილ მორწმუნეს... მაშინ მას მღვდელ ანდრიად უხმობდნენ.

მზის ენერგიით გაჟღენთილი ვაზი შემოდგომაზე ზედაშეს შობდა. სასიცოცხლო ენერგიით აღვსილ ტაძრებში დიდი საეკლესიო დღესასწაულები: პარაკლისები, ჯვრისწერები, ნათლობები და სხვა ლიტურგიები იწყებოდა... იგი ტაძარს მიაშურებდა, უმეტესად იქვე დაიდებდა ბინას, საკურთხევლიდან გამობრძანდებოდა, ბარძიშს ზე ასწევდა და უფალს ერის გაჯანსაღებას შეავედრებდა. მისი ლოცვა ნამლად ედებოდა მრევლს! ივსებოდა ტაძარი სულიწმიდის მადლით!!!

ეკლესია - ვაზი - ოჯახი!!!

ეს სამი წმიდა საუნჯე ისე შეერწყა და შეედუღაბა მეუფე ათანასეს ცხოვრებას, ძნელი სათქმელია რომელია უპირველესი. ეს სამი მცნება, სამება ერთარსების მსგავსად ერთიანად აღიქმებოდა მის ცნობიერებაში.

რამეთუ:

როცა ეკლესიაში მოღვაწეობდა, ოჯახით იქვე ცხოვრობდა. ვაზში იყო და ერისთვის და ოჯახისთვის ლოცულობდა.

მღვდელი ანდრია გლეხების გვერდით უვლიდა და ეალერსებოდა ჭიგოზე ჩაგრეხილ საოცრებას, დიდსულოვ-

ნად ელოდა ვაზის ნაჟურს, რომელიც ქვევრში ჩაისხმებოდა, ქვევრიდან ზედაშედქცეული ბარძიმში ჩაედინებოდა, სხვადასხვა ტაძრებში გადანანილებული გამრავლებოდა, გაასდებოდა და უფლის საიდუმლოებად ქცეული მორწმუნეებს უსაყვარლესი მღვდლის ხელით მარადიულობას აზიარებდა...



ვაზთან დაიჩოქებდა ვაზის დიდებული ჭირისუფალი. ჩურჩულით ებაასებოდა, ისიც მორჩილად ყურს უგდებდა ერთგულ პატრონს. უნებლიედ წაცდენილი ღიღინი, გულიდან ამოსული, საუკუნეებს გამოვლილი სიტყვებით მოეფერებოდა ვაზს. მაშინვე ჩურჩულს დაინყებდნენ ვაზის ფოთლები, ისე, დამაიმედებლად...

ეს ხმა საამო იყო და მშობლიური. ფესვები საუკუნეების მიღმა გაედგა. უხილავი ძაფებით იჭერდა მღვდელანდრიას. მაშინ ის ხელში წიგნს აიღებდა და დიდხანს გატაცებით კითხულობდა.

ასეთი იყო ვაზის აკადემია.

უამრავ საზრუნავში ჩაფლული, როცა თავის დიდ ოჯახს უზრუნდებოდა, სადაც თბილი კერია გუგუნებდა, იქ დედა, მეუღლე და ოთხი შვილი — სონია, მარიამი, მანანა და გიორგი ელოდა.



ეს ტრადიცია შემდეგაც არ დარღვეულა, როცა ოჯახს ახალი წევრები: სიძეები: მამა დავით (ჩიტაძე), მამა ფრიდონ (სპანდერაშვილი), გელა თათიკაშვილი და რძალი: თეა ალხანაშვილი შეემატნენ.

განსაკუთრებით მაშინ უხარია მეუფეს, როცა რვა შვილიშვილი: დავით და თემურ ჩიტაძეები, ანა და გიორგი თათიკაშვილები, ტარიელ და დავით სპანდერაშვილები

და განსაკუთრებით კი ჩახვაშვილთა გვარის უშუალო მემკვიდრეები — ხატია და საბა მოიყრიან თავს და ბერ პაპას კელიაში ესტუმრებიან.

მაშინ პაპა ხელში აიღებს ძველთაძველ ფანდურს და შემდეგ სიმღერას დაამღერებს:

„...ვერ დანიჭირავს სიკვდილსა ჭნა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
ბოლოდ შეჭყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი...
...მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოგვრეფ კიტრად ბერად
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად;“

„უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცვი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი
ერთი უარობი უძნო რამ.
სანთლისა შუქსე წამოდგა
დატანჯულისა ფერთა,
მხრებზე თოფგადაგდებული,
გაბუდებული ვეერთა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტვა წნელითა.
ადვილად საცხობი იყო
კაცვი ფშაურის ერთა.“





დედა ნინოს საგანეში

„უნათლისმცემლე ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმა კეთილმან, შეჰკრიბე და მიჰგვარე საქართველოს ერი ღმერთსა მართალსა. დედაო წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა.“

(განმანათლებლის საქართველოსი დედა ნინოს ტროპარი)

ბოდბის ეპარქია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქიზიყის, ძველი კამბეჩოვანის მხარეში მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის ქალაქები — სიღნაღი, დედოფლისწყარო და მათი მიმდებარე ტერიტორიები. ბოდბის ეპარქიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნეკრესის, დასავლეთიდან გურჯაანისა და საგარეჯოს ეპარქიები, სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-დაღესტნის საზღვრებს ემთხვევა.

ქართული საეკლესიო ტრადიცია ბოდბის ეპარქიის დაფუძნებას V ს-ით ათარილებს. VI ს-ის დასაწყისში, 506 წ. ბოდბელი მღვდელმთავარი ლაზარე აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსებთან ერთად დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა. ადრიდანვე საქართველოს სამეფო კარზე, შემდეგ კახეთის დამოუკიდებელ სამთავროსა და სამეფოში, ბოდბელი მღვდელმთავრის დანიინაურებულ მდგომარეობას ამ მხარეში ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობა და აღსასრული განაპირობებდა.

V-VI სს-ის მიჯნაზე ამ მხარეში ორი ეპარქია — ხორ-

ნაბუჯი და ბოდბე იხსენიება. ქალაქი ხორნაბუჯი კამბეჩოვანის ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. ადრიდანვე ორი ეპარქიის ერთ კუთხეში არსებობა ქვეყნისთვის საზღვრისპირა რეგიონის დიდი მნიშვნელობით იყო განპირობებული. ახლომდებარე სამღვდელმთავრო კათედრათა ბუნებრივ საზღვრად ბოდბის ხევი არის მიჩნეული. კამბეჩოვანის დასავლეთი მხარე ბოდბელის სამწყსოდ ითვლებოდა, აღმოსავლეთის - ხორნაბუჯელისა.

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯი ჭერემსა და ნეკრესთან ერთად საუფლისწულო მამულად გადასცა თავის ძე დაჩის. VI ს-ის I ნახევარში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ კამბეჩოვანი სპარსეთს ემორჩილებოდა, ხოლო ხორნაბუჯი სპარსი მოხელის რეზიდენციად ითვლებოდა. VI ს-ის II ნახევარში სპარსელთაგან გათავისუფლებული ეს მხარე ქართლის ერისმთავრების უმცროსი შტოს მფლობელობაში გადადის. VII ს-ის შუა წლებიდან აქ არაბები ბატონობდნენ, ხოლო VIII ს-ის II ნახევრიდან, ჰერეთის სამთავროს წარმოქმნის შემდეგ ჰერეთის შემადგენლობაში შევიდა.

ბოდბელს კახეთის სამეფოში პირველი სადროშოს — ქიზიყის წინამძღოლობა ჰქონდა მინდობილი. მას „სასპასპეტო დროშაც აქუს... და არს ბრძოლასა მეწინავე“... ომისა და მშვიდობისა საკითხი მათი მონაწილეობით და თანხმობით წყდებოდა. ბოდბელი ეპისკოპოსები ომის დროს თავისი სამწყსოს „ქისიყით კონდოლამდე და მანავამდე“ ჯარს მეთაურობდნენ და საომარი მოქმედებებისას ჯვრის მტვირთელის თანხლებით სრული სამღვდელმთავრო შესამოსლით შედიოდნენ ბრძოლაში. სამშობლოსა და დედა ეკლესიის დაცვისას ბოდბელ მღვდელმთავართა თავდადება საყოველთაოდ იყო ცნობილი. ბოლო დროს კი, XVIII ს-ის მიწურულს, 1792 წელს ლეკებთან

ბრძოლაში, ბრძოლის ველზე მოკლეს ბოდბელი მიტროპოლიტი კირილე ჯორჯაძე. ამის შემდეგ მიტროპოლიტად დაინიშნა იოანე მაყაშვილი, რომლის შეწვევითაც მოიხატა ბოდბის მონასტრის კედლები.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას საკმაოდ მომძლავრებული და დანიშნული ბოდბის ეპარქია რუსეთის მიერ დანიშნულ ეგზარქოსს დაუქვემდებარეს და კახეთის სხვა სამღვდელმთავროებთან ერთად, ერთ კახეთ — ალავერდის ეპარქიაში გააერთიანეს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე განახლებულად ჩაითვალა ბოდბის საეპისკოპოსოც. მისი მართვა დროებით შეთავსებული ჰქონდა ალავერდელ მღვდელმთავარს.

1985 წლის 22 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით, ალავერდის ეპარქიას გამოეყო ბოდბის ეპარქია.

წმიდა ნინოს სამონასტრო კომპლექსი და ბოდბის საეპისკოპოსოს ცენტრი სოფელ ბოდბეში, სიღნაღიდან 2 კმ-ზე მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, აქ ეკლესია ააგეს წმიდა ნინოს დაკრძალვის ადგილას. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია წმ. გიორგის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ადრინდელ ფეოდალურ ხანაში უნდა იყოს აგებული. ამჟამად საგრძნობლად არის შეცვლილი, შელესილია შიგნიდან და გარედან, ეტყობა XVII და XIX სს. რესტავრაციის კვალი. წარწერის მიხედვით, XIX ს. 20-იან წლებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ სიღნაღის და ქიზიყის მიტროპოლიტის, იოანე მაყაშვილის თაოსნობით. აქვეა განვითარებული შუა საუკუნეების ამაღლების ეკლესია და განვითარებული შუა საუკუნეების გალავანი. XVII-XVIII სს. ბოდბის მონასტერი მნიშ-

ვენელოვანი მწიგნობრული კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ: ზაქარია ბოდბელი (XVIII), ონოფრე ბოდბელი, იოანე ჯორჯაძე, დავით ბოდბელი (ყველა -XVIII ს.), იოანე მაყაშვილი (1743-1837) და სხვა. 1837 წ. ბოდბის მონასტერი გაუქმდა და სამრევლო ეკლესიად იქცა. 1889 წ. გაიხსნა ბოდბის დედათა მონასტერი, სადაც არსებობდა სამასწავლებლო სკოლა ხელსაქმისა და სამხატვრო განყოფილებებით. სკოლა და მონასტერი 1917 წელს გააუქმეს და მონასტრის შენობა საავადმყოფოდ გადააკეთეს, შემდეგ იქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განთავსდა.

1978 წელს მღვდელი ანდრია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ბერად აღკვეცა და უწოდა ათანასე. იმავე წლის 17 დეკემბერს ბერი ათანასე არქიმანდრიტის ხარისხში აღიყვანეს. წმ. სინოდის 1978 წლის 14 დეკემბრის განჩინების თანახმად, 1978 წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა ხელდასხმა და ბოდბელ ეპისკოპოსად კურთხევა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტის ათანასესი (ანდრია ჩახვაშვილისა).

იმ დროს, როცა ეპისკოპოსი ათანასე ბოდბის დედა-



ნინოს მონასტრის ეპარქიის მმართველად დანიშნეს, წმიდა ნინოს მონასტრის წინამძღვარი იყო უკრაინელი მღვდელმსახური ლავრენტი კრავცოვი. მონასტერი, რომელიც კომუნისტე-

ბის მიერ იყო დაკეტილი და სრულიად გაპარტახებული, რუსი მორწმუნეების მოთხოვნით აღადგინეს. ამიტომ ღვთისმსახურება რუსულ ენაზე სრულდებოდა. მონასტერში რუსი მონაზვნები მოღვაწეობდნენ. წმიდა დედა ნინოს მონასტერი და საერთოდ ბოდბის ეპარქია რუსი მართლმადიდებლების ხელში იყო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაინყო მეუფემ წმიდა დედა ნინოს მონასტერში მოღვაწეობა. ამ ტაძარს მეუფემ ოჯახთან ერთად უდიდესი ძალა და ენერჯია შეაღია, რომ სალოცავს დამსგავსებოდა. საკუთარ ფიზიკურ შრომას წირავდა.

ბოდბის ეპარქიაში იმ დროს სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და წითელწყაროს რაიონების და საინგილოს სალოცავები ერთიანდებოდა.

სრულიად დაკნინებული და იავარქმნილი ყოფილა



ბოდბის ეპარქია, როცა ის მეუფეს ჩააბარეს სამწყსოდ. დიდი შრომა და მოღვაწეობა დასჭირდა მას ეპარქიის დაქვრივებული ეკლესია-მონასტრები ღვთის მაღლით განეახლებინა.

90-ანი წლების პუბლიცისტიკაში „მოდღვარი“ გივი სომხიშვილი წერდა:

„ისე გათენდა, როგორც საუკუნეთა მანძილზე გათენებულამრავალთა მომხვდურთა ბატონობის დროს, როგორც ამ ათეიზმის მძვინვარების, უკიდევანო ძალადობის სამოთხეში. მზე ყველასთვის ერთნაირი და განურჩეველი იყო, ასევე ათბობდა იერუსალიმის, ათენისა თუ ვატიკანის უფლისათვის ლოცვაში ჯანდალეულ ადამიანებს, როგორც ამ სსრკ იმპერიის პატარა, განაპირა კუთხის მამულიშვილთ.

მთელი თაობის გაუღმერთოების მექანიზმი წუთითაც არ შეჩერებულა. თუ ადრე ღმერთთან ბრძოლის პროგრამით მუშაობდნენ, ახლა აქა-იქ შემორჩენილ მორწმუნეებზე ნადირობდნენ, რამეთუ ისე შემცირდნენ, როგორც ბრაკონიერთა მიერ იავარქმნილ ნაკრძალში ხოხობი, რაიმე საეკლესიო ნიშნით, თუნდაც შეთქმულ ყვინჩილას ხატისათვის შეწირვა იდეურ გახრწნად და პოლიტიკურ არასაიმედობად ითვლებოდა. საეკლესიო დღეობებზე, ზედაშეზე, ნათლობაზე არარეგალურად მოსულთა გამჟღავნება შეიძლება სამსახურის დათმობად შეფასებულიყო, თუ უარესი არა. ამიტომ ყველა ცდილობდა, შეუვალ ათეისტად წარმოედგინა თავი, რამეთუ, ეს ამქვეყნიურ წარმატებათა საწინდარი იყო, მორწმუნეობა კი ყველა უბედურებისა.

მოკლედ, ათეიზმის ფსიქოზის გაფურჩქვნის ერთი დღეთაგანი იყო, რომ ამოვიდა ჩვეულებრივი მზე უბატონოდ ნაკურთხ ქიზიყის პატარა ქალაქში.

ჭადრის ჩრდილში თხუთმეტამდე ახალგაზრდა შეკრებილიყო. მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსების სალაროსთან ხალხი ირეოდა, ერთ ავტობუსში უკვე სხდებოდნენ, სხვები თავიანთ მარშრუტს ელოდნენ. ცხელოდა, ჰაერი ჯარისკაცის ჩექმასავით დამძიმებულიყო, ნიავიც არ იძვროდა. სადღაც ინტერნაციონალს უკრავდნენ... დასიცხულ ქუჩაში გამოჩნდა გრძელანაფორიანი, მკერდზე ჯვრიანი, ხელჯოხიანი კაცი. მაღალი, მხარბეჭიანი, შავწვერულვაშიანი, ხარივით მძლავრკისრიანი, ხარივით მშვიდი. კეთილი, დიდრონი თვალებით სიკეთეს და სათნოებას აფრქვევდა ირგვლივ, დაკვირვებული და მეოცნებე თვალი მასში ანაფორაგადაცმულ შეაბჯრულ მოძღვარს, მუდამ მტრის თავდასხმის მოლოდინში რომ იყო, ქართველ მოჭიდავეს, ძარღვმაგარ მიწის მუშას წარმოიდგენდა. ყოველივე ეს შეეფერებოდა გამძვინვარებული უღმერთობის პერიოდის ბოდბის მონასტრის მოძღვარს. ქუჩა გადაჭრა, შეჯგუფულ ახალგაზრდებს რომ გაუსწორდა, ერთმა მიაძახა:

— მღვდელო, ეგ ჯვარი შენია, თუ უფალმა გინყალობა?! — ახალგაზრდები ახარხარდნენ.

— ღმერთი აღარ არი, შენ ვისლა ემსახურები, წვერიანო?

— საკუთარ თავს ემსახურება, მატყუარა და უქნარაა, ეტყობა, ანაფორის შიგნით ხაშლამის ნარჩენებით ექნება გამოტენილი ჯიბეები.

— შეუნდე უფალო, რამეთუ უგნურნი და სატანისგან ცდუნებულ არიან! — მოძღვარმა პირჯვარი გადაისახა.

— მე გაჩვენებ შენ, როგორია შენდობა! უნდა შემოგაფხრინო ეგ ანაფორა, უტვინო ხალხის დაბრმავება რომ გინდა!

მოძღვარმა უროსავით მძიმე ხელი ჩაავლო კისერში,

კოჭუნით დაატრიალა და იქვე გაზონის ბუჩქში შეჭყუნა; მერე ყველაფერი აირია, ერთმა ანაფორიანმა ჯანმაგარმა თხუთმეტამდე მოხულიგნო ღვთისმგმობელი მიტყუვა და გააქცია. მარტო დარჩენილმა ანაფორა ჩამოიბერტყა, გულზე დაკიდებული ჯვარი შეისწორა და ხმალივით რომ ხმარობდა, იმავე ჯოხის დინჯი კაკუნით ისე განაგრძო გზა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ვისი იმედი უნდა ჰქონოდა მოძღვარს ამ ათეიზმით დამუხტულ საზოგადოებაში, თუ არა თავისი საკუთარი შემართების და მკლავისა. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უსიამოვნება შემთხვევია?!...

ბოდბის მონასტერი აოხრებულია. ქართველი მრევლისგან და ღვთისმსახურთაგან მიტოვებულს უცხო ტომის ადამიანები დაპატრონებიან..... ეკლესიაში კი მდუმარედ დგას მრევლშემომფრთხალი საქართველოს განმათავისუფლების, წმინდა ნინოს სარკოფაგი. საერთო საცხოვრებლები, ბარაკები და უამრავი საქათმე-საღორე თავისი სიბინძურით აყროლებს წმინდა ადგილს. კლესიას საძირკველს ღორები უჩიჩქნიან. ვიღაც ქართველი ქურდულად თუ შეიპარება და რუსულად მონათლავს შვილს, თორემ სხვა ყველასგან მივინყებულობა. აქა-იქ რუსული მრევლი თუ გამოჩნდება ამ შევიწროებულ-შელახულ წმინდა ადგილას. ათეიზმი ღმერთთან ბრძოლაში გამარჯვებას ზეიმობს. აი, ამ დროს ბოდბის ეკლესიის მოძღვარი მამა ათანასე, ანზორ ჩახვაშვილი, თავისი ღვთისმორწმუნე ოჯახით შეუდგა წმინდა ნინოს დანყებულ საქმეს, უხეში ძალის შიშით შთამომავლებმა ესოდენ რომ დაივიწყეს.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ წმინდა ადგილას კვლავ ქართული წირვა-ლოცვის აღდგენას. მოასუფთავა მიდამო და შემოავლო ქვითკირის კედელი ეკლესიას მაშინ, როდესაც ეს დანაშაულად ითვლებოდა: მისი ძალისხმე-

ვით შეფერხდა ღმერთთან ბრძოლა. ახლა უფლის პოზიციიდან შეუდგა უღმერთობას, არც ეროვნული საქმე და ჩვენგან მოკვეთილი ძმები დაივიწყა, საინგილოს ეკლესიები მოიარა და ღვთისთვის შეწირული კაცის ბრძოლა გადაიხადა ანტიქრისტე და ანტიქართულ უღმერთოებთან. ვერაფერი ვერ დააკლეს, ვისაც ქრისტიანობის პროპაგანდისა თუ ნაციონალიზმისთვის მოუხერხეს დაპატიმრება. ამაში მას თავისი მაგარი ჯვანი და გაუტყეხელი მორწმუნის ნებისყოფა ჰყავდა თანამებრძოლად.



მინის მუშა მოძღვარი შრომობდა ისე, რომ ყველა გლესს აკვირვებდა, უყვარდა ბარაქიან მინასთან ჭიდილი ჯანმაგარ ვაჟკაცს. თავისი პირადი მაგალითით უნერგავდა ადამიანებს უფლის რწმენას და ამრავლებდა სამწყსოს.

იგი არ იყო არც კირიონი და არც ახალაია, ის იყო ბოდბის ეპისკოპოსი ათანასე ჩახვამვილი, რომ გამოაფხიზლა მრავალი ადამიანი და გაბო-

როტებული აზროვნება ეკლესიისკენ შემოაბრუნა და აი, დადგა მისი ჯერიც. გეგმა იქ შეადგინეს, ზევით, როგორც სჩვევიათ კანონის საკუთარ ხუმტურებზე ჭრა-კერვის ნებერთ. ათანასეს მიუჩინეს მხევალი ქალი, რომელმაც მისი ყველაზე საყვარელი ღვთისმშობლის ხატი მოიპარა და...

პრიმიტიულად შეთითხნილმა საქმემ ბოლო აუშვა და თვითონ მის შემოქმედთ დასწვა თვალები. საქართველოს ეკლესია იღია მეორის ძალისხმევით ფეხზე დგებოდა, სამწყსო იზრდებოდა: გაშიშვლებული იდეოლოგიიდან ჯარისკაცის ხიშტილა მოჩანდა. ვენახების გრანდიოზული გაშენების პროგრამას შალაფა და ნარი ჭამდა, ჯერ ვაზის გაგლეჯის და ღვინო-არაყის დამნაშავედ გამოცხადების კანონი არ მიეღოთ...

...ბოდბის მოძღვარი ათანასე კი მხურვალედ ლოცულობდა.“

წმიდა ნინოს მონასტერში მეუფეს ერთხელ ასეთი ცხადება ჰქონდა:

„სამხრეთის კარიბჭიდან გამობრძანდა დიდებული ქალბატონი, დედა ნინო, რომელსაც ორი ნაწნავი მიწამდე სწვდებოდა, გამოვიდა და დამლოცა: შვილო, ჩემი ამოსუნთქვისათვის ამიერიდან დამილოცინიხარო.

მივხვდი, რას გულისხმობდა წმინდანი. წმიდა დედა ნინოს მონასტერი, აგრეთვე ეზო და მისი შემოგარენი ძალიან მოუვლელი დამხვდა. წესრიგის დამყარება ტაძრიდან დავიწყე, რომელიც მე და ჩემმა ოჯახმა საგულდაგულოდ დავალაგეთ. ტაძრის შიდა სივრცეს რომ მოვრჩით, მერე ეზო მოვანწესრიგეთ, ჩვენი ხელით ამოგვქონდა რიყის ქვა და გალავანი ჩემი ხელით განვაახლე. მონასტრის ეზოში ორი ძველი ბარაკი იდგა, რომელიც მოვშალე და იქ მაცხოვრებლები სხვაგან დავაბინავე. მონასტრის ეზოში კაკ-

ლის ხეები დავრგე. ასე, რომ მონასტერი შინ და გარეთ მონესრიგდა და უეჭველად დედა ნინოც ამის გამო გამო-მეცხადა.



გავიდა ხანი!

ცოტა მოვანესრიგე ეპარქია და წმიდა ნინოს მონასტერიც გავაქართულე. იქ მოღვაწე რუსი მონაზვნები დაბერდნენ და ნელ-ნელა გავიდნენ ამ ქვეყნიდან. ხოლო რუსი მღვდელი წითელწყაროს ეკლესიაში გადავიყვანე.

ერთხელ გარდაიცვალა მონაზონი დედა მარია. ის ტაძარში ესვენა, რომ ჩვენება ვნახე: შევედი მონასტერში და გარდაცვლილი მონაზვნის თავთან ერთად-ერთი ქირისუფალი, წმიდა ნინო დავინახე.“

წმიდა ნინოს ტაძრის მარჯვენა სვეტზე ბოდბის ეპისკოპოსი იოანე მაყაშვილი მანტიანამოსხმული, სასოების ფორმაშია გამოსახული. იგი მონასტერში თავისივე ხა-

ტის წინაა დაკრძალული. ტაძრის თაღში დაცულია შემდეგი წარწერა:

„ხატო და ბრწყინვალეზაო, ღვთისა და მამისაო, შენვე-
ნითა შენითა და წყალობითა ვინყე ამა ეკლესიისა განახ-
ლება და ორთა კარბჭეთა და ეკლესიის ამის გუმბათი-
სა ახლად აღშენებად და სადიდებლად ეკლესიისა ამის
დახატვად კარბჭებითურთ და კანკელისაცა, ახლად
გაკეთებად და ყოველთავე ეკლესიისა სამკაულთა შემ-
კობად. ჩვენ ყოვლად უსამღვდელოესობამ სიღნაღისა
და ქიზიყის მიტროპოლიტმა და კავალერმა მაყაშვილმა
ბოდბელმა იოვანემ. ვითხოვ აღმომკითხველთაგან რათა
ჰყოფდეთ ხსენებასა ჩემსა წელსა ჩყკგ.“

მიტროპოლიტი ათანასე მონასტრის სამრეკლოში
ცხოვრობდა. ის იგონებს:

„სამრეკლოდან ტაძრის ეზოში გამოვედი. მეცხადა,
რომ ახლად გათლილ ქვაზე, ამოკვეთილი იყო ბოდბის
ეპარქიის სულმნათი მიტროპოლიტი ივანე მაყაშვილი.
აღმართა ხელი, დამსახა პირჯვარი და ხელი ისევ გულზე
დაიდო. რახან პირჯვარი დამწერა, ვკითხე:

მე რომ აქ ვლაპარაკობ, შენ გესმის მეთქი? თავი გაიქ-
ნია უარის ნიშნად და გაქვავდა.

ისეთი წარმოდგენა მქონდა, თუ ერთ სიტყვას მეტყო-
და, საიქიოს საიდუმლოებას გავიგებდი.

მთელი ოცი წელი რუდუნებით დავტრიალებდი წმიდა
დედა ნინოს ეპარქიას.

ერთხელ ასეთი გამოცხადება მქონდა:

აღმოსავლეთის ცაზე ვიყურები. ტახტზე ზეციური მა-
მა საბაოთი ზის, რომელსაც ხელში უჭირავს (ეპისკოპო-
სის სამოსელი), რომელსაც წელზედ ეწერა: „გასპოდ ბოგ
საბაოთ.“

მე ტირილი დავინყე, ვყვირი: გამოდით ირწმუნეთ. ამე-

რიკელებს ეს ჩემი ყვირილი ესმით და იცინიან.

გამოცხადებიდან ცოტა დრომ განვლო და მოსკოვში ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი ჩავიდა. ამ დროს კომუნისტებმა მართლმადიდებლური სარწმუნოება აღიარეს.“

წინასწარმეტყველი ესაია, რომელიც ღირსი გახდა უფლის დიდების ხილვისა, მოწმობს, რომ ღვთის საყდრის გარშემო მდგომი სერაფიმები ერთმანეთის მიმართ ღაღადებენ: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ. (ეს, 6,3) ის, რომ სერაფიმთა დიდებისმეტყველება ძვ. აღთქმის სხვა ადგილებთან ერთად (მაგ: შესქ. 1,26; 3,22) ღვთის პირთა სიმრავლეზე მიუთითებს, ახალი აღთქმითაც პირდაპირ დასტურდება, რადგან ესაიას უფალი საბაოთის ხილვისას მისი ძეც გამოეცხადა (ინ. 12,40-41) და სულიწმიდის ხმაც ესმა (საქმ. 28,25-27). ამიტომ წმ. მამები და ეკლესიის მასწავლებლები (წმ. ათანასე დიდი, წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი დას ხვ.) ერთხმად ამტკიცებენ, რომ ეს სამჯერადი გამეორება: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს ღვთის სამ პირს ანუ სამგვამოვნებას გამოხატავს, ხოლო უფალი საბაოთ არსების ერთობას მიანიშნებს.

1987-1997წწ. მიტროპოლიტ ათანასეს მცდელობითა და მოღვაწეობით ბოდბის ეპარქიაში შემდეგი ეკლესიამონასტერი გაიხსნა და ეკურთხა:

ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების, ველისციხის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა, გურჯაანის მთავარანგელოზის, არაშენის ამაღლების, კარდენახის წმიდა საბას, დედოფლისწყაროს წმინდა სერაფიმე საროველის, სიღნაღის წმიდა გიორგის, ძველი ანავის; ლაგოდეხის რაიონის თელის წმიდა გიორგის, ვარდისუბნის წმიდა გიორგის, ლელიანის წმიდა დიდმონაშე თეოდორე ტირონის, აგრეთვე ლაგოდეხის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია.



რუსთავისა და მარნეულის ეპარქიაში

რუსთავისა და მარნეულის ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი საზღვრისპირა ეპარქიაა. იგი მოიცავს ქალაქებს რუსთავს, მარნეულს, გარდაბანსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიის იურისდიქცია ისტორიული ქვემო ქართლის ვაკეზე მდინარეების მტკვრის, ალგეთისა და ხრამის აუზზე ვრცელდება. რუსთავის საღმდელმთავრო ტერიტორიას აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება მცხეთა-თბილისის, ჩრდილო-დასავლეთიდან მანგლისისა და ნალკის, დასავლეთიდან - ბოლნისის ეპარქიები. ეპარქიის სამხრეთი საზღვარი ემთხვევა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრებს.

ეპარქიის ტერიტორიაზე საქართველოს გაქრისტიანების დასაწყისიდანვე იწყება ეკლესიათა მშენებლობა, IV ს. ბოლოს თრდატ მეფეს (393-405) რუსთავში დაუდგია „ეკლესიისა საფუძველი“.

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შემდეგ რუსთავი საეპისკოპოსო ერთეულად აღირიცხა და იგი რუსთავის საერისთავოს ტერიტორიას მოიცავდა. თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად მოოხრდა ქალაქი რუსთავი და რუსთაველი ეპისკოპოსის სადგომად მიჩნეული იქნა მარტყოფი. მარტყოფში მყოფი მღვდელმთავარი კვლავ რუსთველად იხსენიებოდა.

სამეფოებად გაყოფილ საქართველოში რუსთველი მღვდელმთავარი კახეთის სამეფოს მეორე სადროშოს სარდლობდა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში საგანმანათლებლო



მეუფე ათანასეს გვერდით დგას მამა დავითი (ჩიტძე)


და მნიგნობრული ტრადიციით გამორჩეული რუსთავის ეპარქიის აღდგენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

მიტროპოლიტი ათანასე 1996 წლის 21 ოქტომბერს დადგინდა რუსთველ მიტროპოლიტად. 2002 წლის 17 ოქტომბერს რუსთავის ეპარქიას ეწოდა რუსთავისა და მარნეულის ეპარქია. აღნიშნული ეპარქია რელიგიურ-კონფესიური და ეთნიკური თვალსაზრისით ფრიად ქრელია. აქ მართლმადიდებლებთან ერთად ცხოვრობენ მაჰმადიანი აზერბაიჯანელები, მონოფიზიტი სომხები... საჭიროა ფრთხილი და განონასწორებული პოლიტიკა, რათა არ მოხდეს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებათა პროვო-

ცირება. მეუფე ათანასე ყველაფერს აკეთებს, რათა იყოს ქართული სახელმწიფოებრივი და რელიგიური ისტორიული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. მეუფე ათანასეს ღვაწლით რუსთავისა და მარნეულის ეპარქიაში, სადაც არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია, გაიხსნა და ეკურთხა: რუსთავის წმიდა ვახტანგ გორგასლის, ღვთისმშობლის ხარების, წმიდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, მიქაელ მთავარანგელოზის, გაბრიელ მთავარანგელოზის, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის, წმიდა ნინოს, ცამეტი ასურელი მამის, გრიგოლ ხანძთელის, ალექსი შუშანიას სამლოცველო სახლები. შენდება წმიდა ამაღლების, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. მარნეულის ცენტრში გაიხსნა მართლმადიდებლური ეკლესია.



Վաղարշապատի Երեմյան թանգարանի
նախագահ



წმიდა მარხვა

„განძლა, განსუენა, გამსხვილდა და დაუტევა შემოქმედი თვისი.“

(დავითის ფსალმუნი).

ადამიანს, როგორც გონებისმიერსა და მეტყველს, თავიდანვე აქვს დავალებული ღვთისგან, მტკიცედ დაიცვას თავი ყოველგვარ ხილულ და უხილავ ცოდვათაგან, რადგან თუ კაცმა თავს ნება მისცა და ცოდვებს დაეჩვია, იგი სიმართლესა და ჭეშმარიტებას უკვე სიმძულვარით დაუნყებს ყურებას.

ადამიანი სულისა და ხორცის ერთიანობას წარმოადგენს. სწორედ სულისა და ხორცის შეერთების მომენტიდან ჩნდება ამ ორს შორის წინააღმდეგობრიობა. თუ ხორცის სიამოვნება-განცხრომას მიჰყოფს იგი ხელს, სული დაიჩაგრება, ხოლო თუ სულზე იზრუნებს, ხორცი დაზარალდება. და აი, სწორედ იმიტომ, რომ სულსა და ხორცს შორის სრული ჰარმონია დამყარდეს, არსებობს მარხვა, რომელიც დადგენილია თვით შემოქმედისაგან ჩვენსავე სასიკეთოდ.

ღმერთმა მარხვის მცნება სამოთხეშივე ამცნო ადამიანს - ადამისა და ევას სახით, როცა გააფრთხილათ, რომ ქვეყანა მათი იყო, უფლება ჰქონდათ, რასაც კი მოისურვებდნენ, ეჭამათ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა და არ უნდა ეგემათ ბაღში მდგარ ხე ცნობადი კეთილისა და ბოროტის ნაყოფი.

განა ღმერთს, რომელმაც ადამიანისათვის დაბადა ცა და ქვეყანა, შეშურდა, ეჭამა იმ ხის ნაყოფი? რა თქმა უნდა არა. კი არ შეშინდა და დაენანა, არამედ ამითი ისინი გამოსცადა, რამდენად შეასრულებდნენ ღვთის ნებას,

რადგან ამ ხეში სიმბოლო ჰქმნა ღმერთმა კანონი მარხვისა, როგორც სულისა და ხორცის გამანონასნორებელი აუცილებლობა.

წინაპრებს უთქვამთ, „თუ სახლში უფროსი არ გყავს, ერთ-ერთ კუთხეში ჯოხი მიაყუდე და სადმე რომ მიდიხარ, თავი დაუკარ, დაეთხოვეო.“

როგორც ხედავთ, ამ ჯოხში ვილაცისადმი მონინება-პატივისცემის ცნებაა გასიმბოლოვებული, რა ცნებასაც უღალატოდ უნდა ასრულებდეს ყველა. მას ე. წ. კანონის ძალა აქვს და მისი დამრღვევი აუცილებლად ისჯება კანონმდებლისაგან, ისე, როგორც დასაჯა ღმერთმა ადამი და ევა იმ აკრძალული ხილის ჭამისათვის, ათასგვარი ტანჯვა-ვაების გადატანა რომ დაუნესა მას შემდეგ ადამიანთა მოდემას.

როდესაც ბიბლიურმა მოსემ სჯულის მიცემა სთხოვა ღმერთს, და მან ორმოცი დღე არ იმარხულა და მარხვით არ განიწმინდა, ათი მცნება ვერ მიიღო. მოსე - წინასწარმეტყველი სხვა მხრივ ყველა სათნოებით შემკული და რჩეული კაცი იყო ღვთისაგან, მაგრამ მარხვა აკლდა და სწორედ მისი დაცვის შემდეგ მიიღო ღმერთისაგან მოწყალებად რჯული.

ადამიანი, რაც უნდა სათნო, მშვიდი, მდაბალი და მოწყალე იყოს, თუ იგი ნაყროვნად მიიღებს საჭმელს, თუ იგი მიჰყვება ჭამა-სმას მეტისმეტ სიმაძღრეს, ათასი წლის სიცოცხლეც რომ ჰქონდეს, ეშმაკი მას არ მოასვენებს და ათასგვარ ცნებას ჩაადენინებს, ცოდვებით აავსებს, არ დაუღევს: კაცთ კვლას, მრუშობა-სიძვას, საამქვეყნიოში სირცხვილს დააკარგვინებს, იმ მარადიულ სამყოფელში კი სულით სატანჯველს მიურგენს მას, ამიტომ, ყველა სათნოებაზე უდიდესი მარხვაა, რომელიც თრგუნავს ადამიანში ყველა ეშმაკეულს. აი, რას შეგვაგონებს სულ-

კურთხეული დავით გურამიშვილი:

„მე სული ვიყავ, ვურჩევდი ტებილთა,
ხოცი ურჩევდა, რაც სჭირდა კბილთა.
...თავისი თავი ხორცს ამსახურა,
ხორცსა ჩააცვა, ხორცს დაახურა,
თვისი ცხოვრება ხორცხედ გარდადო,
ანა მომცა რა სულს საფარსაგო.
...არ მოიგონა დამბადებელი,
თვისი ამშენი, ამავებელი.
...თავის თავს უყო ასე ზიანი,
ხოციით მიწაში ჭამენ ჭიანი,
მე, სული მისი, აქ ვიტანჯები
სამართალში ვარ და ვისაჯები“.

თუმცა, ადამიანი დაცემულ მდგომარეობაშიც კი მარად ილტვოდა ზეს სფეროსაკენ, როგორც სულ-ხორციული ჰარმონიის კვლავ აღდგენის საშუალებისაკენ. სწორედ ამ ერთადერთ საშუალებად რჩება მარხვა, წმიდა მარხვა, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების ასკეტური იდეალის გამოხატულებაა.

მართლმადიდებლური ეკლესია თანამიმდევრულად და მკაცრად მისდევს რა მოციქულთათვის შექმნილი დადგენილებების კრებათა კანონებს, მუდამ აღიარებს მარხვის უმაღლეს ღირებულებას ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოსწორებისათვის. ამიტომ მარხვა მიჩნეულია ღვთაებრივ ნიშად, სულიერი ღვანლის სანყისად, სულიერ საზრდოდ, ანგელოზებთან სწორობის ცდად, მომავალი ცხოვრების სახედ.

მარხვა განყენებული მცნება როდია. მას თან უნდა ახლდეს ქველმოქმედებაც, განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, როცა სიკეთის ასე უთანაბრო და უსამართლო განაწილება ხდება. მარხვა საჭმლის ზოგიერთ სახეობაზე

უბრალო თავშეკავება კი არ არის მხოლოდ, არამედ ყოველგვარი ბოროტისაგან განდგომაც, რაშიც იგულისხმება: მრისხანების განდევნა, ენის თავშეკავება, სხვათა საზიანო სურვილთა მოცილება და სხვა და სხვა. როგორც ბასილი დიდი იტყოდა: „მარხვა არის სიკეთე“.

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ადრიდანვე დაადგინა მარხვის კურთხეული პერიოდები და განსაზღვრა მათი შესრულების წესებიც. არსებობს: დიდი მარხვა, ქრისტეშობის მარხვა, წმინდა პეტრესა და პავლეს მარხვა, ღვთისმშობლის მარხვა და ოთხშაბათ-პარასკევის მარხვა.

ძვირფასო სამწყსოვ, საყვარელო თანამემამულენო!

26 თებერვალს იწყება დიდი მარხვა. ნუ შეიბილნებით ნაყროვანებითა და ლოთობით, შფოთით, ერთმანეთის მტრობით, ერთმანეთის გაუტანლობით, გთხოვთ, კეთილგონივრული, კაცთმოყვარული განწყობილებით აღასრულოთ იგი და ასე, მშვიდობიანად განვლოთ ჩვენი ისედაც მცირე ცხოვრების დრო-ნუთისოფელი.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენ ყოველთა თანა. ამინ!

ათანასე მიტროპოლიტი.

სიღნაღი. წმინდა ნინოს სავანე.

გაზ. „კოლმეურნე“, №21 (8.691), 1990წ.

წმინდა მარხვა

„იტყოდე შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რათა განმართლდე“. (ისაია 43,26).

მართლმადიდებელნო, ძვირფასო თანამემამულენო!

მიმდინარე წლის 10 მარტიდან იწყება წმინდა მარხვა. ვიდრე შევეუდგებოდეთ მარხვის რაობის განმარტებას, მინდა, გამცნოთ მარხვის ქრისტიანული წესის შესახებ.

წინა დღით, ე. ი. კვირას, წირვა-ლოცვის დამთავრებისას, ეკლესიაში მყოფი მორწმუნე მრევლი გამოითხოვს შენდობას, ანუ ცოდვათა პატიებას მოძღვარისაგან. შემდეგ მორწმუნენი ერთმანეთს სთხოვენ პატიებას ამბორის ყოფით, რათა დამშვიდებული გულითა და სულით ერთმანეთთან შერიგებულნი შეუდგნენ დიდი მარხვის წესის აღსრულებას.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მარხულობას ადამიანისათვის პირველ ყოვლისა იმ მხრივ, რომ მარხვა დედაა სინმინდისა, მარხვა ამუხრუჭებს ყოველგვარ უწმინდურ შინაგან გულისთქმას. უზომო სმა-ჭამა, რომელიც ალაღებს ორგანიზმსა და აანთებს კაცის სისხლში უწმინდურობის ცეცხლს, ცოდვაში ჩააგდებს მას.

ნუ დავიჯერებთ, რომ ნაყროვანმა კაცმა შეძლოს ლოცვა-მონანიება, ხოლო როცა მარხვისაგან რამდენადმე დაუძღურდება ხორცი, მაშინ სული თავისუფალია და მიილტვის შემოქმედისაკენ. ამიტომაა საჭირო, რომ დამდაბლებული სულით შევიწინათ ცოდვები ჩვენი.

რა არის სინანული?

სინანული არის სულიერი მწუხარება საკუთარ ცოდვებზე, ფიქრი და სინდისის ქენჯნა, ამიტომ, თუ გსურთ, რომ ამ ახლადდამდგარმა მარხვამ სარგებლობა მოუტა-

ნოს თქვენს სულს, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, რათა ჭეშმარიტად იმარხულოთ. ე.ი მარტო შენი კუჭი არ შეავინროვო, მარტო მუცლით კი არ იმარხულო, არამედ დაუწესო მარხვა შენს დანარჩენ ორგანოებსაც: დააკავე ენა ყოვლის სიცრუისა და მოტყუებისაგან, აღვირი ამოსდე შენს ბოროტ გულისთქმას, ნუ შეუშვებ გულში ბილწ, უწმინდურ სურვილებს, მოერიდე მტაცებლობას, სხვათა განკითხვას, რადგან წმინდა სახარება გვასწავლის: „ნუ განიკითავთ, რათა არ განიკითხნეთ“. „რა საწყაოთაც მიუნყონ თქვენ, იმ საწყაოთი ღმერთმან მოგინყოთ თქვენ“. (მათეს სახარებიდან). კაცობრიობის საშინელი მტერია ჭორიკანობა, რადგან „ჭორიკანა“ ეშმაკს ნიშნავს. ენის მიტანა, თავხედობა, მზაკვრობა, მცონარობა, ღორმუცელობა, სიძუნწე, თუ თამბაქოს ნევა მიძიმე ცოდვებია. ვინც გულწრფელად მარხულობს, ამტკიცებს, რომ იგი არის მორჩილი, თავმდაბალი და შვილია ეკლესიისა. ვინც მარხულობს, ის ეძებს სულიერ წარმატებას, ანგელოზების მსგავსებას.

მარხვა სულისა და ორგანიზმის განმენდაა. ნუ დაუჯერებთ ხორციელ სურვილს, შევაავინროვოთ ხორცი ჩვენი, ბუდე ყოვლისა ცოდვისა, მოვაკლოთ საჭმელი. მარხვა საჭიროა მისთვის, რომ აღვირი ამოვდოთ ჩვენს ხორცს.

მარხვა საშუალება და ღონეა, რომლითაც შეუძლია კაცს განამტკიცოს თავისი სულიერი ზნეობითი ძალა. „ნეტარი ვითარცა პური ვსჭამე და სასმელი ჩემი ცრემლითა განვაზავე“. ასე ტიროდა დავით წინასწარმეტყველი თვის ცოდვებს.

ჭეშმარიტი მარხვა არის ქველმოქმედება - მონყალება „ვცეთ მშვიერთა პური ჩვენი გულითა მხიარულითა, გლახაკნი უსართულონი შევიყვანოთ სართულსა ჩვენსა“.

მარხვა მონყალების გარეშე ბათილია. მარხვა უნდა

ავასრულოთ კეთილი საქმით. ჭეშმარიტი, სრული მარხვა მდგომარეობს ერთმანეთისათვის ბრალის მიტევებაში. დაიცავით მარხვა, ამბობს ბასილი დიდი. სხვა რომ არ იყოს, იმიტომ მაინც, რომ იგი არის ჩვეულება ძველთაძველი, როგორც კაცობრიობაა ძველი, უძველეს დროში წარმატებითაც მარხულობდნენ, ბოლოს კი მაჰმადიანთაც სცნეს... მარხვა.

ყოველნი წმინდანნი კაცნი, დიდნი მოღვაწენი, მხოლოდ ფიცხელი მარხვითა და ლოცვით მიიზიდებოდნენ ღვთის მადლსა და შეიქმნებოდნენ ღვთისმეტყველნი, ღვთისმხილველნი. არ მოხდება, არც მომხდარა, რომ ვინმე ქტისტიანთაგანი წმისდანად შერაცხულიყო და მმარხველი კი არ ყოფილიყო.



ყოველნი წმინდანნი კაცნი, დიდნი მოღვაწენი, მხოლოდ ფიცხელი მარხვითა და ლოცვით მიიზიდებოდნენ ღვთის მადლსა და შეიქმნებოდნენ ღვთისმეტყველნი, ღვთისმხილველნი. არ მოხდება, არც მომხდარა, რომ ვინმე ქტისტიანთაგანი წმისდანად შერაცხულიყო და მმარხველი კი არ ყოფილიყო.

ჭამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნახავს კაცს, მარხვისა და მოთმინებისაგან კი არავინ. მარხვა ამთელებს კაცის სხეულს. მართალია, დასაწყისში ძნელია, მეტადრე მათთვის, რომელთაც მეტისმეტად უყვართ ჭამა-სმა, მაგრამ როდესაც მიეჩვევიან, მაშინ მიხვდებიან, რა სასარგებლოა იგი. დიდი ბედნიერება იქნება მათთვის, რომელნიც

გონიერად დაიცავენ მარხვის მთელ პერიოდს, რამეთუ რიგიან, პატიოსანსა და წმინდა ქრისტიანულ ცხოვრება ყოფა-ქცევას მიიღებენ ჩვევად მეორე შობისა ღირსად.

ძვირფასო სამწყსოვ, ნუ შეიბილწებით ნაყროვანებით, ლოთობით, შფოთით, ერთმანეთის მტრობა-გაუტანლობით. გთხოვთ, კეთიკგონიერული, კაცთმოყვარული განწყობილებით აღასრულოთ მარხვა და მშვიდობიანად განვლოთ ჩვენი ისედაც ხანმოკლე ცხოვრების დრო - ნუთისოფელი.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იყავნ თქვენ ყოველთანა, ამინ!

ათანასე ჩახვაშვილი
მიტროპოლიტი კახეთისა და ქიზიყისა.
სიღნაღი. წმინდა ნინოს სავანე.
გაზ. „ქიზიყი“, №16 (7.922), 1991წ.

ზოგი რამ მარხვის შესახებ

დაიწყო დიდი მარხვა. ესე იგი დღეები წმინდა ლოცვისა, მარხვისა და სინანულისა. მარხვის დასაწყისში აუცილებელია შერიგება. მიტევება ერთმანეთის მიმართ, შეცოდება ბრალისა. ამის გარეშე უსარგებლო იქნება ლოცვა, მარხვა და ყოველი სულიერი შრომა. ვისაც გულში აქვს ვისმესთ ან მტრობა, შური, უკმაყოფილება, ის უმჯობესია ნუ შეუდგება მარხულობას, ვიდრე არ შეურიგდება მოძულეს, არ აპატიებს შეცოდებებს. მარხვის გარეშეც მძიმე ცოდვაა შურისგება. ყოველი ადამიანი უნდა გიყვარდეს, ყოველი კაცის ბედნიერება გსურდეს

და გიხაროდეს, ყოველი კაცის მწუხარება და უბედურება შენთვისაც სამწუხარო უნდა იყოს, ასე კეთილგანწყობილი მშვიდობიანი გულით უნდა შეუდგეს მარხულობას და საკუთარი ცოდვების მონანიებას.

ქრისტეს ბრწყინვალე მოციქული წმინდა პავლე გვასწავლის, რომ „კაცად-კაცმან თვისი ტვირთი იტვირთოს“, ხოლო თუ როგორია მარხვის შენახვის წესი, ამას თვით სახარება გვიხსნის:

მარხვა უნდა იყოს არა მარტო გარეგანი, საჭმლის და სასმელის მოკლება, არამედ შინაგანადაც სულიერი განშორება და აკრძალვა ყოველივე ცუდი საქციელისაგან. ვინც ამპარტავანი არ არის, უნდა სიმდაბლით მოიქცეს, ანჩხლმა და მაშფოთარმა უნდა სიმშვიდე შეიძინოს, მემთვრალემ, მუცლის მონამ - ზომიერება. ცრუ და უმართლომ გულწრფელობა, სიმართლე შეიყვაროს, ეს იქნება ჭეშმარიტი მარხვა.

დიდ მარხვაში ფრიად სათნო არის ღვთისათვის ღოცვა და მონანიება. „რომელი ჰფარვიდეს უსჯულოებასა თვისსა, არა წარემართოს, ხოლო რომელი მიუთხრობდეს და ამხილებდეს, საყვარელ იყოს“. (სიბრძნე სოლომონისა ძველ აღთქმიდან).

აღსარება არის განმწმენდელი სულისა, ცოდვისა კი განმდევნელი. ამიტომ ამბობს დავითი: „ცოდვანი ჩემნი გაუწყენ და უსჯულოებანი ჩემნი არა დავფარე შენგან, ვთქვი, აუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტეო უღმრთოება გულისა ჩემისა“ (ფს. 31.5)

დიდი მარხვის სულიერი, წმინდა მოღვაწეობა უნდა დაგვირგვინდეს აღსარებით და ზიარებით, დიდ მარხვაში ერთხელ მაინც რომ არ ეზიაროს ქრისტიანი კაცი, ყოვლად დაუშვებელია. ყოველთვის უნდა ფიქრობდეს კაცი, რომ უზიარებელს არ მოუხწროს სიკვდილმა, გადასვლა

ამიერ სოფლითგან სამარადისო სამყოფელში, საიქიოს.

მადლობა ღმერთს, რომ ღირსი გაგვხადა ეკლესიების დაბრუნებისა სალოცავად.

კახეთის ყველა რაიონში გვაქვს მოქმედი ტაძრები და გვყავს სასულიერო პირნიც, სადაც ყოველ კვირა დღეს სრულდება წმინდა წირვა-ლოცვები, რომელთაც გასურთ წმინდა ზიარების მიღება, გაქვთ შესაძლებლობა, მიიღოთ იგი და სულიერად განიკურნოთ ცოდვებისაგან.

თქვენი მარად ორსავე სოფელსა შინა სიცოცხლის მსურველი

ათანასე ჩახვაშვილი,
მიტროპოლიტი კახთა და ქიზიყისა.
სიღნაღი. წმინდა ნინოს საფანე.
გაზ. „ქიზიყი“, №17 (7.923), 1991წ.



ნათლის ღება

ძმანო და დანო! - მართლმადიდებელ ქრისტიანხო, ძვირფასო სამწყსოვ, 18 და 19 იანვარს მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს ფრიად წმინდას და დიდ საუფლო დღესასწაულს - წყალკურთხევას. მინდა, ჩემი მწყემსმთავრული კურთხევით მოგილოცოთ ეს წმიდათანმიდა დღესასწაული და ახალი წელი. ვთხოვ ღმერთს, რომ თქვენ ყოველმან მშვიდობით და ბედნიერად გაატაროთ.

ქრისტეს შობიდან 80 წლის შემდეგ იუდეველთა უძველეს ქალაქ იერუსალიმის მახლობლად, მდინარე იორდანის ნაპირებთან, ხალხს ასწავლიდა სასტიკი მქადაგებელი. მას ტანსა ემოსა უშვერი სამოსელი აქლემის თმისა, ერტყა ტყავის სარტყელი, საზრდელი მისი იყო მკალი და ველური თაფლი. ცხოვრება და გარეგნობა მისი სავსებით შეესაბამებოდა მის სასტიკ ქადაგებას, აღვსილი იყო ვედრებით და მხილებით. ეს იყო იოანე, წინამორბედი და ნათლისმცემელი.

„მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი, რამეთუ მოახლოებული არის სასუფეველი ზეცისა“, მაღალი ხმით მიმართა მან ხალხს. არაჩვეულებრივი იყო ის მქადაგებელი და ქადაგებაც. იმ დროს შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა, საგონებელს მიეცნენ იმდროინდელი მწიგნობარნი: რაო, რას ნიშნავს ყოველივე ესაო? თავიანთი ფიქრის გამოსარკვევად იოანეს გაუგზავნეს მწიგნობარი და ჰკითხეს: გვარქვი ჩვენ, ვინ ხარ შენ? იოანემ მიუგო, რომ მე არა ვარ ქრისტეო.

კვლავაც ჰკითხეს, ვინ ხარ, გვითხარ, რომ სიტყვა მივართვათ მომავლინებელთა ჩვენთა. მაშინ იოანემ სთქვა: მე ვარ ხმა ღალადებისა უდაბნოსა, წრფელყვენით აღაგ-

ნი მისნი, მე ნათელვცემ წყალთა, ხოლო აგერ მოდის კრავი ხვთისა, რომელიც მოგინათლავთ სულთა წმინდათა, იესო ქრისტეო, ამიტომ, მოვედ, რომ ვამცნო მსოფლიოს გამოცხადება ქრისტესი.

ამ დროს მოდის იოანესთან იესო ქრისტე. მანაც ითხოვა იოანესაგან ნათლისღება. იოანემ უთხრა: ვითარ ხელი დაგდვა მონამან უფალსა, გამწმინდე მე და წყალნიცა ესე ქრისტე, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი, ამაზედ ქრისტემ მიუგო: ასე ჰშვენი. რათა აღსრულდეს ყოველი წინასწარმეტყველება და როცა იესომ ნათელი იღო და მოვიდა წყლიდან, გაიხსნა ცა და სულიწმინდა გარდამოვიდა ვითარცა მტრედი, დაადგა ქრისტეს და მოისმა ზეცით ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ“.

მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ეს უდიდესი და მრავალმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ნათლისღება უფლისა ფრიად შესანიშნავი სასწაულია იესო ქრისტეს ცხოვრებაში. იესოს ნათლისღების შემდეგ დაიწყო მისი საზოგადო მოღვაწეობა ადამიანთა მოდგმის სასარგებლოდ. თვისი მონათვლით ჩვენ გვაჩვენა და დაგვიწესა გზა ღვთის სასუფეველისა. ნათლისღების საიდუმლო ჩვენთვის არის კარი, რომლითაც შევდივართ მორწმუნეთა კრებულში. ამ კარით გადმოდის ჩვენზედ მაღლი სულიწმინდისა, მით ვიმოსებით ქრისტეს სახელითა და ვიღებთ აღქმას საუკუნო ცხოვრებისას. ამ საიდუმლოს ძალა იმდენად დიდია, რომ ადამიანის სიცოცხლის მანძილზედ ვრცელდება. ამისათვის ერთხელ ინათლება ადამიანი „ვალღარებთ ერთ ნათლისღებასა მოსატეველად ცოდვათა“.

წმინდა ნათლისღებით, ე.ი მონათვლით, მირონცხებით ვიმოსებით უხრწნელების სამოსელით. ვინც არ იღოს ნა-

თელი, მან ნათელი ვერ ჰპოვოს საუკუნო. ე. ი. სრულიად არ ცხონდეს. ამიტომ არის, რომ მოუნათლავ მიცვალებულს სასულიერო წესები არ უსრულდება. ამ წესით ვასრულებთ წმინდა სურვილს ჩვენის მხსნელისას იესო ქრისტესას და ღირსეულად ვატარებთ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მაღალ წოდებას.

მაღლი და სიყვარული უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, იყავნ თქვენ ყოველთა თანა, ამინ!

ათანასე ჩახვაშვილი
მიტროპოლიტი კახთა და ქიზიყისა.
სიღნაღი. წმინდა ნინოს სავანე.
გაზ. „ქიზიყი“, №7-8 (7.914), 1991წ.

სიტყვა აღსარებასა და ზიარებაზე

ძვირფასო მართლმადიდებელნო!

დადგა დიდი მარხვა (18 თებერვლიდან 7 აპრილამდე), — დრო ლოცვისა, სულიერი მოღვაწეობისა, ზიარებად მომზადებისა. ამ დროს მომეტებულად საჭიროა ჩვენგან, ეკლესიისაგან სწავლა-დარიგება თქვენი. დღეს ჩემი საკუთარი სიტყვებით არ გადმოგცემთ, არამედ გაგაცნობთ ბიბლიური დიდი წინასწარმეტყველის ისაიას დარიგებას, რომელიც შესანიშნავად გვიხსნის რა არის მარხვა, ლოცვა, როგორ უნდა იმარხულოს და ილოცოს კაცმან, თუ სურს, რომ ლოცვა და მარხვა მისი ნაყოფიერი იყოს.

თვით ღმერთმან უბრძანა ისაიას:

„ხმა ჰყავ ძლიერად და ნუ რიდეხ ვითარცა საყვირმან აღიმაღლე ხმა შენი და მიუთხრენ ერსა ჩემსა ცოდვანი

მათნი“. (ისაია 58,1).

ამსრულებელმან ამ ბრძანებისა, ისაიამ გამოუცხადა ერსა: „ვიმარხვეთ და არა იხილე დავიმდაბლენით სულნი ჩვენნი და არა სცან, რამეთუ დღეთა შინა მარხვათა თქვენთასა იპოვებიან ნებანი თქვენნი და ყოველთა ხელის ქვეშეთა თქვენთა დაქენჯნით“. (58,3)

ესე იგი, ძველს აღთქმაში მმარხველი ერნი ხშირად მარხულობდნენ, თავს დაიმდაბლებდნენ, მაგრამ ღმერთი ყურადღებას არ აქცევდა მათ მარხვას. ღმერთი წინასწარმეტყველის პირით ეტყოდა მათ „თუმც მარხულობთ, მაგრამ თქვენ ნებას, ესე იგი ცოდვებს მაინც არ იშლითო: „იპოვებიან ნებანი თქვენნი და სტანჯავთ ხელქვეშეთა თქვენთაო“. სასჯელთა და ლაღვათა (ჩხუბით) იმარხვეთ და გვემთ თვით მწყვლელობით მდაბალსა რასა იმარხვეთ ჩემდა“. (ისაია 58,4).

ესე იგი, თქვენ მარხულობთ ჩხუბისათვის, ისე არ მარხულობთ, რომ ხმა ლოცვისა ავიდეს ღმერთთან ზეცაშიო „არა ეგეთი ვითარი მარხვა გამოგირჩიე - იტყვის უფალი, არამედ განსხენ ყოველისაკერული სიცრუისა, დაარღვიენ ღვარძნილებანი მძლავრებათაგანი“. (ისაია).

არა ამისთანა მარხვა ამოგირჩიე მეო, არამედ ისეთი მარხვა, რომ დახსნა, ესე იგი მოსპო ყოველი სიცრუე, და ყოველი უსიამოვნება, რომელიც მიაყენე მოყვასთა შენთა, მისცე მშვიერსა პური შენი, შიშველი შემოსე, ღარიბი შეიყვანე შენს სახლში, არავინ დასტოვო შეუწევნელი, რამეთუ სახარება გვასწავლის: „ჩამავალი კი არ წარწყმენდს კაცს, არამედ ამომავალს გაუფრთხილდით.“

ესე იგი მთავარი ისაა, თუ რას მოქმედობს კაციო, „მაშინ განეფინოს მსთვად ნათელი შენი და განკურნებანი შენნი მალე ამოხდენ და წინა ვიდოდეს წინაშე შენსა სიმართლე შენი.“ თუ ასე იმარხულებ, შენი სიმართლე განეფინოს ვი-

თარცა ცისკარი, და შენი საქმენი წინაშე შენსა ვიდოდენ და დიდებამან ღვთისამან გარემოგიცვას შენო.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხშირად ამნარებდა ურჩობით ღმერთს ადამიანთა მოდგმა ყოველ საუკუნეში, ღმერთი მაინც არ ივინყებდა მონყალებას მათთვის და ჰპირდებოდა, რომ მათ ცოდვებს აღხოცდა, აპატიებდა და შეინანებდა: „მე ვარ იგივე აღმხოცველი, უსჯულოებათა თქვენთა არალა მოვიხსენებ“. მაგრამ ცოდვენი მიტევებას იმ პირობით აღუთქვამდა ღმერთი თავის ერს, თუ იგინი თვითონვე იტყოდნენ თავის ცოდვებს. „იტყოდე, შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რათა განმართლდე“. (ისაია 48,26). აქედან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სინანულს და აღსარებას, უიმისოდ კაცი ვერ გამართლდება ღვთის წინაშე.

რა ძალა და მადლი აქვს აღსარებას, სინანულს?

აღსარება ის არის, როდესაც კაცი თავის სინდისისაგან მხილებული და იძულებული პირველად თვითონვე გაამტყუნებს თავის თავს, მერე მოძღვარს ტაძარში აღუთქვამს თავის ცოდვებს, რომელიც მოძღვართან საიდუმლოდ რჩება. რა გინდ გონიერი კაცი იყოს, თვითონ სიმართლით ვერ ასწონის თავის ცოდვებს. ყოველი კაცი თავმოყვარეა, თვის თავს ეფერება და ადვილად პატიობს ცოდვებს. ამიტომ საჭიროა, რომ მან ვინმე უფრო გამოცდილი კაცი მოიხმოს ამ საქმეში, რათა შიგნიდან გარეთ გამოატანინოს თავისი ცოდვები.

ცოდვა ეკალს ჰგავს, რომელიც შეერჭო კაცს ხორცში. სანამ ეკალს ხორციდან არ გამოიღებ, წყლული არ მორჩება. ე. ი. თუ კაცმა არ წარმოთქვა ცოდვა აღსარებაში და არ გამოაგდო გულიდან როგორც ეკალი, მასვე დარჩება სავნებლად.

ამრიგად, პატიოსანია მარხვა და სასარგებლო მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც იგი შეერთებულია კეთილ საქმეებთან, სინანულთან, აღსარებასთან, ზიარებასთან.“ რომელიც გააუმჯობესებს როგორც შინაგან თვისებას, ასევე გარეგანი ცხოვრების ქცევას, რომელიც ღმერთთან მოგანიჭოთ, ამინ!

უკუნისამდე საქართველოს სიცოცხლის მსურველი

ათანასე ჩახვაშვილი

მიტროპოლიტი კახთა და ქიზიყისა.

სიღნაღი. წმინდა ნინოს სავანე.

გაზ. „ქიზიყი“, №24

(7.930), 1991წ.



მოძღვრება სახარების წხრა ნეტარებაზე

*„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს
სასუფეველი ცათა“*

(მათე 5. 3.)

(მოძღვრება პირველი)

ქრისტე თავის წმინდა სახარებაში მოგვითხრობს ერთ ფრიად მნიშვნელოვან იგავს, რომელიც მოახსენა ერთხელ თავის მსმენელთ:

„ორი კაცი შევიდა ღვთის ტაძარში სალოცავად. ერთი ფარისეველი იყო, მეორე - მეზრე (პირველ საუკუნეში იყო ასეთი პარტიები ებრაელებში). ფარისეველი მედიდურად წარსდგა წინ და დაიწყო ლოცვა ხმამაღლა: „გმადლობ, შენ, უფალო, რომ ისეთი არ ვარ, როგორნიც სხვები: მტაცებელნი, მოჩხუბარნი, მრუშნი, ან მაგალითებრ, როგორც ეს მეზრე. კვირაში ორჯერ ვმარხულობ და ვიხდი იმის მეთედს, რასაც ვმოულობ“. ხოლო მეზრე იგი, მგრძნობელი თვისთა ცოდვათა, თავდაბლად იდგა უკან და ვერ ჰბედავდა თვალის ახილვასაც კი ზეცისადმი. გულზე ხელს იცემდა და ასე ამბობდა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემინყალე მე, უფალო!“

ამინ გეტყვი თქვენო, ბრძანა დასასრულს იგავისა უფალმან, რომ ამ უკანასკნელის ლოცვა კი შეისმინა ღმერთმა და პირველისა კი უარჰყო.

კეთილგონიერო მეგობარო! აბა, კარგად დაუკვირდი შენს თავს და გულწრფელად თქვი, არ გენიშნება შენი თავი ამ ფარისევლის ქცევაში?

ჩვენ ყველანი ვართ ქრისტიანნი, მაგრამ სამწუხაროდ

ახლანდელ დროში ისე დაეცა ჩვენს შორის ქრისტიანობის შეგნება, რომ მრავალნი ჩვენგანნი თუ ყველანი არა, მარტო სახელადღა ვართ ქრისტიანნი. თუ რაიმეს ვასრულებთ, ვასრულებთ მხოლოდ ეკლესიის წესის გარეგანი აღსრულებით. და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამით დიდად ვასიამოვნეთ ჩვენს გამჩენს, რომ სხვა აღარაფერს აღარც კი ვთვლით საჭიროდ, რათა ვირიცხებოდეთ ღვთის მცნების მტკიცე აღმსრულებლად. ვმედიდურობთ და ვამპარტავნობთ ზემოაღნიშნული მლოცავ ფარისეველსავით, რომ ვითომ ჩვენზე უკეთესი აღარვინ იყოს.

არა, ძმანო, ასეთი ქრისტიანობა ყალბი და მიუღებელია. თუ გვსურს, ქრისტეს ნამდვილი მონაფენი შევიქენით, მთლიანად უნდა შევიცვალოთ ჩვენი შეხედულება ჩვენს თავსა და ქრისტეს მოძღვრებაზე.

კაცობრიობა, ძმანო და დანო, ისე დაუძღურდა, ისეთნაირად დაეცა, ისე ღრმად ჩაეფლო უსჯულოებათა მორევში, რაც თვალნათლივ ჩანს დანაშაულებათა ასე ზრდაში ჩვენთან თუ ყველგან, საერთოდ, რომ, თავისთავად, ახლანდელ თაობას აღარც კი შეუძლია ამ უსჯულოებათა მორევიდან აღდგომა.

კაცობრიობა ბევრს ცდილობდა, რათა ნარმომდგარიყო როგორმე ფეხზე სულიერად, თავი გამოეხსნა ცოდვათაგან, ცოდვათა მონანიებისაგან, მაგრამ ვერაფერს გახდა და ბოლოს დარწმუნდა რა, რომ ასე აღარა ეშველებოდა რა, თუ თვით ყოვლისშემძლებელი ღმერთი არ გამოაჩენდა მასზე თავის სახიერებას, ადამიანი ღრმად დარწმუნდა, რომ ესოდენ უძღურია, ესოდენ „სულით გლახაკი“ და თავის თავს ვერ უშველიდა, თუ რაიმე ზეციური არ გამოიჩენდა მათდამი თვის სასნაულებრივ რაიმე განმაცხოველებელს.

რატომ არ შეისმინა ღმერთმა, ლოცვა ფარისევლი-

სა? იმიტომ, რომ იგი საკუთარი თავისათვის არ სთვლიდა ღვთის მადლს საჭიროდ, ისე იყო აღვსილი ამპარტავნობით, მედიდურობით, ფიქრობდა, რომ მას აღარ სჭირდებოდა რა და აღვსილი იყო უკვე ყველა სიკეთით. აკი ეუბნებოდა კიდევ: „გმადლობ, შენ, უფალო, რომ მე ისეთი ცოდვილი არ ვარ, როგორც სხვები“. აი, სადამდე მივიდა იგი.

რასაკვირველია, ამისთანა კაცს არ მიაინიჭებდა ღმერთი თავის მონყალებას, რადგან თავადვე იყო დარწმუნებული, რომ იგი უიმისოდაც მდიდარი იყო ყოველმხრივ და რომ მადლი ზეცისა, მონყალება უფლისა მიეცემოდა ადამიანს, მეორე მლოცველ მეზვრეს მსგავსად, რომელიც თავადვე გრძნობდა ღრმად საკუთარ უძლურებას, საკუთარი სულის გლახაკობას და სიღრმიდან გულისა ევედრებოდა ღმერთს, შეენყალებინა იგი, გადმოეხედა მონყალე თვალით.

„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“, ბრძანებს ღვთისმოსავი მოძღვარი იესო ქრისტე.

როდესაც ადამიანი ცხადად გრძნობს თავის უსუსურობას, უძლურობას, ხვდება რომ ღვთის შეუწევნელად იგი სამარადისო ცხონებას ვერ მიაღწევს. ამიტომ, მეზვრეს მსგავსად აღავლენს ლოცვას და სთხოვს ღმერთს: „ღმერთო მილხინე ცოდვილსა და შემინყალე“. ამ ლოცვიდან ცხადად ჩანს მეზვრეს სითავმდაბლე და ღმერთიც ისმენს მის თხოვნას, „ამპარტავანთა კი ღმერთი შემუხსრავს“.

ფარისეველი ამპარტავნობის გამო საკუთარ თავში ველარ ხედავს დირეს. გარსემომყოფებში კი ბენვისოდენასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს და ჰკიცხავს, ზიზლით უცქერის მოყვასს თვისას, სხვა არა დაიბადება რამ ის გრძნობაში. ძმური კავშირი სხვებთან, სიკეთე და კაცთმოყვარული თანაარსებობა უცხო, უცნობი, მიუღებე-

ლია მისთვის.

სულ სხვაა ის კაცი, რომელსაც მაცხოვარი „სულით გლახაკს“ უწოდებს. ისე ვერ შეიგრძნობთ სხვის გასაჭირს, თუ საკუთარად არ წარმოვიდგენთ. როცა საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი ჩვენივე ნაკლოვანებების სიმწვავე და გულისტკივილი, მაშინ აღარც სხვისას ვთვლით უბრალოდ, სხვას კი არ ვკიცხავთ, კი არ დავცინით, გვებრალება და თანაგრძნობით ვივსებით მისდამი. ვცდილობთ, ხელი გავუწოდოთ, დავეხმაროთ რითაც კი შეგვიძლია, ამოვიყვანოთ გაჭირვებიდან და ხელი მოვუშაროთ ყველანაირად, რათა კვლავ ფეხზე წამოვადგინოთ დავრდომილი.

აი, ამნაირი შეგნება ჩვენი საკუთარი ცოდვებისა, ჩვენი სულგლახაკობისა არის საფუძველი ყოვლისა სიკეთისა. იგი ერთიორად აძლიერებს ჩვენს სიყვარულს ღვთისადმი, მოყვასისადმი. მხოლოდ ასეთი შეგნებაა ერთადერთი გზა ღვთის სასუფეველისაკენ, სადაც დაემკვიდრებიან მხოლოდ ღვთისა და კაცთა მოყვარენი. აი, ამიტომ „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

მოდით დავუტევოთ ფარისევლური შეხედულება, არ ვიმედიდუროთ ფარისეველივით, არამედ მსგავსად თავმდაბალის მეზრისა, თითოეულმა ჩვენთაგანმა ვევედროთ ზეციერ მამას: „ღმერთო მილხინე, ცოდვილსა ამას და შემინყალე უფალო“.

დარწმუნებულნი ვიყვნეთ, იგი შეგვიწყალებს და გვაცხოვნებს ჩვენ, ვითარცა სეხიერ არს და კაცთმოყვარე“. ამინ!

**მიტროპოლიტი ათანასე
წმინდა ნინოს სავანე.**

გაზ. „ქიზიყი“, №45(8.715). 14 აპრილი 1990 წელი

მართლმადიდებელი ქრისტიანული რჯული

„რჯული არის სულიერი კავშირი ღმერთსა და კაცს შორის. ერთის მხრით კაცი ევედრება ღმერთს თავის საჭიროებისათვის, მეორე მხრით ღმერთი აძლევს კაცს თავის წყალობას. ამ ურთიერთობას ღმერთსა და კაცს შორის აქვს ღრმა საფუძველი თვით კაცის არსებაში, მის სულსა და გონებაში. ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ერი, რომ არ სწამდეს ღმერთი და არა ჰქონდეს სჯული.

ერთი ძველ მწერალთაგანი ამბობს: ქვეყანაზედ შეგვხვდება ბევრი იმისთანა ერი, რომელმაც არც იცის ხმარება ფულისა, არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ბინა, არ იცის ხელოვნება, არა აქვს გამაგრებული ადგილები, ქალაქები, მაგრამ არ არის არსად იმისთანა ერი, რომ არ სწამდეს ღმერთი, არა ჰქონდეს ლოცვები, არა სწამდეს მსხვერპლი და ფიცი. მრავალი ღრმად სწავლული უცილობლად და უეჭველად ამტკიცებს, სარწმუნოება და რჯული ღვთისა საყოველთაოაო.

ქვეყანაზედ ახლაც არის და უწინაც იყო ბევრი სხვადასხვა რჯული, მაგრამ არც ერთი არ არის ჭეშმარიტი, გარდა მართლმადიდებელი ქრისტიანობისა. ღვთისაგან განცხადებული ჭეშმარიტება მოიპოვება მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანობაში და ძველის აღთქმის რჯულში, რომელიც მომზადება იყო ქრისტეს რჯულისათვის.

მართლმადიდებელი ქრისტიანობა არის ერთადერთი რჯული, რომელიც აკმაყოფილებს კაცის სულის ყოველსავე მოთხოვნილებას, ამ სჯულმა არ იცის გარჩევა ტომისა, ეროვნებისა, სქესისა და ასაკისა, თვით სახარება

არის წიგნი სამარადისო, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის გამოსადეგი, საჭირო და გასაგები. როგორც ამ ოცი საუკუნის წინათ, ისე ეხლაც, მართლმადიდებელ ქრისტიანობას აქვს ერთი და იგივე ცხოველი ძალა, მის საკეთილო და სასარგებლო გავლენას განიცდიან როგორც მდიდარნი, ისე ღარიბნი, როგორც სწავლულნი, ისე უსწავლელნიც, მხოლოდ ქრისტიემ აუწყა ქვეყნიერებას ისეთი სწავლა-მოძღვრება, რომელიც ძველებურ ბრძენებს, რჯულის მდებლებს, ზნეობის მასწავლებლებს არც თვალთ უხილავთ, არც ყურით სმენიათ და არც ფიქრად მოსვლიათ, მხოლოდ მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ აუწყა კაცობრიობას, ყველანი ერთმანეთის ძმები ხართო, მოსპო მონობა და კანონის წინაშე გაათანასწორა ყველანი, იქადაგა საყოველთაო სიყვარული, რომელიც შეიცავს ყველას, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა. ამიტომ ყველამ უნდა სცნას, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა არის ჭეშმარიტი რჯული, ჭეშმარიტი სარწმუნოება და მისი დამფუძნებელი ქრისტი იესო არის ღმერთკაცი“ (ეპისკოპოსი პიროსი).

კახეთისა და ქიზიყის მიტროპოლიტი ათანასე.
გაზ. „ქიზიყი“ №29 (7.935). 1991 წელი



რაზე გვეჩურჩულებს გაზაფხული?

ირგვლივ ბუნება მწვანედ ხასხასებს, ნორჩი ჯეჯილი, ლამაზ-ლამაზი ყვავილებით იჩითება მდელო-კორდები, მზე უხვად აფრქვევს ოქროსფერ სხივებს, გაისმის ფრინველთ ჭიკჭიკი-გალობა და გიკვირს, ნუთუ ეს ის დედამიწაა, სულ ახლახან თოვლით რომ იყო მთლიანად გადათეთრებული და სიცივისაგან რომ ვძრწოდით სულდგმულნი ამ ქვეყნისადმი?! მას კი აღარ ვუკვირდებით, რომ ეს ყოვლისშემძლე ღმერთმა გაშალა კვლავ უზარმაზარი წიგნი - წიგნი ღვთის გაცხადების და კვლავ განაახლა ზამთრის პერიოდში დროებით შეწყვეტილი სიცოცხლე ქვეყნად.

ამ საოცარი ყვავილების თესლი, ახლა გაკვირვებას რომ იწვევს მნახველში, მიწაში იდო მთელი ზამთარი. ღმერთმა, გაყინვისა და დაზიანებისაგან რომ დაეცვა იგი, გარედან სქელი კანი შემოაკრა, ხოლო მისი კვლავ გასაცოცხლებელი გული რომ შემოენახა, ზედ თხელი აპკიც შემოახვია უხეში კანისაგან დასაცავად, სწორედ ისე, მშობელი დედა რომ გამოახვევს ხოლმე თავის სათუთ პირმშოს რამდენიმე სახვევში, რათა არ გაცივდეს.

თვით თვალით უხილავ მარცვალსაც კი დაუტოვა განმგებელმა შიგვე სათანადო საზრდო, რათა თავის გამოკვეება შესძლებოდა ზამთარში, გაზაფხულზე კი თოვლი დაადნო, მისი ნაჟურით დააღბო მარცვლის უხეში გარეკანი, მიწა გაათბო, დააღვივა იგი და ამოატანინა ღერო აფუებული მიწიდან. ამოიზარდა ფესვები, სრულქმნა თავისი სახიერება და ღმერთისავე მადლით ისე დამშვენდა, რომ თვით გენიოსი მხატვარიც კი ვერ შეძლებდა მის ასეთად გამოსახვას. მაგრამ კიდევაც რომ შესძლებოდა, ამ სასწაულ სურნელებას მაინც ვერ შესძენდა თავის ნაღვან-ნა-

მოქმედარ ნიმუშს. აი, რატომ სცემენ თაყვანს ცათა შინა გამჩენ ღმერთს - ანგელოზთა დასები, ექვსფრთიანი ქერუბიმები და მრავალთვალისანი სერაფიმები.

უფალი ინახავს ყოველგვარ თესლს მიწაში, უფალი ასხურებს ყველაფერს მაცოცხლებელ ცის ნამს, უფალი ასაზრდოებს მათ ჰაერით, უფალი აჯილდოებთ ყვავილებს ათასნაირი ფერითა და საოცარი სურნელებით, უფალი უჩენს მათ შესაფერის ადგილს სამყაროში და უფალი ჰქმნის ბუნების ასეთ სასწაულებრივ ჰარმონიას, რაც მხოლოდ მას ენიფება, როგორც ერთადერთ ყოვლისშემძლეს.

აი, რას ამბობს მცენარეთა აგებულების მკვლევარი დიდი მეცნიერ-ბოტანიკოსი ლინნეი: „სამარადისომ, უსაზღვრომ, ყოვლისმცოდნემ და ყოვლადშემძლე ღმერთმა გაიარა ჩვენს ახლოს. მართალია, პირდაპირ არ მიხილავს იგი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა შუქმა განკვირვებით აავსო ჩემი სული, ჩემთვის ცხადი გახდა უმაღლეს საფეხურზე მყოფ სულიერ არსებათა კავშირი მცენარეულობასთან, მცენარეულობის სიახლოვე დედამიწის წიაღში დამარხულ მადნეულობასთან, ზომა დედამიწის მიმართულებისა მზისკენ, წესი მისი ბრუნვისა მზის გარშემო და მზისგან გამოყოფილი სითბოთი სარგებლობისა. ცხადია ჩემთვის ვარსკვლავთა და პლანეტათა სიმრავლის ბრუნვაც სივრცეში, მათი დამყარება არარაზედ მისი ბრძანებით, რომელიც არის დასაბამი ყოვლის მოძრაობისა, არსება არსებათა, მიზეზი მიზეზთა, მმართველი და გამგე ქვეყნის, უფალი და შემოქმედი ყოველთა არსთა“.

ჭეშმარიტი ბუნებისმეტყველი ლიბიხი კი აცხადებს, რომ „ბუნების შესწავლა ჩინებული საშუალებაა დასაფასებლად შემოქმედის სიდიდისა“. მათ გარდა ბევრმა გულისხმიერმა პიროვნებამ შეიგნო და სცნო ბუნების მშვე-

ნიერების გამო შესწავლითი ჭეშმარიტება დიდია.

ბუნება სავსეა ღვთის წყალობით, მწიფს ყურძენი, ხილი, ხორბალი, ყანა და ყველაფერი, რაც კი ცხოველის სიცოცხლეს ესაჭიროება. ღმერთი სამყაროზე თვალის ერთი შეხედვით ხედავს, ვის რა უჭირს, რას ითხოვს მისგან და ისიც უნაწილებს ყველას საარსებო საშუალებებს. არც ადამიანს სტოვებს იგი უყურადღებოდ, არც ფრინველს ცაში, არც თევზს წყალში, ათასგვარ ჭიაყელასაც კი, ძლივს რომ დაცოცავენ, უყურებს ღმერთი და ხელს უწყობს საზრდო-ბინით.

აი, ასე მოწყალეა ღმერთი! მაშ ნუღარ განვარისხებთ მას ცოდვებითა და უსჯულოებით ნუ მოვატყუებთ ერთმანეთს, აღვასრულოთ ყოველი ჩვენი ქრისტიანული მოვალეობა სათნოდ ღვთისა და იგი მოგვცემს ჩვენ დანყნარებულ, მყუდრო ცხოვრებას. თუკი ზეციერმა ცხოველებს, ფრინველებს, ბინადართა და ათასგვარ ჭიებს ასარდოებს, არც ადამიანებს მოაკლებს მფარველობა-სიკეთეს. უფალმა უბრძანა ანგელოზებს ჩვენი დაცვა. მან მისცა ძე თვისი იესო ქრისტე სატანჯველს ჩვენის გამოხსნისათვის. ასე დიდია სიყვარული ღვთისა მორწმუნეთადმი და ჩვენი ვალია, ვმორჩილებდეთ, თაყვანს ვცემდეთ განმგებელს ასეთი ყურადღების წილ. აი, რას გვეჩურჩულება გაზაფხული.

**მიტროპოლიტი ათანასე
სიღნაღი, წმინდა ნინოს სავანე.
გაზ. „კოლმეურნე“, №37(8.707)**

სიტყვა წმინდა ნინოზე

*„ჩვენო სამშობლოვ, წმინდა ნინო ცამ მოგივლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შემოგვინა“.*

მადლითა და ღვთის შეწევნითა ესაა გადავიხადეთ მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე და დიდებული დღესასწაული - შობა და ნათლისღება. ჯერ მთლად განვლილად და გასტუმრებულადაც არ მიგვაჩინია ეს ბედნიერი დღეები, ჯერ ისევ სიხარულითაა მათ გამო აღვსილი ჩვენი სული. მან გაგვამხნევა, გვანუგეშა და გაგვაცოცხლა, შობა და ნათლისღება ქრისტესი ერთნაირად გასახარებელი და სათაყვანოა ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის და აი, ეკლესია კვლავ გვეპატიჟება სადღესასწაულოდ, რომ გავუხსნათ გული სულიერი შვების ახალ სხივებს.

ძვირფასო სამწყსოვ, საყვარელო ჯვაროსანო ქართველებო, 1991 წლის 26 და 27 იანვარი არის ივერიის ეკლესიის მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების დამაარსებელი, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ხსენების დღესასწაული.

მოციქული ქრისტესი, წმინდა დედა ნინო არის საქართველოს და ყოველი ქრისტიანის სულიერი მწყემსი. იანვრის 27 რიცხვი უძვირფასესი დღეა ქრისტიანთათვის. ეს რიცხვი დაკავშირებულია იმ მადლიანი პიროვნების ხსოვნასთან, რომელმაც მკვიდრი საძირკველი ჩაუდგა ჩვენი ერის შეგნებულ არსებობას, რომლის მეოხებითაც ქართველმა ერმა ოქროს ასოებით ჩაინერა თავისი თავი კაცობრიობის ისტორიაში. წმინდა ნინოობა აღნიშვნაა ქართველი ერის ზნეობა-გონებრივი სიკეთისა...

რა გაარიგა წმინდა მოციქულმა ნინომ ქართველი ერის

ცხოვრებაში ისეთი, რომ მისი სახელი განუმეორებლად ჩააქსოვა ჩვენს ეროვნებას?

წმინდა ნინომ გაანათლა ქართველი ერის გონება იმ მაღალი და სამარადისო მოძღვრებით, რომელიც აღიარებს, რომ მსოფლიო, ქვეყნიერება, ცა და დედამიწა, მთელი მათი გალაქტიკებით, სავსებით დაუსაბამო ღვთის ქმნილებაა, რომ ყველაფერი ეს არსებობს და ცხოვრობს ღვთის განგებით, ყველაფერი ეს ხელთ უპყრია შემოქმედს, წმინდა ნინომ ამცნო ქართველებს, რომ ქვეყანაზე ღვთისათვის კაცისთანა ძვირფასი არ არის რა! შთაჰბერა საქართველოს ღვთაებრივი ძალა, რომელმაც განავითარა, გააძლიერა და ააყვავა ქართული ენა, განწმინდა, აამაღლა, გააფაქიზა და გააკეთილა ქართველების სულიერი ცხოვრება, ზნეობა, ყოფა-ქცევა და ნაწილ-ნაწილად დაყოფილი ერი ააღორძინა, შეაერთა და გარდაქმნა სახელოვან, მძლავრ სამეფოდ. ერთი სიტყვით, წმინდა ნინოს შემდეგ სარწმუნოება შეიქმნა სრულად, მთავარ ძალა-ქვაკუთხედად ქართველი ერის სიცოცხლისა, ჭეშმარიტად, ძველი ქართველს საბუთი ჰქონდა, ეთქვა: „ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელს, სარწმუნოება ჩვენი“ (1 იოან. 5, 4).

პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის აღმართვით წმინდა ნინომ წარუშლელი ასოებით ამოჭრა ქართველების გულის ფიცარზე იესო მაცხოვარის უკვდავი სიტყვები: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი (მარკ. 12. 31). „საყვარელნო, ვიყვარებოდეთ ურთიერთს, რამეთუ სიყვარული ღვთისაგან არს და ყოველსა, რომელსა უყვარდეს, ღვთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი (1. იოან. 4.7.5)“.

წმინდა ნინოს მოძღვრების გამო ჩვენი სამშობლო მოიჭედა ისეთი ცის მსგავსი ტაძრებით, როგორიც არიან:

ქიზიყის ბურჯი - წმინდა სტეფანეს ტაძარი, დიდებული, სათაყვანებელი წმინდა ნინოს ჩვიდმეტსაუკუნოვანი სავანე, სადაც განისვენებს თვით წმინდა ნინო, დიდებული ალავერდის ტაძარი, შუამთის უძველესი აკადემია, სადაც უსწავლია ბრძენ შოთა რუსთაველს, სვეტიცხოველი, სიონი, გელათი, სატეხით გამოკვეთილი ვარძია და სხვა მრავალი.

წმინდა ნინომ ქართველობა გააქრისტიანა და ამით დაანახვა, რომ საზოგადო საქმეში ქალი თანასწორია მამაკაცისა, წმინდა ნინოს გავლენას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოში ქალმა იმთავითვე იდეალური პატივისცემა, შეიმოსა, რომ ჩვენში ქალებს სამეფო ტახტი სჭერიათ და ქართველმა ერმა ძველ დროშივე გამოსთქვა თავისი საუკეთესო შვილის პირით სავსებით საღი და ნათელი შეხედულება ქალზე: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“. შუშანიკი, თამარი, ქეთევანი და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენნი მათი მსგავსნი უკვდავ მშვენებას შეადგენენ როგორც ერისას, ისე ქართულ ეკლესიისას.

სიკეთე ჩვენი სამშობლოსი: — იშვიათი მოხდენილობა და სიკეკლუცე მისი გარეგნობისა, სისადე და უებრობა მისი ჰაერისა, საოცნებო სიმდიდრე და უხვი მომცემლობა მისი ნიადაგისა იზიდავდა ამ ქვეყნისაკენ ყველა მრავალრიცხოვან ერებს და უღვიძებდა მათ გაუნელებელ სურვილს, რომ ხელში ჩაეგდოთ, დაჰპატრონებოდნენ და დაესაკუთრებინათ იგი. ამიტომ პატარა საქართველოს ხანგრძლივი წარსულის მეტი ნაწილი წარმოადგენს ყოველი მხრიდან მოსეულ მტრებთან განუწყვეტელ ბრძოლას და თუ დაელიათ ტყვია-ნამალი, თუ მათ მოუდუნდათ ხმალ-ხანჯალი, მტრებმა მარტო კალთები ჩამოაცალეს ჩვენს სამშობლოს, დაპყრობა მისი მაინც ვერ შესძლეს.

ამ შეუწყვეტელი ხმლის ტრიალში და თოფის გამუდმებულ სროლაში ქართველი არ გაველურდა, მიუხედავად სამძიმო პირობებისა, ქართველმა არ დაივინყა წიგნი და მწერლობა სასრულის უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ენა და მნიგნობრობა. ეს უნდა მივანეროთ იმ დაუვინყარი და მადლიანი პიროვნების ღვანლს, ვისი ხსოვნისთვისაც მადლიერ ქართველ ერს ძველთაგანვე უძღვნია 27 იანვარი მოსახსენიებლად.

ყველა შეგნებული ქართველი სიხარულით ეგებება იმ წმინდა სულის ხსენებას, რომლის მეოხებით საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთ ერთმანეთი ერთხორც და ერთსულ მოძმე ნათესავებად მიგვაჩნია. მაგრამ ამასთან ისიც ცხადია, რომ წმინდა ნინოს სახელი ჩვენის ქვეყნის არც ერთი კუთხის მკვიდრს არ სწვდება ისე ღრმად გულში, არავის არსებას არ იცავს და არ ავსებს იმგვარი ზეციური სიამოვნებით, როგორც აქ მაცხოვრებელთ. ქართველთა საერთო მოციქული არავისზე ისე ახლოს არ დგას და ამ სიახლოვეს ისე ცხოვლად არავინ განიცდის, როგორც ქიზიყელნი. განუხრწნელი და საკვირველმოქმედი გვამი წმინდა ნინოსი არსად არ ბრწყინავს, გარდა სიღნაღისა. მაღალი, დიდი და დაუფასებელი ბედნიერება შეუხვედრებია განგებულებას, ჩემთვის, კახელებისათვის და უმეტესად ქიზიყისათვის. იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კალოებში მცხოვრებთ სანატრელად აქვთ, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გახდნენ ღირსნი წმინდა ნინოს საგანის თაყვანისცემისა, მაგრამ ჩვენ კახელთ და ქიზიყელთ შეგვიძლია დაუბრკოლებლივ ავისრულოთ ამგვარი საღმრთო ნადილი.

ქრისტეს მოციქულო დედაო ნინო, აუნთე კვლავ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს შენებური სიყვარული ქრისტესი, რათა ღვთისმშობლის ნილხდომილ საქართველოში დაუ-

დუმებლად იქებოდეს და იდიდებოდეს სახელი შენგან ქა-
დაგებული მამისა ძისა და სული წმინდისა. იყავნ, იყავნ,
ამინ!

ათანასე, მიტროპოლიტი კახთა და ქიზიყისა,
სილნალის წმინდა ნინოს სავანე.
გაზ. „ქიზიყი“, №9 1991 წელი

**ღავაფგეთ გზასა მართალსა
და ჭეშმარიტებისასა**

წმინდა ნინო

წერილი მესამე

*„უნათლისმცემლე ცხოვართა განზნეულთა, ვითარცა
მწყემსმან კეთილმან, შეჰკრიბე და მიჰგვარე ქართველი
ერი ღმერთსა მართალსა. დედაო წმიდაო, სანატრელო
ნინო, ევედრე შენგან მონათლულ ქართველთათვის ქრის-
ტესა ღმერთსა“.*

(ტროპარი)

27 იანვარს ივერიის ეკლესია ასრულებს თავისი საკუ-
თარის მოციქულის, ქართველთა განმანათლებლის, წმინ-
და ნინოს ხსენებას, რომლის სახელთანაცაა დაკავშირე-
ბული აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვ-
რების ისეთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა,
როგორიც ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-დამ-
კვიდრებაა.

რა მიზნით გნებავთ, რომ ღირსშესანიშნავი არ იყოს

ჩვენთვის ეს დღე. დღე წმინდა ნინოს ხსენებისა, დღე სულმნათისა, რომელმაც გაქრისტიანებით საქართველო გამოიხსნა გონების არარაობისა და ზნეობრივის სიბნელისაგან, მოევლინა ჩვენთვის ქვეყანასა და გვიხსნა კერპთა მონობის სიბნელისაგან. ურიცხვი სასწაულნი და ფრიადნი მოღვაწეობანი შეასრულა ძალითა ქრისტესითა მაშინ, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით კარსნელთა აქამდე მართებთ კოლმანელთა ხუთი მკვდარი და „სჭამდიან ყოველსა ცხოველსა არა წმინდასა (ვახუშტი ბატონიშვილი, „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“). წმინდამან ნინომან მრავალი სხვა სასწაულითაც დაარწმუნა და გააკვირვა, როგორც კერპთაყვანისმცემელი მეფე მირიანი, ისევე მთელი საქართველო და ეს შეძლო ქალმა, სუსტმა, უძლურმა, უმწეო და უუფლებო არსებამ. თუმც არა მარტო ეს, ურიცხვია მისი სასწაულები და დამსახურება ღვთისაგან ბოძებული ჩვენთვის, მაგრამ აქ მცირე ვახსენეთ, სიტყვა რომ არ გაგვგრძელებოდა.

მართალია, წმინდა ნინო ღირსებით ვერ უტოლდებოდა ქრისტეს მოციქულებს, მაგრამ ღვთის მადლითა და ღვთის წყალობით სასწაულების მოხდენით ღმერთმან სწორედ გამოაჩინა იმ თავთა მოციქულებთან, როგორებიც წმინდა პეტრე და წმინდა პავლე არიან.

მიჰგვარა რა ღმერთსა მართალსა ღვთისმშობლის წილხდომილი ერი, იმ დღიდან ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა, არის და იქნება შეურყევლად მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე. თავისი ნამუშავევი შეავედრა დედა ღვთისმშობელს და ღვთისმშობლის მფარველობით ვერ შემეუსრვენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ღმერთის სატრაპეზო საქართველოს.

ყოფილა დრო, რომ ბერძნებს დაუტოვებიათ წმინდა რწმენა და მოქცეულან კერპმსახურებად, კვლავ წვალე-

ბისა ერეტიკული ღვარძლი რომ შემოუღლიათ, რისთვისაც კინალამ წარმწყდარან-დაცემულან, მაგრამ ჩვენი ღმრთივ კურთხეული მართლმადიდებელი დედა რჯული, რომელიც გვამცნობს: „არა კაც კლა“, „არა იპარო“, „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“, „თაყვანი ეცი მღევართა თქვენთა“, „შეიყვარეთ მოძულენი თქვენნი“, დასაბამიდან მტკიცე რჯულად გვიპყრია.

XVII საუკუნის მანძილზე ჩვენი გული არ მიდრეკილა ურწმუნოებისაკენ, ან სხვა არამართლმადიდებელი სარწმუნოებისაკენ, გარდა იმისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ გზადაბნეულ ბაბტისტს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეფე ერეკლე მეორემდე საქართველოში არცერთი ბაბტისტი არ იყო.

ბრძენ წმინდა ილია მართლის თქმით“, ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის, ამ პატარა საქართველოს გადაულადეთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კლდეზედ, დაუდგით ქრისტიანობის ტაძარი, ქვათ ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, გავწყდით, გავიჟღიბენით, თავი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინარჩუნეთ...”

მთელი საქართველო და კახეთი ბედნიერია იმით, რომ ღვთისაგან რჩეულმა ასეთმა წმინდა ადამიანმა ნინომ თავის საბოლოო განსასვენებელ სავანედ ეს ღმრთივ კურთხეული კუთხე - ქიზიყი აირჩია, სადაც ამჟამად განისვენებს იგი.

წმინდა მეფე მირიანს შეუფერებლად მიუჩნევია წმინდა ნინოს ქიზიყში დაკრძალვა და საამისოდ, ანუ უფრო შესაფერისად საქართველოს იმდროინდელი დედაქალაქი მცხეთა შეურჩევია, მაგრამ თვით წმინდანს უსურვე-

ბია და სიცოცხლეშივე დაუტოვებია მეფე მირიანისათვის ანდერძად, რომ დაბა ჰერეთისისა ბოდას (ბოდბეს, რომელსაც მეოთხე საუკუნეში ბოდა, ანუ ბუდე ეწოდებოდა ხალხის სიმრავლის გამო) დაეკრძალათ.

აღასრულა მეფე მირიანმა წმინდა ნინოს ანდერძი, თანაც IV საუკუნეში წმინდა ნინოს საფლავზე ააგო დიდებული ტაძარი და ეპისკოპოსს ჩააბარა. წმინდა ნინო ქართველთა ეკლესიამ მოციქულთა სწორად აღიარა, ხოლო, როგორც მისგან პირველი მირონცხებული, წმინდანთა შორის შერაცხეს ქრისტიანი მეფე მირიანიც.

დედაო წმინდაო, მოციქულთა სწორო ნინო, მოგვფინე ნათელი ქრისტესი.

ამინ!

ათანასე ჩახვაშვილი
კახეთისა და ქიზიყის მიტროპოლიტი
(სიღნაღი, წმინდა ნინოს სავანე).
გაზ. „ქიზიყი“, №11, 25 იანვარი, 1990წ.



საახალწლო მილოჩვა
მიტროპოლიტ ათანასესი
რუსთავის ეპარქიის მიმართ

ძვირფასო სამწყსოვ, საქართველოს უძველესი ეკლესიის საღმრთო კალთის ქვეშ დავანებულნო ძენო და ასულნო! შემოკრბით წინაშე ჯვარისა და განმანათლებლისა ჩვენისა, შემოკრბით რათა ჟამსა ახლისა წლისა დადგომისა „საყდარსა ზედა დიდებისასა მჯდომარეს შევთხოვოთ, რათა განმაძლიერებელმან ღმერთმან ჩვენმან, — განაძლიეროს ერი ქართველთა, განგვამრავლოს, საცდულისაგან და საფრთხისაგან განგვარიდოს, რათა ნუცა ოდესმე ცრემლელული ვისმეს ეხილოს დედა ქართველთა, მარად ბრწყინავდეს სახელი მისი დედათა შორის, კეთილმითვალულ ჰყოს ვედრება ქართველთა:

„აღზარდოს შვილი ქრისტესა მცნებით,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან რჩეს კვალი განათლებული“!

შევთხოვოთ რათა დედისა ღვთისა წილხდომილი ესე მამული მარად ჰყვაოდეს, დღენიადაგ იფურჩქნებოდეს, ვენახი მისი მოუკლებლად მსხმოიარობდეს, კაცის მარჯვენა ხელოვნობდეს, გული ხარობდეს.

შემოქმედმა ქართველმა ხელმა რით არ შეამკო საქართველო, რით არ განსდიდნა და განამშვენა სახელი მისი მის სამარადჟამოდ ქებათა ქებად.

აღმართა სვეტიცხოველი, ალავერდი, დედა სიონი, გელათი და სატეხით გამოკვეთა ბრწყინვალე ვარძია.

გული პატარა კაცისა დღესაც ძგერს და დღესაც ცხელია, და არა სადა ქართლის დროშა ვინმემ დახაროს და ბნელს მიეცეს სიქადული ყველა ქართველთა.

დედისა ნინოს ემბაზისა შინა ნათელღებულო საქართველოვ, სამშობლოვ ჩვენო! მრავალტანჯულო, მარად მხნეო, მარად ძლიერო! კურთხეულ იყოს ახალი წლის შენ სამკვიდროში შემობრძანება, სიტკბო, სიუხვე, სიხარული არ დაგლეოდეს, მზე სულ განათებდეს, სულ გათბობდეს, მშვიდობა გქონდეს შინ და გარეთ და შენ ვენახო ჭეშმარიტო, დედაო ღვთისავ! შენ დაიფარე შენი წილხვედრი საქართველო უკუნისამდე!

ძვირფასო მასწავლებლებო, სულიერნო შვილნო!

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა თქვენთან შეხვედრისა და მღვდელმთავრული ლოცვა კურთხევის გადმოცემისა, მინდა მოგილოცოთ ბრწყინვალე დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა, რომლის სიხარულითაც დღესაც სუნთქავს ცანი და ქვეყანა.

ქრისტე აღსდგა!

სკოლას, მასწავლებლებს დიდი პასუხისმგებლობა აქვთ ერის წინაშე, თქვენს ხელშია ერის მომავლის ზნეობრივი და გონებრივი ფორმირება. მრავალი წლის მანძილზე მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა მონყვეტილი იყო თავის საფუძველს, ქრისტიანობას, ახალგაზრდობა ცრუ იდეალთა მაგალითზე იზრდებოდა, ყალბი ზნეობრივი ნიშან-სვეტი იყო მათთვის მისაბაძად დასახული. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც კაცის გული არ არის გაფუჭებული და ადვილად აღიბეჭდავს ყოველივე სწავლას.

ღვთის მადლით, ბოლო ხანს ნათელი გახდა, რომ საძირკველი მომავალი ჩვენი ცხოვრებისა, ზნეობისა, ყო-

ფაქციებისა, ხასიათისა დამყარებულ უნდა იყოს ღვთის სიტყვასა და რჯულზე. გამაგრებული უნდა იყოს ქრისტიანული სწავლითა და მოძღვრებით. საყურადღებოა, რომ თუ მომავალი ჩვენი ცხოვრება აშენდა სოფლიურ, ამას საძირკველზე, ეს იქნება ცუდი მომავალი თაობისათვის.

ადრე ამბობდნენ და ზოგი ახლაც თვლის, რომ სარწმუნოება და მეცნიერება შეუთავსებელია, მაგრამ აქ მსხდომნი დამეთანხმებით, რომ ყველა დიდი სწავლული და მეცნიერი ღრმად მორწმუნე იყო და თავის წარმატებებს ღვთის შემწეობით ხსნიდა. სარწმუნოების მეცნიერება და მეცნიერების გასარწმუნოება, – აი, გადაუდებელი საქმე ჩვენი განათლებისა, საუკუნეების მანძილზე ყოველი რჯულის წმინდა მოძღვარნი გვასწავლიდნენ, რომ განათლება, თუ მას საფუძველი სარწმუნოება არა აქვს ვერასოდეს მოუტონს სიკეთეს ქვეყანას.

მინდა გავიხსენო სიტყვები წმინდა ილია ჭავჭავაძისა, რომლითაც დიდი მამულიშვილი მომავალი თაობის აღმზრდელს მიმართავდა:

**„აღზარდე შვილი მიეც მალა სულს,
საზრდოდ სმარობდე ქრისტესა მცნებას“.**

ჩემი სურვილია, ეს სიტყვები იყოს სანინამძღვრო ჩვენი განათლების მუშაკებისათვის, იმედი მაქვს, ასეთი სასარგებლო თანამშრომლობა განათლების სამმართველოსა და ეკლესიას შორის არ მოიშლება, არამედ განმტკიცდება ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ, ჩვენი მომავლის სასარგებლოდ.

„ზეგარდმო სიბრძნე პირველად სინმინდე არის“, ბრძანებს იაკობ მოციქული. გილოცავთ, რათა უფალმა უხვად მოგმადლოთ სიბრძნე სინმინდის სიყვარულისა,

ამინ!

ენა, მამული, სარწმუნოება!

ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრეფად. ერთობა სარწმუნოებისა, ერთობას ერისას მოასწავებდა...

ქართულ კულტურას უძველესი სათავეები აქვს. საქართველო არის ნამდვილი მემკვიდრე მთელი იმ კულტურული საგანძურისა, რომელიც კაცობრიობამ თავისი ისტორიის მანძილზე შექმნა.

ქართველები არიან პირდაპირი შთამომავალნი და კულტურის მემკვიდრე ხეთა-ურარტუს წრის ხალხთა, რომელთაც უძველეს ხანაში შექმნეს ბრწყინვალე კულტურა.

ქართული მწერლობის დიდი სიძველის მაჩვენებელია უწინარეს ყოვლისა თვით ქართული ანბანი, რომლიც შემუშავებით ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეში.

ეს უბრძენესი ქრისტეს რჩეული ერი 2000 წელი ღალადებს ამ იდეოლოგიას, მართლმადიდებლობას არის სახალხო საგანძური. ძვირფასი საუნჯე. ზნეობითი ძალა. არის ჩვენი სიამაყე.

სახალხო განძი, ჩვენი საქართველოს სიდიადე, ძვირფასი საუნჯე, მაჩვენებელი იმ ზნეობითი ძალისა, რომელიც შეადგენს ქვაკუთხედს ქართველთა მეფეთა, მეომართა და ერის ცხოვრებისა. ამ იდეოლოგიამ დაიცვა საქართველო 20-30 საუკუნის განმავლობაში უძლიერესი აზიის ბოგანი ერებისაგან. ეს ჩვენი სარწმუნოება არის დიდი საგანძური ჩვენი სამოქალაქო ისტორიისათვის.

საქართველოს ეკლესია, ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას

დავინყებას არ აძლევდა.

კურთხეულია ქართველი ერი, კურთხეულია საქართველო ღვთის მადლით ქართული ენა, აღსავსე ღვთის საიდუმლოებით, სიტყვები რომლებიც ჩვენმა დიდმა საეკლესიო მოღვაწე ნინაპარმა იოანე ზოსიმემ წარმოსთქვა:

„და დამარსულ არს ენაი ქართული.

დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად,
რათა უოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამ ენითა.

და ესე ენაი შემეული და კურთხეული
სახელითა უფლისათა

მდაბალი და დაწუნებული მოყლის დღესა მას
მეორედ მოსვლისა უფლისასა.

სახარებასა შინა ამას ენასა ღმერთე ჭქვიან.“

რალა საერთოა ქართულ ენასა და ლაზარეს შორის? ვინ იყო ლაზარე? ლაზარე იყო ერთი უბრალო ადამიანი. ცხოვრობდა ბეთანიაში, უყვარდა იესო ქრისტეს, იყვნენ მეგობრები. რატომ არის დანუნებული, რატომ გადმოგვცემს ღვთივ გაბრძნობილი ადამიანი დანუნებულს. ვინ დაგვინუნა ღვთაებრივი ენა? საქართველოს მტრებმა, საქართველოს ლოცავს ზეციური მამა. მეორედ მოსვლის დროს მსოფლიოს ღმერთი ქართულ ენაზე განსჯის. ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას, აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა. განსაკუთრებით ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. შეიძლება ითქვას შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა.

ქართული ენა განსაკუთრებული ენაა. უსლარი ამბობს:

ამისთანა სრული და სავსე ანბანი არავის აქვს ქვეყნებზეო და უმატებს: სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულებაო.“

ყველასთვის ცნობილია რომ ბევრი ათი-ათასი წელიწადი გავიდა, ვიდრე ადამიანი ენას შეჰქმნიდა სამეტყველოდ.

„მე გავიცანი ქართველი კაცი
ენაზე ქვეყანა მარად ქებული,
გულში ჩაფხედე-ფიპოზე განძი
თვით ბუნებაზე აღმატებული.
ვიგემე შენი ღვინო და ჰური
ყოველი სიტყვა მარგალიტია,-
მეგობრის სიტყვა, მიღება მჟური
ერებისათვის მაგალითია.
ვისილუ სალხი – კეთილი, ბრძენი,
ვეფხისტყაოსნის გმირმა მატირა,
ვცადე შემეცნო სიმაღლე შენი
და მე აღმოფხნდი მეტად ზატარა.“

საქართველო ეკლესიაა, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავინწყებას არ აძლევდა.



ქართველებო, თქვენ გენაწვალეთ! ჩემო საყვარელო ქართველებო!

გამორჩეული და ღვთიბუნებური კატარა საქართველო... ოდითგან მშვიდობის მონატრული, სტუმართმოყვარე და კალთაუხვი - მიწიერ სამოთხედ სახელდებული. თუმცა, საქართველოს უპირველესი ღირსება და მოვალეობა უფლისადმი თავგანწირვა და ერთგულება იყო. ჭეშმარიტი რწმენის - მარლმადიდებლობის განუხრელად მიმდევარი კურთხეული ივერია ქრისტესათვის არაერთხელ ეწამა, მაგრამ ლოცვით, ბრძოლითა და უფლისმიერი სიყვარულით დღემდე მოაღწია.

განსაცდელი უცხო არასოდეს ყოფილა ჩვენთვის და დღესაც ამ დღეში ვართ, მაგრამ მადლი უფალს! - ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები ვართ. მაცხოვარმა არნახული მადლით შემოსა ჩვენი სამშობლო; ორი სიმდიდრის ღირსნი გაგვხადა - ხორციელის, როცა საკუთარი კვართი მოგვაბარა და სულიერის, როცა ღვთისმშობელს მიგვაბარა!..

სწორედ ამ შეგნებით და რწმენით იღწვიან ჩვენს ეკლესია-მონასტრებში ქართველი ღვთისმსახურები. მათ შორის არის რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი ათანასე.

1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც მეუფე ეპარქიაში მობრძანდა, უფლის ნებით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეპარქიაში ეკლესია-მონასტრების მშენებლობამაც საგრძნობლად იმატა და შესაბამისად, მრევლმაც. მეუფე ათანასე დაუღალავად იღვწოდა

მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად. მისი ქადაგებანი სავსე იყო უფლისადმი მონინებით და სამშობლოს სიყვარულით...

თითქმის ერთი წელი სრულდება, რაც მრევლს საყვარელი მეუფე ამბიონზე გულმხურვალედ მოქადაგე აღარ უნახავს. ამის მიზეზი მძიმე ავადმყოფობაა, რომელმაც იგი საწოლს მიაჯაჭვა. მუდამ შემართული და ომახიანი, დღეს ძველებური ენერგიით ვეღარ საუბრობს, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედს და მხნეობას მაინც არ კარგავს. მადლობა უფალს ყველაფრისთვის და დაუცხრომელი ლოცვით შესთხოვს საქართველოს გადარჩენას.

„გურჯაანის რაიონში, სოფელ კარდენახში ვარ დაბადებული, შვილო. ღარიბი გლეხის ოჯახში გავიზარდე, გვიჭირდა, მაგრამ უფლისადმი მონინება და რწმენა არასოდეს დაგვიკარგავს. ბალლი ვიყავ, ძროხებსა ვწყემსავდი. ალაზნის პირას გავრეკამდი ხოლმე... ჰოდა, მაყვლიანთან ჩავიდოდი და ვლოცულობდი. ეგრე დამანერა ალბათ უფალმა, დიდება მის სახელსა! ჩემი ბაღლობის ამ ტკბილ ზმანებიდან მოვდივარ და ვლოცულობ და ვლოცულობ!.. ეჰ, რაღა არ გამომივლია, კომუნისტები დათვებს რომ აჭმევდნენ მორწმუნეებს, მაშინდელი მოძღვარი ვარ, შვილო. მთელი ჩვენი დალოცვილი ეკლესიები ჩოქვით მაქვს მოვლილი, განა ფეხით, მუხლებზე დაჩოქილსა! მივუახლოვდებოდი და თითოეულ ქვას ვეფერებოდი...

ბოდბეში, წმინდა ნინოს ეკლესიაში, ბოსელი ჰქონდათ გახსნილი იმ უღმერთოებს. ეზოში აძოვებდნენ საქონელს, დაცხებოდა და შერეკავდნენ შიგა. გული როგორ არ მოგიკვდებოდა ამის შემყურეს? მივედით ნიჩბითა და წერაქვით, ეზოში ბარაკები ჰქონდათ რუსებსა და სომხებს, ისინიც ავიღეთ, ეკლესიაც გავწმინდეთ და გავაკეთილშობილეთ. მძიმე დრო იყო, მაგრამ გავუძელით და

რწმენა არ დაგვიკარგავს არასოდეს...

ვაზი ჩავყარეთ იქა. ვაზი ანგელოზია საქართველო-სი, შვილო! ვაზის ჯვრით მოვიდა წმინდა ნინო. განა სხვა მცენარე არ იყო, მაგრამ ეგრე დაგვანერა და მოგვმად-ლა უფალმა, ბარძიმში იმ ფესვდალოცვილის ნაჟურს ვას-ხამთ და ვეზიარებით. ქრისტეს სისხლია და მადლი. შაჰ-აბასმა გაკაჭა, იცოდა, რო ვაზი ქართველთათვის წმინდა სიმბოლო იყო, მაგრამ მაინც ამოიყარა! ვერავინ შეძლო ვაზის ამოძირკვა და ვერც დღეს გამოუვა რამე ავის მო-სურნეს, რაც არ უნდა უმტროს...

მე თავად, ვიდრე ეკლესიაში შევიდოდი, ჯერ ვაზს მო-ვეფერებოდი ხოლმე და ისე მივდიოდი სალოცავად.“

კორესპონდენტ ზვიად სეხნიაშვილის შეკითხვას — „საქართველო კვლავ მძიმე დღეშია, მიტაცებულია ჩვენი მინა-წყალი და წინ კიდევ რა გველოდება, ვინ იცის... რა ვიღონოთ, რით ვუსაშველოთ ჩვენს სამშობლოს?“, მეუფე ათანასემ ასეთი პასუხი შეაგება:

„— გული ნუ გაგიტეხიათ, შვილო, ჩვენს სულკურთეულ წინაპრებს ამაზე უარესიც უნახავთ, მაგრამ სასონარკვე-თილებას არ მისცემიან. შავბნელი საუკუნეები გამოგ-ვივლია, უფალმა დაგიფაროთ მსგავსი უბედურებისაგან. თუნდაც მე-17 საუკუნე გაიხსენეთ, დედა რომ შვილს ძუ-ძუდან მოიგლეჯს და დაახეთქებს, წარმოიდგინეთ, რო-გორი გამწარებული უნდა ყოფილიყო. კევრებით გვლენ-დნენ, მაგრამ მაინც ყველაფერს გაუჟღელით და აქამდე მოვედით. ხო შავბნელი დროება იყო მაშინ, მაგრამ იმავე საუკუნემ შვა ქეთევან დედოფალი. რა აღარ იღონა, რო-გორ აღარ აწამა წყეულმა შაჰ-აბასმა, მაგრამ ჩვენმა წმინ-და დედოფალმა თავისი სიმტკიცით დაანახვა, თუ რაშია საქართველოს ძალა. პავლე მოციქული ამბობს: — ჩვენს უძღურებაში ჩვენი ძალა ვლინდებაო! მან გადაარჩინა ეს

ერთი მუჭა საქართველო, თორემ მტერი მუდამ გვჯობდა რიცხვით. ვერც დღეს გვაჯობებენ, თუ ქეთევან დედოფლის დარად ვუერთგულებთ ქრისტეს! მოვიდნენ, ბომბები დაგვაყარეს, ცრემლი და სისხლი გვადინეს. რათა გვბომბავ, კაცო, რა დაგვიშავებია, ერთმორწმუნე ერი ვართ...

მაგრამ ნუ შეშინდებით ნურავინ! ეს განსაცდელიც ჩაივლის და მნუხარება სიხარულით შეიცვლება. მთავარია, ჩვენ ვიყოთ უფალთან და მერე ვინღა მოგვერევა...

აი, ჩვენი დიდი ილია რას ამბობს:

„ძლიერო ღმერთო!
შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა მენი,
დასაბამითვე არ იციან,
რა არს მშვიდობა,
იუმარე საღმრთოდ
მათ ჰატიანი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შესცოდეს,
შეისყიდეს ტანჯვით შენდობა...“

გაიტანჯა ჩვენი ქვეყანა, შვილო, გაიტანჯა, მაგრამ გაბრწყინდება, ღვთის მადლმა!

ვახტანგ გორგასალიც გაიხსენეთ, რა ბრძანა: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა“. ხედავთ, როგორი ნაანდერძევი და რა ვალი გვადევს ჩვენი ღირსეული წინაპრისაგან? აი, ჩვენი ჭეშმარიტი მისია! მის მერე ჩვენს სამშობლოს ვერავინ დააჩოქებს!. უნდა ვენამოთ ქრისტესთვის, ჩვენი აქ წამება კი ზეცაში დიდება იქნება!

ყველა თაობამ თავისი ვალი უნდა მოიხადოს და საკუთარი ჯვარი ზიდოს პირნათლად. განცხრომისთვის არ გავუჩინივართ უფალს, განცხრომა და მარადიული ცხოვრება იქ გველოდება, ზეცაში, თუკი ღმერთის სიტყვას შევისმენთ და განუხრელად მივყვებით ჭეშმარიტ გზას. რა სატანჯველი არ მოგვეწია, მაგრამ არ გადაგვიხვევინია ამ

გზიდან... ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით ქრისტეს მადიდებლები. მისმა მოციქულებმა მოგვნათლეს და მათი მადლით არ უწერია საქართველოს გადაშენება, არა და არა!

— ქართველებო, თქვენ გენაცვალეთ, ჩემო საყვარელო ქართველებო! ჩემო თითოთ საჩვენებელო, ბრძენთა ქვეყნის შვილებო! დღეგრძელნი იყავით! გამბორებით ქრისტესმიერი სიყვარულით ყველას მამაშვილურად! ქართველ ერისთანა არა არის რა დედამინის ზურგზე! ჩვენს სამშობლოს რომ მონამე ჰყავს ქრისტესთვის, იმდენი არც ვის ჰყავს ქვეყანაზე! დამილოცინხართ, გენაცვალეთ და გევედრებით მუხლმოდრეკილი, ერთსულოვნებით იღვანეთ, მოეფერეთ ერთმანეთს და მხურვალე ლოცვით ევედრეთ უფალს სამშობლოს გადარჩენა!... მრავალ შობა-ახალ წელს დაგასწროთ და ჩვენი კურთხეული წინაპრების, ჩვენი წმინდანების ძალა მოგმადლოთ, უფლისა და საქართველოს სადიდებლად!..

— მე არაფერი მიხდა, გენაცვალე, გარდა უფლის დიდებისა და საქართველოს გადარჩენისა. მე ჩემი სამშობლოს შვილი ვარ, მთელი ქვეყნისთვის მლოცველი კაცი. ეს დამევალა უფლისაგან. დავლოცე ქვეყანა და დავბერდი კიდევ, 73 წლისა მოვიყარე, აი, ხელებში ისე გამიქრა წლები, რომ ვერც კი გავიგე, ერთი თვალის დახამხამებაში იყო თითქოს...

ეკლესიაში რომ გამოვიდოდი მრევლთან, მეხივით ვიყავი, თავსაც ვამხნევებდი და ხალხსაც ნუგემს ვაძლევდი. ახლა კი შეუძლოდ შევიქენ, ვიტანჯები, ეკლებზე ვწევარ, მაგრამ დიდება უფალ მამას ყველაფრისთვის! დღენიადაგ ვლოცულობ უფლის სადიდებლად, ჩვენი უწმინდესი პატრიარქის და ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვევედრები მამაზეციერს!

ყველაფერი წარმავალია, მარადიული მხოლოდ ღმერთია და მისადმი აღვლენილი ლოცვა. ტომრებით რომ აგროვებენ ფულს, რად უნდათ, გაქრება ყველაფერი. მართო ჩვენი მართლმადიდებლობა და ამქვეყნიური ლოცვა გადაგვარჩენს მხოლოდ!..

მთელ საქართველოს ვლოცავ კიდით-კიდემდე! რაც კი მილაღანია ბავშვობიდან, რაც კი მილოცია, იმ მადლმა დაგლოცოთ ყველანი, ჩემო ტანჯულო ქართველებო, მაგრამ მაინც ბედნიერი ერის შვილებო! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!..

**გაზეთი „კვირის პალიტრა“,
